ქართველობის გადასარჩენად

გაზეთი გამოდის 1999 წლიდან

# ილორი

www.ilori.ge

№99 (160) 28 დეკემბერი 2010 სახალხო მოძრაობა „სამეგრელოს“ ორგანო 30 თეთრი

## გილოცავთ ახალ 2011 წელს!

*სახალხო მოძრაობა “სამეგრელოს”, გაზეთ „ილორის“ რედაქციას და სრულიად საქართველოს მოსახლეობას გულითადად ვულოცავ ახალ 2011 წლის შემოგრძანებას!*

*ძვირფასო მეგობრებო! გისურვებთ ბედნიერებას, წარმატებას, ჯანმრთელობას, ქვეყნის დახსნას შავ-ბნელი ძალების კლანჭებისაგან, დამოუკიდებელ, თავისუფალ, დემოკრატიულ, ბედნიერ საქართველოში ცხოვრებას!*

**სიყვარულითა და პატივისცემით, ალექსანდრე ჯაჯია**

## კიდევ ერთი წელი გაილია და ახალი წელი მოგვადგა კარს, ახალ იმედთა მომლოდინეთ!

ბედნიერი იყოს თქვენთვის – ეს წელი მაინც! “მაინც”, იმიტომ, რომ გასულ წელს უბრალო მოკვდავთათვის სახეირო არაფერი მოუტანია და მათი მძიმე მდგომარეობა კიდევ უფრო დამძიმებულია. მაგრამ, ახალი წელი ხომ ახალი იმედების წყარო და მომავალი სიკეთის მაუწყებელია!

სწორედ ეს იმედი ნუ მოგიშალოთ ღმერთმა, ჩვენო საყვარლებო და ძვირფასებო!

უფრო მძიმე წლები სდგომია საქართველოს, მაგრამ ვაუკაცურად გადაუტანია. ჩვენც უნდა გავუძლოთ საქართველოს სულითა და ხორცით არაქართული ხელისუფლების მიერ თავსმოხვეულ ქართველი ერის სულიერი და ფიზიკური განადგურების პოლიტიკას, რადგან, ნებისმიერი სახადი, რაოდენ დაუძლეველიც არ უნდა იყოს, დიდხანს მაინც ვერ ბოგინობს და ადრე თუ გვიან აღსასრული დაუდგება ხოლმე! იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ საქართველოში დასავლეთის უზნეობის ჯუნგლებიდან მონაბერ ქარს შემოყოლილი “ნაციონალების” ხელისუფლება მალე კვლავ ქარს გაჰყვება, ჩვენს სამშობლოს სადაგი დღეები დაუდგება და ქართველი ერიც მშვიდად ამოისუნთქებს!

2010 წელი მიილია და მას სირცხვილის აჩრდილად თან გაჰყვა ნაციონალთა და მათი “ბელადის” ომახიანი შეპირება იმის თაობაზე, რომ მალე პენსია ასი დოლარის ექვივალენტი გახდებაო. ყველაფერი პირიქით მოხდა – ხელისუფლების მიერ გატარებული არაგონივრული პოლიტიკის წყალობით წამლებზე, პირველადი მოხმარების საგნებსა და საკვებ პროდუქტებზე ფასები იმდენად გაიზარდა, რომ პენსიონერებს, ფაქტიურად, აქამდე რომ იღებდნენ, ის მათხოვრული პენსიაც გაუნახევრდათ. ვისაც კიდევ ჰქონდა ამ ხელისუფლების იმედი, იმასაც გაუქრა!

მიუხედავად ამისა, ჩვენი ხელისუფლება კვლავ აგრძელებს თავის იაფფასიან სატელევიზიო შოუებს და ვითომ “ხალხისადმი თანაგრძნობით” გამსჭვალული პრეზიდენტი, პარლამენტის თავმჯდომარე თუ უმრავლესობის წარმომადგენელი დეპუტატები ხან ერთ პენსიონერს ესტუმრებიან, ხან მეორეს და იაფფასიანი დაპირებებით კვებავენ მომავლის იმედგადაწურულ, გაჭირვებისაგან იმედდაჩლუნგებულ ხალხს.

მაგრამ საქართველოს უკვე აღარ სჯერა მათი!

აღარ სჯერა, იმიტომ, რომ მიხეილ სააკაშვილის ხელისუფლებამ ქართველ ხალხს მხოლოდ განუკითხაობა, შიმშილი, ახალი ტერიტორიების დაკარგვა და ვაება მოუტანა!

იმიტომ, რომ ხელისუფლებამ იურიდიულად გააფორმა აფხაზეთისა და სამაჩაბლოს საქართველოსაგან მოწყვეტა და ახლა ყასიდად ფაფხურობს საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღსადგენად! იმიტომ, რომ ამ ხელისუფლებამ ხალხს გაუყიდა ყველა სტრატეგიული ობიექტი და ეკონომიკა ერთ მუჭა მყვლეფავებსა და მთქვლეფავთ ჩაუგდო ხელთ!

იმიტომ, რომ ჯერ პირადობის მოწმობიდან გაგვიქრეს მამის სახელისა და ეროვნების მიმანიშნებელი გრაფა, ახლა კი ყოველნაირად ცდილობენ ქართველი ერის გაუსახურებას!.

იმიტომ, რომ ამ ხელისუფლებამ დღისით-მზისით, ხალხის თვალწინ დაუნდობლად დახვრიტა უდანაშაულო ახალგაზრდები!

იმიტომ, რომ საქართველოში კატასტროფულად დიდია ბავშვთა სიკვდილიანობა უჭმელობის, ავიტამინოზისა და პრეპარატების ხელმიუწვდომლობის გამო. პირველ ლედის კი უთქვამს, რომ საჭიროა ახალშობილთა მშობლებს სათანადო ლიტერატურა დავურიგოთ, რათა ბავშვების კარგად მოვლა ისწავლონო! არა მგონია, ქართველ ქალს ვინმემ დედობა ასწავლოს, აი, სააკაშვილს კი ნამდვილად სჭირდება იმის სწავლება, რომ საკუთარი ხალხი შიმშილით სიკვდილის საშიშროების წინაშე არ დააყენოს!

იმიტომ, რომ საქართველოში კატასტროფულად გაიზარდა თვითმკვლელობათა სტატისტიკა!

იმიტომ, რომ ამ ხელისუფლებამ გაანადგურა განათლების სისტემა და სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებები! იმიტომ, რომ ღვაწლმოსილი ადამიანები “ჩარეცხილებში” ჩარიცხა!

იმიტომ, რომ ამ ხელისუფლებამ მკვეთრად გაზარდა უმუშევართა რიცხვი, რის გამოც ლუკმა-პურის საძებრად საქართველოდან უცხოეთში გადახვეწილია მილიონზე მეტი ქართველი!

იმიტომ, რომ ხელისუფლებას აღარც ეკლესიისა სჯერა და აღარც ხალხის!

იმიტომ, რომ ყველა სახელისუფლო სტრუქტურაში და მათ სატელიტ არასამთავროებში თვალთმაქცობა და სიცრუეა დავანებული!

იმიტომ, რომ ხელისუფლების ნებიერა არასამთავროები და იქ მოკალათებული მახინჯები სულიერი და ხორციელი გარყვნისაკენ მიუძღვიან ქართველ ახალგაზრდობას!

იმიტომ, იმიტომ, იმიტომ...

უსასრულოა ყველა იმ უკეთურობის ჩამონათვალი, რაც ამ ხელისუფლებამ ქართველ ხალხს შეაჩეჩა ხელში! მაგრამ მაინც სულდგმულობს იმის იმედი, რომ “ნაციონალების” ხელისუფლება მალე ისტორიის სანაგვეზე აღმოჩნდება და ხალხის მეხსიერებას უკეთურ სიზმრად შემორჩება საქართველოში მათი ბოგინის ავადსახსენებელი წლები!

ამის იმედად მყოფნი მოგილოცავთ ახალი 2011 წლის დადგომას, გისურვებთ გაძლებას, ჯანმრთელობას და ხანგრძლივ სიცოცხლეს!

**გაზეთ “ილორის” რედაქცია.**

## პარლამენტარებმა ახალი წელი მოგვილოცეს!?

შობა-ახალი წლის მოახლოების გამო საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ, **დავით ბაქრაძემ,** პარლამენტში ახალი ინიციატივა წამოაყენა. ბაქრაძემ დეპუტატებს მოუწოდა თოვლის ბაბუასთვის მიეწერათ წერილები, რომელიც ტრადიციულად სვანეთიდან ჩამოვა და საჩუქრებს ჩამოიტანს. წერილის წერას პირველი **პეტრე ცისკარიშვილი** შეუდგა, თუმცა მალევე გაახსენდა, რომ ახლა სეზონი აღარაა და თვითონაც აღარ **“მაიმუნობს”.** ამასობაში საპარლამენტო ოპოზიციის წარმომადგენლებმა (რომლებმაც სულ ახლახან ფეისბუქზე თავისი ფან-პეიჯი **“ყველაზე მორწმუნეებეეე!”** გახსნეს) ბაქრაძეს იდეა დაუწუნეს და აღნიშნეს, რომ დეპუტატებმა რაღაც წარმართულ ქმნილებას კი – არა, წერილი ღმერთს უნდა მისწერონ. **ქდმ**-ს ინიციატივა დანარჩენმა პარლამენტარებმაც მოიწონეს და წერას შეუდგნენ.

**ჟურნალისტებს** ხელში ჩაუვარდა პარლამენტარების წერილები და აქვე გთავაზობთ მათ.

**საპარლამენტო უმრავლესობა:**

**“ძვირფასო ღმერთო, ჩვენ, ქართველმა ნაციონალებმა გადავწყვიტეთ ერთიანი წერილი მოგვეწერა, გუნდსაც ხომ ასე შეეფერება? ჩვენი თხოვნა იქნება, გააგრძელო საქართველოს მფარველობა, გზების, ხიდებისა და შადრევნების მშენებლობა. ღმერთო, შენი ნება უზენაესია, ასე რომ თუ გინდა 2013-ში პრემიერად დარჩი.” – წერილის ბოლოს ხელს აწერს ყველა “ნაცმოელი”** (წერა-კითხვის უცოდინარმა დეპუტატებმა კი უბრალოდ **X**-ები დასვეს, რამაც გაუგებრობა გამოიწვია და რამდენიმე დეპუტატმა **“კრესტიკ-ნოლიკის”** თამაში დაიწყო).

**ჯონდი ბაღათურია: “ღმერთო, მართალია, რომ თმიანებიც და უთმოებიც ერთნაირად გიყვარს?”**

**ბიორგი თარგამაძე: “პატრიარქის მადლი გფარავდეს ღმერთო!”**

**გილოცავთ დამდეგ შობა-ახალ წელს!**

რაფიელ გელანტია

# ცხენისწყლის მზე

(დოკუმენტური მოთხრობა)

*„რარიგ ტკბილია სამშობლოვ,*
*შენი მტკვარი და რიონი,*
*შოთა, ილია, აკაკი,*
*ვაჟა და გალაკტიონი“*
**გალაკტიონი**

საოცარია იმერეთი, ენით აუწერელი, ყალმით დაუხატავი. ალბათ სხვაგან არსად არსებობენ ამდაგვარი თავისთავადობით, ასეთი ღირსებით, სულიერი სითბოთი და სინაზით, ფიზიკური სილამაზით შემკობილი ადამიანები.

წლევანდელ უჩვეულოდ ცხელ ზაფხულში ერთი კვირა დავყავი იმერეთის ხუნჯულაურში, ცხენისწყლის ნაპირებზე. შემეცოდა ცხენისწყალი, ეს ლაღი, მოუსვენარი მდინარე. წელს იგი მილეული ვიხილე, ადუღებამდე გახურებული და განდევნილი, სადღაც კუთხეში მიყუჟული, მეფე ლირივით გაძარცული თავისი უკიდეგანო ჭალებიდან, შვილივით ნალოლიავები ჭორომებისა და მის სხეულზე მარგალიტებად მიმობნეული გუბურებისგან; სანაცვლოდ მის ტანზე აფეთქებული, მის მიერ შორეული მთებიდან მონაგარი ათასგვარი ხე ბუჩქი გახარებული და გალაღებული, ნიშნის მოგებით გადაჰყურებდა იქაურობას. ჰოდა, ახლა ვწევარ ამ ბუჩქების ქვეშ სასიამოვნო გრილში, ხან ფხიზელი ვარ, ხან ფიქრთა მორევში, ხან ძილ-ბურანში, ხანაც სიზმრების ზღვა მომაწვება და ახლად ამოსული ფრთებით დავფრინავ ძველი და ახალი საქართველოს, სოხუმ-ქალაქის და აფხაზეთის თავზე; ხანაც ყურში ჩამესმის ქართველ მხედართა ცხენების თქარათქური, მტრის მოლაშქრეთა გაუგებარი ენა, ხანაც დიდი სოლომონ მეფის მეფური დრტვინვა უბედო ბედსა და დროის სიმუხთლეზე, ხანაც თვალწინ მიდგას პატარა კახის დიად საქმეებზე ხელახლა დასაწერი ისტორიის ფურცლები.

დროდადრო, ცაზე გამოჩენილი ღრუბლების საფარველში ვცდილობ გუბურათა თევზების შეცდომაში შეყვანას, ანუ ცდუნებას, თუმცა ძალიან ეშმაკები არიან, თითქოს იმერული სილაღე და იუმორი მათაც მომადლებიათ, ისე გაგიტაცებენ ანცობით, რომ დროის შეგრძნებას კარგავ, ათასში ერთხელ თუ დაგნებდებიან. იქ ბუჩქებს ქვეშა საჩრდილობელში ერთი კანონზომიერება აღმოვაჩინე ჩემთვის: როცა გარემოს ტემპერატურა ცელსიუსის 40-ს გადააცილებს, ცოცხალი და არაცოცხალი სულ სხვა ხდება, იცვლის ნირს და ცხოვრების წესს.

ალბათ, ასეა ადამიანებშიც. მხოლოდ საღამოს, უკვე გაუჩინარებული მზის ფერებში, მეც ვუბრუნდებოდი საკუთარ თავს.

## ვატი

ჩრდილში მინავებულს ახალგაზრდა კაცი დამადგა თავზე. საკმაოდ მაღალი, ლამაზი, მხარბეჭიანი, დაკუნთული, წელზემოთ ტიტველი, დიდმუცელა, მზეზე გარუჯული.

– გამარჯობათ, რას აკეთებთ ჩემს ტერიტორიაზე? – თქვა ფრიად სერიოზულად.

– ვერთობი, ვთევზაობ, განა უკვე იყიდეთ ეს ტერიტორია? – ვპასუხობ მე;

– ვიყიდე, გავყიდე არ ვიცი მე, მაი მიწა ჩემია და სოფლის, ვინც არ უნდა იყიდოს მაინც ასეა, მასე იყო ოდითგან და მასე იქნება ყოველთვის, – ბრაზი შეეპარა ხმაში;

ჩამოჯდა.

– აქაური ვარ, ხუნჯულაურიდან, განაგრძო მან, მიყვარს სტუმრები, ახლა ბევრია სოფელში, ქალაქელებს ძველებურად ფული არა აქვთ ზღვაზე სანებივროდ და ამ სიცხეში სოფელმა დაიფასა თავი!

–ისე, კაცმა რომ თქვას, მეგრელები გაღმა უნდა იყოთ, აი, ხედავ, მაღალ ხეებს, იქ სოფელი მარანია, უკვე სამეგრელო, დაამატა, ერთი შეხედვით სავსებით სერიოზულად;

– არაა კარგი ხალხი მეგრელები, არ დაგვიტოვეს კვატია და ქათამი, შუადღეზეც გადმოდიან, გაუმართლათ ამ პაპანაქებაში, სიცხისგან არც ჩვენი ქათმები იღებენ ხმას, კვატიებმა მთლად დაკარგეს ტვინი, ღედა გამზრდელივით მიჰყვებიან მამაძაღლებს უხმოდ, სახლში კი ძილს არ გაცლიან, ჩაიცინა მან;

– თუ ასეა, რად არ მიმართავთ, კანონს, პოლიციას? – ბრაზნარევად ვეკითხები.

– კანონს? – გაიკვირვა მან. – მისთანა შუამავლებს გამოგიგზავნიან ეგენი, კიდევ ხუთი კვატია უნდა დააკლა ზედ, ინდაურიც უნდა მიაყოლო და გოჭიც; ახლა დვინოსაც არ იკითხავ? თავს მოგჭრიან დუნიაზე, ეს რა მჟავე ღვინო დაგვაძალესო, თითქოს ჩვენ ვიყოთ ქურდები და არა ისინი;

– მერე რატომ აკეთებთ ამას? – თითქმის გულუბრყვილოდ ვკითხე მე.

– ჩვენ, იმერლები ვართ, სტუმარი მოვა სახლში და მაგას კვატიას დავამადლი?

მივხვდი ვისთანაც მქონდა საქმე. ის იმერელი იყო, თავისი ხალხის შვილი, იუმორით და ღირსებით აღსავსე, მსახიობობდა უბრალოდ.

– მეც ქართველი ვარ კოლხადან, პროტოქართველური და წიგნიერი ენით, ნამდვილი ქართველი, თითქოს ვიწყინე მთელი ხალხის ქურდად გამოცხადება და გაბრაზებულის სიფათი მივიღე;

– რა თქმა უნდა გეწყინება, როცა, ცხენის ქურდობაში გმირი ხალხი, ახლა მხოლოდ კვატიებს იპარავთ!

თქვა და ახარხარდა.

– სადღაა ცხენი, ნამეტნავად დეიფასა თავი, ახლა ის **„მერსედესია“** სოფელში!

ასე დავმეგობრდით მე და ვატი, ვასილ წულაია, სოფლის ერთერთი გამორჩეული კოლორიტი.

* * *

მეორე თუ მესამე ღღეს მასპინძლებმა მეოთხე კლასელი ნიკა გამომაყოლეს: ნიჭიერი, მოაზროვნე, ნაკითხი ბავშვია, რომელმაც ისიც კარგად იცოდა თუ სად და რა თევზი ბინადრობს.

შუადღეზე ვატი წამოგვადგა თავზე.

– რა ხდება? – ვეკითხები მე.

– გული მიგრძნობს, რომ მარნიდან უნდა გადმოვიდნენ, ფაქტზე მინდა დავიჭირო. კაი დედმამისშვილები, თუ იქით არ წაგვიყვანენ და ხუთ ვარიას თუ არ დაკლავენ, ჩემი მეგობრები უკვე გამზადებული არიან საქეიფოდ. თხილს აგროვებენ თავიანთ ეზოებში, დავუსტვენ და აქვე გაჩნდებიან.

ვატი მიხვდა, რომ ამ თემაზე საუბარი ჩემთვის მიმზიდველი არ იყო და შეეცადა თემა შეეცვალა.

– აი ბაღანა რატომ წამეიყვანე? – მკითხა მეტად სერიოზულად.

– მეგზურია ჩემი, – ვუპასუხე ასევე სერიოზულად.

– აგაშენა ღმერთმა, ბებიამისი, სულიკო, ისე აჭმევს ინდაურის ჭუკივით პირში ჩატენით, რომ ორ საათში ფოთოლს არ დატოვებს ამ ხეებზე და ხელი მაყვლის ბუჩქებისკენ გაიშვირა;

მერე განაგრძო:

– აი, ამირან ბიძია თბილისში აპირებს წასვლას, ბუში უნდა ჩამევიყვანო სოფელშიო.

– ამერიკის პრეზიდენტი შარშან იყო თბილისში.

– ჰო, და სწორედ ეს აწუხებს, იმერეთის უნახავად და პრასის გაუსინჯავად რა წარმოდგენა დარჩებოდა საქართველოზეო.

მე სიცილისაგან ვიგუდებოდი, თვითონ კი დინჯად იყურებოდა წყალგაღმა.

* * *

ჩამძინებოდა. ვატიმ გამაღვიძა.

– შეხედე რამხელა უხსენებელი გითვალთვალებს და უზარმაზარი ჭრელმუცელა გველი დამანახა, რომელიც სამშენებლო კოჭს შემოხვეოდა.

– არ იკბინება, ეგეთი გველი შხამიანი სულაც არ არის, – მშვიდად ვთქვი მე.

– ჰო, ჰო, გული დაიმშვიდე შენ. აქ ისეთი გველები ყოფილან, რომ ცხენებს ყლაპავდნენ მხედრიანად, – ლეგენდები მაინც არ გაგიგონია ცხენისწყალსა და აბაშაზე?

– ტყვილია ყოლიფერი ეს. შეხედე რამდენი ცხენი ბალახობს ცხენისწყლის ჭალებში, თანაც ცხენის ქურდობა აქ გამორიცხულია. თუ წმინდა სისხლის არ არის, ასე იყო ათაბაბადან. აქ კარგი საბალახო ადგილებია, მთელი საქართველო აქ დაეძებდა დაკარგულ ცხენებს, ამიტომ შეარქვა ხალხმა ცხენისწყალი, – ლეგენდის თავისი ვერსია წარმოადგინა ვატიმ.

– გაზვიადებულია, – თავი გავაქნიე მე.

– თუ ჩემი არ გჯერა ამირან ნინუას კითხე, რომელსაც ასი წელიწადია ტყუილი არ უთქვამს. ეს არის, რომ კომუნისტებს ატყუებდა ბევრ რამეში, ისინიც უჯერებდნენ და ასე გახდა ჩვენი სოფელი ერთ-ერთი უმდიდრესი და სახელოვანი მთელ იმერეთში, ამირანი კი საბჭოს მდივანი!

– ცხენისწყალზე მომიყევი კიდევ რამე თუ კაცი ხარ, – ვთხოვე ვატის.

– მეზარება საუბარი, ხალხი ხომ იცი რანაირია: იტყვი მართალს და ტყუილი ჰგონია, იტყვი ტყუილს და ბედნიერია. ჰო და, არ მიყვარს ტყუილები. რადგან მთხოვე და ჩემი გჯერა, შენ მაინც გეტყვი სიმართლეს.

– სიამოვნებით მოგისმენ, დავუდასტურე მე.

– ამას წინათ გადეირია ცხენისწყალი, ლამის ხუნჯულაურის ცენტრამდე ამევიდა. მღვრიე ურჩხულივით მოედო აქაურობას, მიჰქონდა და მოჰქონდა ხალხის და თავისი საკუთრება. ეს დრო ლოქოებზე ნადირობის დროა და მეც გავმართე რამდენიმე ანკესი, რა სათქმელია, ფოლადის ჯაჭვები დავჭიმე ანკესზე, ზედ ამირანის გატიტვლებული ინდაურები დავამაგრე სპილენძის მავთულით და აი, იმ ასწლიან ჭადარზე დავაბი ღამით. დილით, ადრე გამოვედი და რას ვხედავ, ჭადარი ნახევრად წაქცეულია! გამევწიე და გამევწიე, კიდევ გამევწიე და გამევწიე. გამომყვა სანამ სიფათში არ შემხედა! მეც შევხედე და რკინის ლომი ვდრუზე თავში. წითლად შეიღება მღვრიე ცხენისწყალი. უშველებელი იყო დალოცვილი, ძლივს ავათრიეთ ამირანის ორთვალაზე. მთელი სოფელი მე შემომნატროდა. ასეთი ბედნიერება და სახელი არავის რგებია. იმხელა თავი ჰქონდა, რომ ძლივს გეეტია სახლის კარებში. დედაჩემს შეეშინდა, მაგრამ შეევხვეწე, მუცლის მოშორებაში დახმარება ვთხოვე. ჰოდა, რაღა ბევრი გავაგრძელო, დედაჩემმა ატეხა ერთი ალიაქოთი. ლოქოს მუცელში მთელი საწყობი იყო; ახალთახალი კალოშები და ბათინკები, ტუფლები, ვინ იცის კიდევ რა, ბოლოს კატა, რომელიც თითქმის ცოცხალი იყო. კატის დანახვაზე დედას გული ლამის წაუვიდა და მიმატოვა. ოჯახში არავინ დააკარა პირი ჩემს ნადავლს. კატა უმალ მოვაშორე იქაურობას, ფეხსაცმლებს კი არაფერი დაეწუნებოდა. ერთი წყვილი ტუფლი ჩემთვის გადავმალე, ორი წყვილი კალოში ამირანს გადავეცი ინდაურების სანაცვლოდ, რომლებიც მეგრელების მოპარული ეგონა და ქურდები ილორის ხატს გადასცა, დანარჩენი, უფრო პატარები, სკოლის ბავშვებს გავუგზავნე; ახლაც აცვიათ წვიმაში.

– არ გჯერა ჩემი? მიდი, ნახე! ამირანი ცხენიდან ახლა ველოსიპედზე გადაჯდა და დააკვირდი, ის კალოშები თუ არ აცვია. თვითონაც გეტყვის, მაგრამ ინდაურზე არაფერი უთხრა, ასაკშია უკვე, ეწყინება ჩემგან!

გარეგნულად არაფერი შევიმჩნიე, მაგრამ თვალმოჭუტულმა შევუქე ვაჟკაცობა და ქველმოქმედება, თუმცა ახარხარებისგან ძლივს ვიკავებდი თავს, სუნთქვა მეკვროდა. ვატი კი, თითქოს არაფერიაო, ოცნებებში გართული, მარნის მაღალი ხეების კორომს არ აშორებდა თვალს.

– ბატონო ვასილ, ეტყობა, იმერლებსაც დაგცდებათ ხელი ფრინველებზე ზოგჯერ, – ვუკბინე ვატის.

– ოო, განერდი ახლა. შენ, ეტყობა გეწყინა მეგრელებზე ჩემი ნათქვამი. ეს გართობაა, საბაბია ქეიფისთვის, როცა მოგვენატრება ერთმანეთი. ქურდობა იმას ჰქვია, რაც ძველი ხელისუფლების დროს ხდებოდა. სხვისი მაგალითი რად მინდა, განა ჩვენი სოფლის არ არის საკმარისი? გაიხედე უკან. იცი რა ფერმები იყო აქ, რა მექანიზაცია, რამდენი ძროხა და კამეჩი. ახლა მხოლოდ ნანგრევებია. რაღაცრაღაცები გადავარჩინეთ, თოფებით ვიცავდით იქაურობას, მაგრამ რად გინდა, მერე იმან გაიტანა თურქეთში ჯართად, ვინც შეისყიდა. ვართ ახლა უმუშევრები და ვეძებთ გასართობს. მე, მგონი, თურქეთში გავიპარები, მრცხვენია უსაქმურად ყოფნის;

– ბიზნესს, კომერციას, სოფლის სიმდიდრის ათვისებას დიდი ფული სჭირდება, ფული კი საიდან? ყველა თბილისში წავიდა, სოფელი ქალებსა და მოხუცებს შერჩათ. მეც მინდოდა წასვლა, სპეციალობით მშენებელი ვარ, მაგრამ ავადმყოფი დედა ვერ მივატოვე. რომ არ მოგატყუო, სოფელი ვერ მივატოვე, ცხენისწყალი, მეზობლები ვერ მივატოვე. მე ეს არ შემიძლია. არ ვიქნებით ყოველთვის დაწყევლილები, გამოჩნდება ვინმე ჩვენი მხსნელი, ან ჩვენ თვითონ მოვიფიქრებთ რამეს.

ვატის შევუქე კაიკაცობა, მშობლიური სოფლის ერთგულება და მოახლოებული არჩევნებზე ჩამოვაგდე სიტყვა. დიდი მოთმინებით მისმენდა, ცქმუტავდა, მერე ადგა, ღმერთმა გისმინოსო, მანუგეშა. მერე გაღიზიანებული ტონით მითხრა:

– ნიკოლოზის დროსაც ყოფილა არჩევნები, მაგრამ ძნელი დასაჯერებელია მისი პატიოსნად ჩატარება; შენ ალბათ იცი, საჩხერეში, აკაკის სოფელში, ამ გენიოსის ნაცვლად მისი მეზობელი ვაჭრუკანა აურჩევია ხალხსო, – მომაჩეჩა საფიქრალი და წავიდა.

* * *

ჩვენი წამოსვლის წინაღამეს ახვლედიანების ოჯახში სუფრა გაშალეს. ვატი არ ჩანდა. კარგად შექეიფიანებული ვიყავით, როცა ვატიმ დაიძახა: კარები გააღეთ და და ჯაბახანა ავტობუსი გასწიეთო. ოჯახის უფროსი, ბატონი ვალერიანი, კარებთან მივიდა. მოგვიანებით, ხმამაღალი სიცილი წასკდა და ექოდ გაიფრქვა ცხენისწყლის უშველებელ ჭალებში, რომელსაც იმჟამად ჭიაყელასავით დაწვრილებული მიუყვებოდა ღონემიხდილი ცხენისწყალი.

ავტობუსი არეხრეხდა, კალიების მშვენიერი გალობა დააფრთხო და განზე გადგა. ეზოში შავი ცელოფნით გადახურული ორთვალა შემოათრია ამირანის ცხენმა და ლამის ზედ სუფრაზე მოაგდო. – აი, საჩუქარი აბაშელი მეგრელებისგან, ჩემი ფეშქაშია სტუმრებისადმი. ამირანის სახელს გეფიცებით, არ მომიპარავს. დეიდაჩემმა იმდენი მამუშავა **„პოსლეზე“** მის მოყვანაში, რომ ვერ დაველოდე გაყიდვას; უნებართვოდ შევაგროვე. სულ ეს არის. სული მოითქვა და განაგრძო:

– იქ პოლიციის ახალი უფროსი ჰყავთ, გამკაცრებულია შემოწმება, ამიტომ ცელოფანი გადავხსენი და ვიძახე, – ვის გინდათ ნესვი, კარგი ნესვი იაფად. არავინ გაგვკარებია, არც პოლიციელი, რომელსაც ნაქურდლის წილში შევიყვანდი. დალევა არ დამაძალოთ, ნასვამი ვარ, ხვალ აბაშელები, ამოვლენ, რაც დედაჩემს სამი ქათამი და ერთი კვატია დაუჯდება, მე კი ფორმაში უნდა ვიყო, რათა სირცხვილი არ ვჭამოთ იმერლებმა აწ უკვე **„დაზარალებული“** დეიდაჩემის ხალხის წინაშე. კარგი ღვინოც მაქვს საშოვნი.

რადგან ვატი მოვიდა, ამირანი სუფრიდან ადგა, აქ მე უკვე ნამდვილად არაფერი მესაქმებაო.

სუფრა სხვა ეშხით და პეწით გახურდა...

# ქართული პოლიტიკის ლაბირინთები

პოლიტიკა ჭრელია... ჭრელზე უფრო ჭრელი... ზოგისთვის აღმართია... ზოგისთვის დაღმართი. მაგრამ განსაკუთრებული სიჭრელით, მაინც ქართული პოლიტიკა გამოირჩევა. მის ლაბირინთებში გზის გაკვლევა რთულია – დაბრკოლებებითა და ხაფანგებითაა სავსე. შეიძლება ითქვას, რომ ეს ლაბირინთი დახშული ჩიხია, რომელსაც გასასვლელი არა აქვს და თუ გაგიმართლა გარეთ იმ გზით გამოხვალ საიდანაც შეხვედი, თუ არადა წრეზე ტრიალი მოგიწევს დაუსრულებლივ.

მართალია ეს სიტყვები მეტაფორაა, მაგრამ დევს მასში რაღაც სიმართლის მარცვალი, რადგან ქართული პოლიტიკა მართლაც არეულ-დარეულია და მოუწესრიგებელი სფეროა. პოლიტიკური ჯგუფებისთვის (როგორც სახელისუფლებო, ისე ოპოზიციური) ცრუ დაპირება და დემაგოგია, დროებითი გაერთიანება და მოულოდნელი დაშლა, მუქარა და მლიქვნელობა, უპრინციპობა და უიდეობა და ასე შემდეგ. კარგად დამკვიდრებული **"წეს-ჩვეულება"**, რაც ხელს უწყობს პოლიტიკურ არასტაბილურობას და საზოგადოების პოლიტიზაციას (თუმცა გარკვეულ პერიოდში აბსოლუტურ ინდიფერენტულობას).

დღეს ჩვენს წინაშე არასასურველი რეალობაა, რომელიც დამოკლეს მახვილით არის დაკიდებული საქართველოს თავზე: ტერიტორიული მთლიანობა დარღვეულია, სუვერენიტეტი შელახული, ტერიტორიის 20 პროცენტი სეპარატისტთა ჯარის მიერ არის ოკუპირებული (ჩვენი ჯარისკაცები კი ცხარამთას იქით, უცხო მიწაზე იხოცებიან), ქვეყნის დემოკრატიული განვითარება დამუხრუჭებულია, ტოტალური უმუშევრობა პიკს აღწევს, სოციალური მდგომარეობა პერმანენტულად უარესდება, გადასახადები (კომუნალური, სამგზავრო და ა.შ.) იზრდება, სურსათი ძვირდება, მოსახლეობას კი შემოსავლის წყარო არ გააჩნია. მდგომარეობა ძალიან რთულია. მაგრამ ვინ გვთავაზობს გამოსავლას? – გამოსავალს არცერთი პოლიტიკური ძალა არ გვთავაზობს: ზოგად მცნებად არის ქცეული ერთობა, ზოგი ჩაქინდრულა, ზოგი რიტორიკასაა აყოლილი. პრაქტიკული ნაბიჯები კი არ ჩანს. რატომ? – უბრალოდ საზოგადოება არავის აინტერესებს. ის მხოლოდ იარაღია ძალაუფლებისათვის ბრძოლაში. მაგრამ რას აკეთებს თავად საზოგადოება? – არც არაფერს! სადღაც **"კუთხეში"** მიყუჟული, ხმისამთვლელად ელოდება **"სასიკვდილო განაჩენს"**. რა არის ამის მიზეზი? – საზოგადოება დაიღალა **"ლაბორატორიის საცდელი ბაჭიას"** როლში ყოფნით. უბრალოდ მოდუნდა და გამოიფიტა. ცრუ იმედებს და მოლოდინებს, რომლითაც პოლიტიკური ძალები წლების მანძილზე ასაზრდოებდნენ საზოგადოებას, დღეს მასტიმულირებელი ეფექტი არ აქვს (ეს ნათლად გამოჩნდა სახალხო კრების **"დამფუძნებელ ყრილობაზე"**). საზოგადოებაში კი დღითიდღე იზრდება პოლარიზაცია და ანტაგონიზმი, რაც ხელს უშლის ძლიერი სახელმწიფოს მშენებლობას და ქართველი ერის ერთიან ორგანიზმად ჩამოყალიბებას.

მართალია ხელისუფლება **"ქამრების მოჭერის"** პოლიტიკაზე ხმამაღლა საუბრობს, მაგრამ რეალურად ქამრებთან ერთად საბმელით უჭერს ყელზე საზოგადოებას. ხელისუფლება მუდმივად ტრაბახობს **"საქართველოს ნომერ პირველ რეფორმატორად"** არის გამოცხადებულიო, მაგრამ იმაზე არაფერს ამბობს, რომ ამ **"რეფორმებს"** საქართველოს მოსახლეობის საკეთილდღეოდ დადებითი გავლენა რომ არ მოუხდენია. ისმის კითხვა: რეფორმები რომლებიც საზოგადოებაზე დადებითად არ აისახება რამდენად შეიძლება იყოს წარმატებული რეფორმა? – სახელმწიფო რომლის სოფლის მეურნეობა პრაქტიკულად მოშლილია და მნიშვნელოვან საექსპორტო პროდუქციას არ აწარმოებს, სახელმწიფო რომლის არსებობას უცხოური ბანკებიდან და ფონდებიდან (საფინანსო ორგანიზაციებიდან) მიღებული დახმარება და კრედიტები განსაზღვრავს, სახელმწიფო რომლის ბიუჯეტი ძირითადად **"კანონიერი რეკეტის"** – ძალოვანი სტრუქტურების მიერ მოქალაქეების დაჯარიმების ხარჯზე ივსება, სახელმწიფო რომლის მოქალაქეების დიდი ნაწილი სიკვდილ-სიცოცხლის ზღვარზე დგანან, რეფორმატორ სახელმწიფოდ მისი გამოცხადება ცოტა არ იყოს უხერხულიც კია, უზნეობაზე რომ აღარაფერი ვთქვათ.

ცივილიზებული ერების უპირველესი მიზანი კეთილდღეობისთვის და ბედნიერებისთვის ბრძოლაა, მაშინ, როცა ჩვენი, ქართველების უპირველესი ორიენტირი პირველყოფილ ინსტიქტამდე – გადარჩენამდე არის დასული. ეს ხელისუფლების არასწორი პოლიტიკის შედეგია, რადგან უმუშევრობა ძირს უთხრის ქართული ოჯახის სიმტკიცეს, ეკონომიკური განუვითარებლობა და სოციალური გაჭირვება მძიმე ტვირთად აწევს საქართველოს მოსახლეობას. თუმცა მის გამოსწორებაზე არავინ ზრუნავს. უფრო მეტიც, კიდევ უფრო მეტად უმძიმებენ ცხოვრებას ადამიანებს. მაშინ როცა შემოსავლის წყარო საზოგადოების მნიშვნელოვან ნაწილს პრაქტიკულად არ გააჩნია გადასახადები თითქმის ყველაფერზე იზრდება (წყლის, მგზავრობის და ა.შ.). არსებული რეალობისთვის ანგარიშის გაწევა არ ხდება. ამ უსამართლობის წინააღმდეგ ოპოზიცია წესით უნდა აღშფოთდეს და შეშფოთდეს (ევროპელებივით მაინც) და დაიწყოს ბრძოლა საზოგადოების ინტერესების დასაცავად. მაგრამ ოპოზიცია არსად ჩანს. დახურულ კაბინეტებში ბჭობაზე არიან გადასულნი (ზამთარია და ალბათ სიცივის ეშინიათ). ხელისუფლებას კი არ აინტერესებს საზოგადოების აზრი: გინდ ხვეწით დაღლილხარ და გინდ გაგიპროტესტებია – სასურველ შედეგს მაინც ვერ მიაღწევ.

რაოდენ გასაკვირიც არ უნდა იყოს ხელისუფლებას და ოპოზიციას ერთნაირი ბუნება აქვთ, თითქოს ერთი ნიადაგიდან საზრდობს მათი **"ფესვები"**. საზოგადოების დაშანტაჟება მათთვის ჩვეული სტილია. რომელიც ერთ პრინციპზეა აგებული: **"თუ ჩემთან არ ხარ, ჩემი მოწინააღმდეგის მხარეს ხარ"**-ო. ეს ერთგვარი ფსიქოლოგიური ზემოქმედების ხერხია საზოგადოების დასათრგუნად მოფიქრებული. ორივე მხარე **"საფრთხობელებით"** მანიპულირებს: ხელისუფლება – რუსეთით, ოპოზიცია კი – ხელისუფლებით. საზოგადოება დათრგუნული და დაშინებულია. როცა ხელისუფლებას რუსეთთან ურთიერთობის გაფუჭებაში, ტერიტორიების დაკარგვაში და ქვეყნისთვის სხვა მნიშვნელოვანი პრობლემების მოსაგვარებლად უმოქმედოდ ყოფნაში დაადანაშაულებ მაშინათვე შეგამკობენ საკმაოდ არასასიამოვნო ეპითეტით– **"რუსეთის აგენტი"**, რითაც უმალ **"შეგმოსავენ" "ნაციონალი"** პოლიტიკოსები და ნაციონალური ტელევიზიები.

ოპოზიციასაც მსგავსი სტრატეგია აქვს არჩეული: მაშინაც კი თუ ხელისუფლების მიმართ კრიტიკულად ხარ განწყობილი, მაგრამ იმავდროულად არ მოგწონს ოპოზიციის მოქმედების პრინციპები თუ უმოქმედობა და ამას ხმამაღლა აფიქსირებ, ოპოზიციის ლიდერები მაშინათვე ხელისუფლების აპოლოგეტად და ოპოზიციის წინააღმდეგ მებრძოლად გამოაცხადებენ.

დღეს ჩვენ სიცრუის და ილუზიების ტყვეობაში გვამყოფებენ. გვატყუებენ და ვტყუვდებით. გვარწმუნებენ და ვრწმუნდებით. ერთის მხრივ ხელისუფლება საქართველოს, როგორც აყვავებული და წარმატებული სახელმწიფოს პოზიციონირებას ახდენს და ცდილობს დაგვაჯეროს, რომ ყველაფერი რიგზეა. მეორეს მხრივ, ოპოზიციის ლიდერები ხელისუფლების წინააღმდეგ ბრძოლის აუცილებლობაზე საუბრობენ და ხელისუფლების შეცვლის გარდაუვალობას პროგნოზირებენ. თუმცა ამის საიმპლემენტაციოდ აუცილებელი რეალისტური გეგმები არავის გაუმხელია საზოგადოებისთვის.

ეს აბსურდული რეალობაა, რომელიც არ უნდა გახდეს მიზეზი სიმართლის უთქმელობის და პირში წყლის ჩაგუბების. სიმართლის თქმა აუცილებელია, რადგან სიმართლე საუკეთესო წამალია **„სიცრუის სენით"** დაავადებული საზოგადოების გამოსაჯანმრთელებლად. წინააღმდეგ შემთხვევაში ჩვენს აზროვნებაში გაღვივების პროცესში მყოფი **„მონური თესლი"** ფესვებს გაიდგამს და ისევ გავხდებით მონატრულნი გონების გამოღვიძების, ისევ დავუწყებთ ძებნას მესია-ლიდერს, მაგრამ უკვე გვიან იქნება, რადგან იმ დროისათვის სახელმწიფოსთან ერთად ეროვნული სახეც დაკარგული გვექნება.

მაშინ როცა საქართველოს ხელისუფლებამ ჩრდილოეთ რესპუბლიკების მოქალაქეებისათვის გააუქმა სავიზო რეჟიმი, სიამაყით აცხადებდა, რომ: **"ჩრდილოეთ კავკასიის მცხოვრებლებს შესაძლებლობა ექნებათ ისარგებლონ ყველა იმ სიკეთით, რომელსაც კორუმპირებული და რეპრესირებული ფედერალური რეჟიმის პირობებში მოკლებული არიან სამშობლოში"**. დიმილის მომგვრელი განცხადებაა, რადგან იხატება ისეთი სურათი, თითქოს საქართველოში ყვავის დემოკრატია, სადაც ადგილი არა აქვს რეპრესიებს, სადაც ყვავის წვრილი და საშუალო ბიზნესი, კორუფცია აღმოფხვრილია და ამ ყველაფრით კი სარგებლობენ საქართველოს მოქალაქეები, ტკბებიან და ბედნიერად ცხოვრობენ. ხელისუფლების **"ლოგიკა"** მარტივია: იმ დროს როცა რუსეთი ავიწროებს ჩრდილოეთ კავკასიის მოქალაქეებს, რატომ არ უნდა ჰქონდეთ შესაძლებლობა გამოიყენონ საქართველოში არსებული **"სიკეთეები?"** ამაზე დიდი ცინიზმი არ არსებობს. მართალია ჩრდილოკავკასიელები ბევ რამეში რუსეთისაგან იგნორირებული და შევიწროებული არიან, მაგრამ არც საქართველოს მოქალაქეები ვართ **"ნასიამოვნები"** საქართველოს ხელისუფლების პოლიტიკით. რომელი სიკეთით უნდა ისარგებლოს ჩრდილოკავკასიელმა მაშინ, როცა ჩვენ საქართველოს მოქალაქეებს დაგვავიწყდა სიკეთის **"გემო"**, ხოლო მზრუნველ ხელისუფლებაზე საუბარი ხომ ზედმეტია. ხელისუფლება მუდმივად საუბრობს აღმოფხვრილ კორუფციაზე, რომლის დამადასტურებელ არგუმენტადაც მოჰყავს იმ სიმახინჯეების მოსპობა, როცა საჯარო მოხელეები (პოლიცია, მებაჟე და ა.შ.) ყოველ ფეხის ნაბიჯზე ქრთამს იღებდნენ, მაგრამ მათ ავიწყდებათ, რომ ამ ზემოაღნიშნული კორუფციული სიმახინჯეებისაგან არაფრით განსხვავდება ის **"ევროსტანდარტირებული"** გადასახადები (კომუნალური, ტრანსპორტის და სხვა), რომელიც დაუსაქმებელი, უშემოსავლო და გაღატაკებული მოსახლეობის აუტანელ ყოფა-ცხოვრებას კიდევ აუტანელს ხდის.

**ზურაბ ჯამბურია,**
**პოლიტოლოგი**

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)

# მეგობრები გვილოცავენ



**სახალხო მოძრაობა „სამეგრელოს", გაზეთ „ილორის" რედაქციას, მთავარ რედაქტორს, ბატონ როლანდ ჯალადანიას, ევროპის ხალხთა გამაერთიანებელი ჰუმანიტარული ორდენის „Cordon Bleu Du Saint Esprit" წევრებს ბატონებს ოთარ ფაცაციას, დავით ქობალიას, შალვა ამირეჯიბს, „თბილავიამშენის" გენ. დირექტორს ბ-ნ პანტიკო თორდიას, ჩემს ძვირფას ქართველ ხალხს, ვულოცავ შობა-ახალ წელს და ვუსურვებ დამდეგი 2011 ყოფილიყოს ბედნიერების და საქართველოს ტერიტორიული გამთლიანების დასაწყისის წელი.**

**წარმატებებს და მრავალ სასიხარულო დღეებს ვუსურვებ ჩემს საყვარელ საქართველოს და მამაც ქართველ ხალხს!**

**გრაფი, დოქტორი**
**რაინერ გაისლერი,**
**დორნბირნი, ავსტრია.**

**16 წელი შესრულდა მას შემდეგ, რაც ჩვენთან პირველი ქართველი სტუდენტ ჩამოვიდა. მას შემდეგ მათმა რიცხვმა რამდენიმე ათეულს გადააჭარბა და გვიხარია, რომ დღემდე თითქმის ყველა მათგანთან გვაქვს ურთიერთობა. სწორედ მათგან დამკვიდრდა ჩვენთან შობა-ახალი წლის ორჯერ აღნიშვნის ტრადიცია. ჩვენ კათოლიკური შობა 24 დეკემბერს ვიზეიმეთ, 7 იანვარს კი ჩვენს საყვარელ მართლმადიდებელ ქართველებთან ერთად აღვნიშნავთ ამ დღეს.**

**გაზეთი „ილორი" ჩვენი ოჯახის მუდამ სასურველი სტუმარია და მის მკითხველებს და ქართველ ხალხს ბედნიერ დღესასწაულს ვუსურვებთ!**

**კლაუდია და**
**ურგენ ოემკე,**
**„Elbe-Trans" GmbH tangermiunde, გერმანია**

**სრულიად საქართველოს, სახალხო მოძრაობა „სამეგრელოს", გაზეთ „ილორის" რედაქციას, ჩემს ქართველ მეგობრებს, ყველა ქართველ ფეხბურთელს, განსაკუთრებით ზუგდიდის საფეხბურთო კლუბ „ბაიას" ვულოცავ შობა-ახალ წელს!**

**მარად სასიამოვნო მოგონებად დამრჩება წლები, რომელიც საქართველოში, კერძოდ – სამეგრელოში გავატარე როგორც ფეხბურთის სპეციალისტმა, რადგან საქართველო მართლაც მდიდარია ნიჭიერი ფეხბურთელებით, რომლებიც მალე იტყვიან საკუთარ სიტყვას მსოფლიო ფეხბურთის არენაზე. ასეთი აზრისაა ყველა, ვისაც კი ოდნავი შეხება ჰქონია ქართულ ფეხბურთთან.**

**ბატონების კლაუს და ჰაინც ტოპმიოლერის, რალფ მინგესა და სერგტ პეტარისგან დავალებული მაქვს მივულოცო შობა ახალი წელი ფეხბურთის ქართველ გულშემატკივრებს და ვუსურვო მათ დიდი წარმატებები სპორტულ და პოლიტიკურ სარბიელზე მათი ქვეყნის საკეთილდღეოდ!**

**ჰერბერტ ცანკერი,**

**საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების და ზუგდიდის „ბაიას" ყოფილი მწვრთნელი**

**სახალხო მოძრაობა „სამეგრელოს", გაზეთ „ილორი"-ს რედაქციას, საქართველოში გერმანული კულტურული მემკვიდრეობის მოძიებისა და მოვლა-პატრონობის ფონდს „Elisabetthal"-ს, პირადად ბატონებს როლანდ ჯალადანიას და დავით ქობალიას, ვულოცავთ შობა-ახალ წელს!**

**საგანგებოდ გვინდა მივულოცოთ შობა-ახალი წელი აფხაზეთის და ე.წ. „სამხრეთ ოსეთის" ლტოლვილ მოსახლეობას,**

**რომელთათვის არ არსებობს მათი მდგომარეობის შესატყვისი სანუგეშო სიტყვა და მომავალ 2011 წელს ვუსურვებთ საკუთარ სახლებში დაბრუნებას!**

**ჩვენთვის, ავსტრიელებისთვის ყველაზე მარტივად გასაგებია მათი მდგომარეობა, რადგან – 92 წლის წინ დუჩე მუსოლინის იტალიელი ფაშისტების მიერ ოკუპირებული „სამხრეთ ტიროლელები" დღემდე უშედეგოდ ეძებენ სამართალს პირდაღებული ევროპული დემოკრატიის პირობებში!**

**გრაფები, ქრისტინე და**
**გიუნტჰერ ფონ**
**შპილმანები, ევროპის ხალხთა გამაერთიანებელი, ჰუმანიტარული ორდენის „Cordon Bleu Du Saint Esprit" წევრები,**
**რიეტი, ავსტრია**



## სერგეი კრემლიოვი

# ბერია XX საუკუნის საუკეთესო მენეჯერი

თარგმანი **როლანდ ჯალაღანიასი**

ამავე ბრძანებით ასევე გათვალისწინებული იყო ფრონტების საზღვრებში სამსამი საჯარიმო ბატალიონების შექმნა (თითოეული 800 კაცის შემადგენლობით), რომელშიც ჩაირიცხებოდნენ დანაშაულში შემჩნეული საშუალო და მაღალი რანგის ოფიცრები და პოლიტმუშაკები (და არა **"გულადი"** სისხლის სამართლის დამნაშავეები).

ბრძანებაში ასევე მითითებული იყო თითოეულ არმიათა შემადგენლობაში ხუთიდან ათამდე საჯარიმო ათასეულების ჩამოყალიბება (თითოეულში 150-დან 200 კაცამდე). რომელშიც შევიდოდნენ დამნაშავე ჯარისკაცები და უმცროსი მეთაურები.

ეს ხდებოდა 1942 წლის ზაფხულში. მაგრამ ჩვენ ვნახეთ, რომ შინსახკომის დაცვითი ქვედანაყოფები ჩამოყალიდნენ დიდი სამამულო ომის დაწყებისთანავე, რაც სავსებით გასაგებია, რადგან მათ მთავარ ამოცანას წარმოადგენდა უკანდახეული საბჭოთა ჯარისკაცების დაუნდობლად ულეტვა ტყვიამფრქვევებით, არამედ ქვედანაყოფებს მოწყვეტილი და გზააბნეული ჯარისკაცების სპეციალურ პუნქტებსა და კომენდატურებში თავმოყრა, რათა შემდეგ შემდეგ ისინი თავიანთ ნაწილებში გადაეგზავნათ, ან მათგან ახალი ქვედანაყოფები ჩამოყალიბებულიყო.

მაგრამ, როცა შემდეგ გახშირდა ბრძოლის ველიდან გაქცევის შემთხვევები, ბრძოლებმა კი პოზიციური ხასიათი მიიღო, არმიათა დაცვითი ქვედანაყოფების ფუნქციები შეიცვალა. აქ კი კვლავ იაკოვლევის **"დემოკრატთა"** ფონდს დავესესხები. თუ ისინი ყველა ცოდვას საბჭოთა ხელისუფლებას არ მიაწერენ (თვით **"დემოკრატებიც"** კი), ესე იგი, ამგვარი ცოდვა საერთოდ არ არსებობდა ბუნებაში.

ამრიგად, დოკუმენტთა კრებულის **"ლავრენტი ბერია. 1953"** II განყოფილების, 30-ე შენიშვნის 408-ე გვერდზე შავით თეთრზე სწერია:

**"პირველი გზის ჩამკეტი დაცვითი რაზმები შეიქმნა 1941 წელს. უმაღლესი მთავარსარდლის მთავარბანაკის 1941 წლის 5 სექტემბრის დირექტივით, რომლის თანახმადაც ბრიანსკის ფრონტის ჯარების სარდალს ა. ერემენკოს "წინადადება ეძლეოდა (და არა ევალებოდა – ს.კ.) შეექმნა გზის გადამკეტი დაცვითი რაზმები იმ დივიზიებისათვის, რომლებმაც ვერ გამოავლინეს ბრძოლებისას სათანადო სიმტკიცე. ამ რაზმებს ევალებოდათ, რომ არ დაეშვათ მებრძოლთა თვითნებურად უკანდახევა, შეეჩერებინათ ფრონტიდან გამოქცეული ჯარისკაცები, აუცილებლობის შემთხვევაში კი გამოეყენებინათ ცეცხლსასროლი იარაღი". სსრკ თავდაცვის სახალხო კომისარიატის 1942 წლის №27 ბრძანების შესაბამისად სამხედრო საბჭოები და არმიის სარდლები ვალდებული იყვნენ ჩამოეყალიბებინათ 3-5 კარგად შეიარაღებული დაცვითი რაზმები...**

**... ფრონტის ხაზებზე მდგომარეობის გამოსწორების შემდეგ ჩვენი დაცვითი რაზმები ფუნქციონირებდნენ მხოლოდ სსრკ შინსახკომის სისტემაში და ისინი იცავდნენ მოქმედი არმიების ზურგს. 1944 წლის 29 ოქტომბერს, თავდაცვის სახალხო კომისარიატის №349 ბრძანებით ეს ქვედანაყოფები გაუქმდნენ".**

აი, მთელი სიმართლე **"პირსისხლიან"** გზის გადამკეტ დაცვით რაზმებზე, რომლებიც თითქოსდა შეუბრალებლად ულეტდნენ საკუთარ ჯარისკაცებს. ამ სისულელეების მროშავთა არმიას მინდა დავეკითხო: ვინ დაიცავდა სამშობლოს, თუ შინსახკომის რაზმები დედაბუდიანად ამოწყვეტდნენ ფრონტის წინა ხაზზე მებრძოლ საბჭოთა ჯარისკაცებს? მაშინ ხომ თავად ეს დამცველი რაზმები აღმოჩნდებოდნენ გავეშებული მტრის პირისპირ?

ამდენად, თუ თავდაცვის სახალხო კომისარიატის დაცვითი რაზმები ფრონტის სიახლოვეს ისროდნენ, ისინი ან მტერს ესროდნენ, ან საბჭოთა ჯარისკაცების თავებს ზემოთ გადაატარებდნენ ხოლმე ავტომატების ჯერს, რათა გონზე მოეყვანათ შიშისაგან აზრგამოცლილი ზოგიერთი ჯარისკაცი. ისინი, იშვიათ შემთხვევაში ესროდნენ ხოლმე ბრძოლის ველიდან ლაჩრულად გაქცეული ასეულის მეთაურს.

იმ საბედისწერო დღეებში, როცა დაპატიმრების შემდეგ ბუნკერში იჯდა, ბერიამ გაიხსენა ეს გზისჩამკეტი დაცვითი რაზმებიც. მე ახლა მოვიყვან ნაწყვეტს წიგნში **"ანონსირებული"** ტექსტიდან, სადაც ჩანს, რომ სსრკ ყოფილი შინაგან საქმეთა სახალხო კომისარი ამაყობდა კიდეც 1941 წელს ფრონტებზე შქმნილი მდგომარეობის სტაბილიზირებით. და არა თავისი **"ჯალათური"** ბუნებითა და სისასტიკის გამოვლინებით, არამედ იმიტომ, ბერიას მონდომება, საიდანაც არ უნდა შევხედოთ, მისი ნამდვილი დამსახურება გახლდათ!

რას ნიშნავს გზის გადამკეტი დაცვითი რაზმების შექმნა და თუნდაც მათ მიერ მხოლოდ ათი ათასი ადამიანის დახვრეტა, მაშინ, როცა ფრონტებზე ქაოსის აფეთქებით რეალური საფრთხე ექმნებოდა საბჭოთა კავშირის გადარჩენას? ეს იმას ნიშნავდა მაღალპროფესიულად, აწონილ-დაწონილად მოქმედებას და არა იმას, რომ ნებისმიერისათვის პისტოლეტი ჩაეჩარათ პირში. მაგრამ ქვეშემრდომთა საქციელი ბევრად არის დამოკიდებული მათი მეთაურების საქციელსა და განწყობაზე. ბერია რომ მათ დამუქრებოდა **"შეუსრულებლობისათვის..."**, **"სისასტიკის არგამოჩენისათვის"**, გზის ჩამკეტი დაცვითი რაზმებისათვის პროცენტი რომ დაეწესებინა, დამერწმუნეთ, მსხვერპლი ბევრად მეტი იქნებოდა.

მათ შორის – უდანაშაულო ხალხის.

ამასთან, თუ თავდაცვის სახალხო კომისარიატისათვის საჩოთირო იყო ფრონტიდან გამოქცეულებისა და სილაჩრისათვის დახვრეტილი ხალხის რიცხვის ზრდა (ეს ხომ არმიის მდგრადობის დაბალ მაჩვენებელზე მიანიშნებდა), შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატისათვის მეტად მაცთუნებელი გახლდათ ამგვარ დანაშაულობათა მაღალი მაჩვენებელი, რადგან ეს მათი სიფხიზლისა და უზადოდ მუშაობის ინდიკატორი იქნებოდა. ომი კი, როგორც საერთოდ ამბობენ, **"ყველაფერს ჩამოსწერს"**! ბერიას კი არასოდეს აწუხებდა **პროცენტომანია,** განსაკუთრებით იქ, სადაც შეიძლებოდა სისხლი დაღვრილიყო. ესე იგი, ეს საკითხი არ აწუხებდათ მის ქვეშემრდომებსაც...

ახლა კი დადგა დრო, მკითხველს გავაცნოთ ბერიას მიერ დაპატიმრების შემდეგ დაწერილი ის ბარათი, რომელშიც მოხსენიებული არიან პერვუხინი და საბუროვი... ჩვენ უკვე საკმაოდ ბევრი რამ ვიცით ამ ბარათის ავტორზე, რათა გულისყურით წავიკითხოთ იგი. ამასთან, ბერიას აღიარებები საჭირო არა მხოლოდ სსრკ შინსახკომში მისი დამსახურებების სადემონსტრაციოდ დიდი სამამულო ომის წლებში... ისინი დამატებით შუქს ჰფენენ მის მანამდელ მოღვაწეობას ამიერკავკასიაში... და მის მოვალ ბედსაც...

ქვემოთმოყვანილ სტრიქონებზე რომ ვფიქრობ, მიზანშეწონილად მიმაჩნია დროებით მოვწყდეთ ლავრენტი ბერიას დამსახურებებზე მსჯელობას დიდი სამამულო ომის პერიოდში. სამაგიეროდ, ვფიქრობ, რომ უკეთესად გავეცნობით მთელ მის ცხოვრებას.

მაშ ასე, 1953 წლის 1 ივლისს იგი სწერდა გიორგი მალენკოვს (როგორც ჩანს ბერია დელავდა და ამიტომ აქვს დაშვებული შეცდომები, რაც ჩასწორებულია ჩემს მიერ):

**"ამხანაგები პერვუხინი და საბუროვი ამბობდნენ, რომ მე პრივილიგირებული პიროვნება ვიყავი სტალინის სიცოცხლეში. ეს რომ სიმართლე არ არის, გიორგი, შენ ყველაზე კარგად იცი. ეს პრეზიდიუმის სხვა წევრებმაც იციან. სრული ჭეშმარიტება გახლავთ ის ამბავი, რომ ჩემი ამიერკავკასიასა და საქართველოში მუშაობის პერიოდში საკავშირო კომპარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტი და პირადად ამხანაგი სტალინი ძალიან ბევრს მეხმარებოდნენ... [...]** (ჩვეულებრივი და ფრჩხილებში ჩასმული მრავალწერტილი ცვლიან ფრაზებს, რომლებსაც მე მოგვიანებით გავაცნობ მკითხველს. იგი არ შეიცავს არავითარ ფაქტობრივ მტკიცებულებებს, მაგრამ **ფსიქოლოგიურად** იგი ჩემთვის იმდენად მოულოდნელი, საჩვენებელი და დამამტკიცებელიაღმოჩნდა, რომ სჯობს ჯერ თავი შევიკავო მისი გამოქვეყნებისაგან. – ს.კ.) **მაგრამ, მას შემდეგ, რაც სამუშაოდ ქალაქ მოსკოვში გადმომიყვანეს და სსრკ შინსახკომის სისტემაში ეჟოვის შემდეგ მეტნაკლებად დამყარდა წესრიგი, სტალინმა თავისი განკარგულებით შინსახკომიდან გამოაცალკევა სსრკ სახელმწიფო უშიშროების მთავარი სამმართველო და განსაკუთრებულ განყოფილებასთან ერთად გადასცა სსრკ თავდაცვის სახალხო კომისარიატს. და მხოლოდ დიდი სამამულო ომის დაწყების შემდეგ, როცა საჭირო შეიქმნა უკანდახეული საბჭოთა ჯარების შეჩერება, შინსახკომს კვლავ შემოუერთდნენ სახელმწიფო უშიშროების კომიტეტი და განსაკუთრებული განყოფილება. დაცვითი რაზმების მიერ რამდენიმე ათასი დეზერტირის დახვრეტის შემდეგ** (იხილეთ მილშტეინის მიერ მოწოდებული **"ზუსტი რიცხვი"**), **რამაც დაარეგულირა სიტუაცია ფრონტებზე, სახელმწიფო უშიშროების კომიტეტი კვლავ გამოეყო სსრკ შინსახკომს.**

**ამხანაგებმა, ვინც ჩემს ახლოს წლების განმავლობაში მუშაობდნენ სკკპ (ბ) ცეკას პოლიტბიუროში, კარგად იციან ამის თაობაზე..."**

ეს სტრიქონები დაიწერა ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის (რომელმაც ცეკას პოლიტბიურო შეცვალა) იმ სხდომის შემდეგ, სადაც დააპატიმრეს ლავრენტი ბერია. და ბერია თავის წერილში იტყობონებოდა იმას, რაც კარგად იყო ცნობილი ცეკას პრეზიდიუმის წევრებისათვის, გარდა მაშინდელი ახალგაზრდა კადრების პერვუხინის და საბუროვისა.

შევეცდებით გავიგოთ – რა დაწერა ბერიამ? და, რაც მთავარია, რა დასკვნის გაკეთება შეგვიძლია ამ ჩანაწერიდან? აი, რა...

სტალინის ხელისუფლებაში მიმდინარე პროცესებს ბევრი **"ისტორიკოსი"** წარმოგვიდგენს მხოლოდ როგორც ინტრიგებისა და ხელისუფლებისათვის ბრძოლის ფენომენს – მე ამის თაობაზე უკვე ვისაუბრე. მაგრამ, ამგვარი დასკვნის გაკეთებისათვის არსად არავითარი ობიექტური საფუძველი არ არსებობს.

არავითარი!

თუ სტალინისა და მისი ლოიალური გარემოცვის სტალინამდე სიკვდილის მოქმედებებს განვიხილავთ როგორც ხელისუფლებისათვის ბრძოლას, გამოდის, რომ ისტორიული მეხსიერება გვღალატობს და მხედველობაში გვაქვს დღევანდელი სახელისუფლებო წიაღსვლები, ან ხრუშჩოვისა და ბრეჟნევის ეპოქის მოვლენები. ბერიას წერილიც ადასტურებს, რომ სტალინის ლოიალური გარემოცვა ინტრიგებით კი არ ერთობოდა, არამედ მუხლჩაუხრელად მუშაობდა. მოლოტოვი, კაგანოვიჩი, მალენკოვი და... სხვებიც... უპირველესად კი ბერია!

თანამედროვე ვაი-მკვლევარები ან შეგნებულად ურევენ ერთმანეთს ფაქტებს, ან ტვინი არ ყოფნით იმ პერიოდის რეალური სურათების აღსადგენად. მათ ავიწყდებათ, რომ სტალინის პერიოდში მაღალი თანამდებობა გახლდათ არა საუნებში ქალებთან კოტრიალი, არამედ დიდი პასუხისმგებლობა და მინდობილი საქმისადმი უაღრესად სერიოზული დამოკიდებულება.

თითოეული მათგანი – მოლოტოვი, კაგანოვიჩი, მალენკოვი, მიქოიანი, ბერია, ვოროშილოვი – ალბათ გახარებულებიც კი იქნებოდნენ, თუ თანამდებობრივი ტვირთი მხრებიდან მოშორდებოდათ. ეს მხოლოდ ახლა ხდება – რაც უფრო მაღალია თანამდებობა, მით უფრო მეტია ფული და სიამოვნება.

მაშინ კი ყველაფერი პირიქით იყო: მაღალი თანამდებობა ბევრ მუშაობას და მცირე სიამოვნებას ნიშნავდა. მაგალითად, ბერია და კაგანოვიჩი მრეწველობის სამსამ დარგს კურირებდნენ. მაგრამ, რას მიიღებდნენ პირადად, ხუთ-ხუთი დარგის კურატორები რომ გამხდარიყვნენ? მრეწველობის დარგები არასოდეს გახდებოდა მათთვის მეწველი ძროხა, როგორც ეს ახლა ხდება.

სამაგიეროდ სტალინის ეპოქის დიდ ხელმძღვანელს შეეძლო ის, რასაც ვერასდროს ვერ შესძლებს დღევანდელი ფორმაციის დიდი ხელმძღვანელი! აი, რას სწერდა ბერიას მოადგილე და თანამებრძოლი გენერალი **მასლენნიკოვი,** 1941 წელს, თავის ცოლს, ფრონტიდან:

**"ყოველდღე მიმდინარეობს სისხლისმღვრელი ბრძოლები. აი, უკვე ფაშისტების მეოთხე დივიზიას ვანადგურებთ. ჩემი არმია კარგ ანგარიშზე ითვლება... დაიწყო სიცივეები, წვიმები, ტალახში ვეფლობით მუხლებამდე, ჩაფხუტებიდან კი წყალი ჩაგვდის კისერში. ჩემი დღის წესრიგია: დილის 4-5, ზოგჯერ კი 6 საათზე ვწვები დასაძინებლად. სულ ორი საათი მძინავს, მერე 23 საათამდე პოზიციაზე ვიმყოფები და ამის შემდეგ ვკავდები საშტაბო სამუშაოებით".**

ბერია მოსკოვში მკაცრი რეჟიმით ცხოვრობდა, რომელიც დიდად არ განსხვავდებოდა მასლენნიკოვის რეჟიმისაგან. მხოლოდ ტალახში არ ეფლობოდა მუხლებამდე და არც ჩაფხუტიდან ჩასდიოდა წყალი კისერში. არც ტყვიები და ყუმბარის ნამსვრევები გადაუფრენდა ხოლმე თავზე.

რაც შეეხება სტალინის უშუალო გარემოცვას – ბერიას და მის თანამებრძოლებს, ისინი საკუთარ თავზე ამხელა დატვირთვას იღებდნენ არა რაღაც კომერციული მიზნის მისაღწევად, არამედ სამშობლოს დასაცავად.

ალბათ შეუძლებელია ასეთი ცხოვრების წესით ისულდგმულო და პოლიტიკური ინტრიგების ხლართვის სურვილი გაგიჩნდეს. სტალინის გარემოცვას არც ჰქონდა ინტრიგების დრო – მაშინ ისინი არსებითად სამშობლოს დაცვისა და საზოგადოების გარდაქმნის გრანდიოზული ამოცანების გადაწყვეტით იყვნენ დაკავებული.

ამიტომ, როცა პერვუხინი და საბუროვი ბერიას პრივილეგიებზე საუბრობდნენ, მათ მხედველობაში არ ჰქონდათ ის მატერიალურ-ფინანსური პრივილეგიები, რასაც დღევანდელი ჩვენი მმართველები ანიჭებენ ხოლმე საკუთარ ფავორიტებს.

არავითარი პრივილეგიით, როგორც დღეს ეს ესმით საბაზრო ეკონომიკის ფლაგმანებს რუსეთში, ბერიას სტალინისაგან არ უსარგებლია. ერთადერთი მისი პრივილეგია გახლდათ ის, რომ არ უკრძალავდა ბერიას თავის მხრებზე ეტვირთა ტიტანური სამუშაო.

და ვინაიდან ბერიას ეს საქმეები გამოსდიოდა, რა თქმა უნდა, სტალინი საკუთარი შესაძლებლობების ფარგლებში დახმარებას უწევდა მას. ეხმარებოდა არა პირადად ბერიას, არამედ იმ საქმეს, რომელსაც ბერია ასრულებდა.

სწორედ ეს გახლდათ სტალინის **"მფარველობა"**. ამის გარეშე კი ბერია არასოდეს დარჩენილა.

განსაკუთრებით – დიდი სამამულო ომის დროს...

**(გაგრძელება შემდეგ ნომერში)**

## "გრეჩიხამ" ხუბუასთან პირდაპირ ეთერში დებატებს თავი აარიდა

გაზეთ **„ასავალ-დასავალის“** ჟურნალისტი ჯაბა ხუბუა და **„ქართული პარტიის“** ერთ-ერთი ლიდერი ლევან გაჩეჩილაძე ტელეკომპანია **"მაესტროს"**, გადაცემა **"არგუმენტში"** დაგეგმილ დებატებში პირდაპირ ეთერში ერთმანეთს ვერ შეხვდნენ, თუმცა მანამდე ლევან გაჩეჩილაძე ჟურნალისტთან შესახვედრად ყველგან მზად იყო. ალბათ, **„გრეჩიხას“** პირდაპირი ეთერი არ ჰქონდა მხედველობაში და **„დიალოგს“** ქუჩაში გეგმავდა.

**"ქართული პარტიის"** წევრებიდან სასაუბროდ მზად მხოლოდ **კახა მიქაია** აღმოჩნდა, რომელსაც ჟურნალისტი გადაცემამდე ცოტა ხნით ადრე რადიო **„პალიტრის“** ეთერში ესაუბრებოდა. სწორედ **კახა მიქაიამ** გააკეთა განცხადება ხუბუას პირად უსაფრხოებასთან დაკავშირებით და, ჟურნალისტის თქმით, იგი შეურაცხყოფაზეც გადავიდა, რის შემდეგაც ჯაბა ხუბუამ რადიოს პირდაპირი ეთერი დატოვა.

მიქაიასთან გადაცემა **„არგუმენტში“** შეხვედრაზე თავად ხუბუამ განაცხადა უარი, რადგან სტატია მას **„ქართულ პარტიაზე“** არ დაუწერია. ჯაბა ხუბუა ირწმუნება, რომ შეხვედრა, რომელზეც ის საუბრობს და რომლის ირგვლივაც, რამდენიმე დღეა, საუბარი არ წყდება, არ არის გაჩეჩილაძის, ბურჯანაძისა და უსუფაშვილის ცნობილი შეხვედრა **პრეზიდენტთან. "ეს მოხდა 2008 წლის 5 იანვრის არჩევნების შემდეგ, ინაუგურაციამდე და იპოდრომის მიტინგამდე, რომლის შემდეგაც, გაჩეჩილაძემ ხალხი დაშალა და სახლებში გაუშვა,"** - განაცხადა ჟურნალისტმა პირდაპირ ეთერში. თუმცა ჯერჯერობით უცნობი დარჩა იმ ადამიანის თუ ადამიანების ვინაობა, რომელთა მეშვეობითაც ეს დიალოგი საჯაროდ გახდა ცნობილი. **"ეს ადამიანები რადიკალურად არიან დაპირისპირებულნი ხელისუფლებასთან; მათ სურთ, რომ, რაც შეიძლება სწრაფად, მოისპოს სააკაშვილის რეჟიმი,"** – განაცხადა ჟურნალისტმა.

ჟურნალისტი ახალ მასალებსა და იმ ხელნაწერს, რომელიც, მისი თქმით, ლევან გაჩეჩილაძეს ეკუთვნის, საზოგადოებას სულ მალე , სავარაუდოდ, გაზეთ **"ასავალ-დასავალის"** ახალ ნომერში დაჰპირდა.

ხუბუამ მის უსაფრთხოებაზეც გააკეთა განცხადება და ხალხს მოუწოდა, რომ რაიმე სახის პროვოკაციის შემთხვევაში, იგი მიხეილ სააკაშვილს, ვანო მერაბიშვილს და **„ქართული პარტიის“** წევრებსა და მათ მეგობრებს დაადებს ხელს.

ამ განცხადებას გადაცემის მეორე ნაწილში **„გრეჩიხას“** ძმა, მომღერალი **„უცნობი“** გამოეხმაურა და თქვა, რომ ხუბუას რომ მართლა რამე მოუვიდეს, საზოგადოება დამნაშავედ მხოლოდ **"ქართული პარტიის"** წევრებს ჩათვლის, რაც მათთვის დაუშვებელი და მიუღებელია. მან გადაცემის მსვლელობისას წყაროს არსებობა გამორიცხა და ჯაბა ხუბუას ფულზე გაყიდული ჟურნალისტი უწოდა, რომელსაც ამ გზით კარიერაში ერთი საფეხურით მაღლა ასვლა სურს. ამასთან, ჯაბა ხუბუამ ეთერში აღნიშნა, რომ ნებისმიერი ჟურნალისტი წყაროთი ხელმძღვანელობს და, თუკი აქვს საინტერესო ინფორმაცია, ამის გამოქვეყნებაზე არც ერთი მოქმედი ჟურნალისტი არ იტყვის უარს.

გია გაჩეჩილაძემ იპოდრომის მიტინგის დაშლა იმ ფაქტით ახსნა, რომ მათ ხალხზე იფიქრეს და, უბრალოდ, არ წავიდნენ სისხლის ღვრაზე. **„უცნობმა“** ასევე თქვა, რომ პრეზიდენტთან შეხვედრისას, როდესაც ის 300 ათასი ადამიანი, რომლებზეც გრეჩიხა ასე ზრუნავდა და რომლებიც მათ გადაწყვეტილებას ელოდებოდნენ, **„გრეჩიხა“** მისი ბავშვობის ოცნებაზე საუბრობდა სააკაშვილთან. გიორგი გაჩეჩილაძე მისი ძმის სიმართლეში დარწმუნებულია და იგი დაელოდება ექსპერტიზის გადაწყვეტილებას, **"აფერუმ ჩვენს ძმობას, თუ ლევანისა და სააკაშვილის შეხვედრაზე და ოც მილიონზე მე არაფერი ვიცი და ვიღაც ხუბუამ იცის. ეს გამორიცხულია! თუ ექპერტიზა დაადგენს, რომ ეს მართლაც ლევანის ხელნაწერია, მე მზად ვარ, პირდაპირ ეთერში გამოვიჭრა ყელი, ხოლო თუ ეს ინფორმაცია მცდარი აღმოჩნდება, რაშიც მე დარწმუნებული ვარ, მაშინ ჯაბა ხუბუამ ეს გაზეთი დაახვიოს და შეჭამოს,"** - პირდაპირ ეთერში განაცხადა „უცნობმა“.

მკითხველს შევახსენებთ, რომ საუბარია **სტატიაზე „ვაჭრობა ქვეყნით და ხალხით“**, რომელიც გაზეთ **„ასავალ-დასავალში“** (13–19 დეკემბრის №50) გამოქვეყნდა, სადაც ჟურნალისტი ჯაბა ხუბუა იუწყებოდა, რომ მან ნახა ფურცელი, რომელიც ლევან გაჩეჩილაძემ 2008 წლის არჩევნების შემდეგ, მიხეილ სააკაშვილთან შეხვედრისას, გადასცა პრეზიდენტს,სადაც ეწერა, რომ ლევან გაჩეჩილაძემ მას 5 მილიონი მოსთხოვა პირადი მოხმარებისთვის, ილია ჭავჭავაძის საადგილმამულო ბანკის ჩამოსაყალიბებლად კი - 10–12 მილიონი, პრემიერ-მინისტრის პოსტი – თავისთვის ან **„რესპუბლიკური პარტიის“** ლიდერის – დავით უსუფაშვილისთვის; უარეს შემთხვევაში, უსუფაშვილის მეუღლის და თანაპარტიელის – თინა ხიდაშელის საქართველოს გენერალური პროკურორის თანამდებობაზე დანიშვნას სთხოვდა.

## სვანეთის მოსახლეობა დაჭერების მორიგ სერიას ელის

როგორც საქინფორმს ადგილობრივებმა აცნობეს, ამ დროისთვის გარემოს დაცვის ინსპექციასთან ერთად ლენტეხის რაიონში თავდაცვის სამინისტროც მუშაობს. **„ე.წ. უკანონოდ მოჭრილი ხეტყის საქმე ძიებაშია და მეპატრონეები ოფიციალურად არ გამოუვლენიათ, თუმცა რამდენიმე პირის მიმართ ეჭვი უკვე გამოითქვა. დაჭერების სერია კი მას შემდეგ დაიწყება, რაც გარემოს დაცვის ინსპექცია რეინჯერებს თავიანთ უბნებს შეუმოწმებს და ტყეში შევლენ. ამ დროისთვის ხეტყის გადამამუშავებელი საწარმოების მეპატრონეებს, სადაც, მათი თქმით, უკანონოდ მოპოვებული ხე-ტყე აღმოაჩინეს, 10-10 ათასი ლარის ჯარიმა დააკისრეს. იმ ფაქტორს არავინ ითვალისწინებს, რომ სვანეთში თავის რჩენის ერთადერთი საშუალება სწორედ ხე-ტყეზე მუშაობაა და არც ერთ ოჯახს ამ ოდენობის თანხის გადახდა არ შეუძლია. გარდა ამისა, რამდენიმე მეწარმეს ხე-ტყის დამუშავების უფლება ტენდერის საშუალებით ჰქონდა მოპოვებული. ასე რომ, ხმაურიან ამბებს ველით,“** - აცხადებს მოსახლეობა.

ცნობისთვის: ოფიციალური ინფორმაციით, გარემოს დაცვის ინსპექციამ ლენტეხის რაიონში მონიტორინგის შედეგად უკანონოდ მოჭრილი 100 კუბური მეტრი ხეტყის მასალა აღმოაჩინა. საქმე ძიებაშია.

## ზუგდიდში მოსახლეობა უსახსრობის გამო ბუნებრივი აირით ვერ სარგებლობს

ზუგდიდის მოსახლეობის გარკვეულ ნაწილს (3200-მდე აბონენტს) ოთხი წლის (1987-1991 წწ.) განმავლობაში გაზი მიეწოდებოდა. ეს ძველი მილსადენი უმოქმედობის გამო გაფუჭდა, ამიტომაც აზერბაიჯანულმა ფირმა



**,,სოკარმა"** ეს მილსადენი მიწაში ჩატოვა და ახალი მაგისტრალის გაყვანა არჩია.

ზუგდიდსა და სამეგრელოს სხვა რაიონებში ინტენსიურად მიმდინარეობს გაზიფიკაციის სამუშაოები. ს/ს **,,ზუგდიდგაზის"** დირექტორის - ლევან ჭანიას განმარტებით, 2 წელიწადში ქ. ზუგდიდი და მისი სოფლები მთლიანად გაზიფიცირებული **იქნება. ,,2011 წლისათვის ზუგდიდის მოსახლეობის 60-70% იქნება გაზიფიცირებული. სულ გათვალისწინებულია, ქალაქად და სოფლად გაზი მიეწოდოს 30000 აბონენტს. ანალოგიური სამუშაოები მიმდინარეობს ხობში, აბაშაში, ფოთში. აქ სამუშაოებს ,,სოკარი" აწარმოებს, ხოლო სენაკსა და მარტვილში - კერძო ფირმები. აბაშაში ამჟამად 500-მდე ოჯახს გაზი მიეწოდება,"** - აღნიშნა ლევან ჭანიამ.

ზუგდიდში კი ამ პერიოდისთვის გაზი მიეწოდება 195 ოჯახს და 3 კომერციულ ობიექტს. არადა, მილსადენები გაყვანილია, ქსელში კი გაზი არის. მოსახლეობას რომ საამისო თანხები გააჩნდეს, გაზით სარგებლობა 2500-მდე ოჯახს შეეძლებოდა (თითოეულ ოჯახს ქსელიდან გაზის შეყვანა, მისი დამონტაჟება 400-500 ლარი უჯდება).

**,,ჩვენ ყოველნაირად ვუწყობთ ხელს მოსახლეობას, თუ მათ სურთ გაზის ქსელში ჩართვა, მაგრამ არ გააჩნიათ საკმარისი თანხა. ,,საქართველოს ბანკის" მეშვეობით მათ შესაძლებლობა ეძლევათ, განვადების მისაღები პირობებით ისარგებლონ, ხოლო ,,სოკარ ჯორჯია გაზის" ტექნიკური სამსახური გაზიფიკაციის სამუშაოებს უმოკლეს ვადაში შეასრულებს,"** – განაცხადა ლევან ჭანიამ.

ასე რომ, გაზი არის, მაგრამ იგი მოსახლეობის უმრავლესობისათვის ჯერჯერობით მიუწვდომელია.

## ანდრია დადიანის იუბილე გაისად აღინიშნება

ქართველ მოჭადრაკეთა ნუსხა ანდრია დადიანით იწყება. იგი არ იყო პროფესიონალი მოთამაშე,

მაგრამ უაღრესად უყვარდა ჭადრაკი, მეცენატობდა მას და იმ დროისათვის, XIX ს. მეორე ნახევრისთვის, საკმაოდ კარგად თამაშობდა ჭადრაკს.

სამეგრელოს უკანასკნელი მთავრის – დავით დადიანის შვილი – ანდრია დადიანი 1850 წელს დაიბადა. 2010 წელს დაგეგმილი იყო ზუგდიდში მისი დაბადების 150 წლისთავის აღნიშვნა, მაგრამ გარკვეული თუ გაურკვეველი მიზეზების გამო ამ იუბილის აღნიშვნა მომავალი წლისთვის გადაიდო.

დაგეგმილია ზუგდიდის ჭადრაკის სახლთან ანდრია დადიანის სახელობის სკვერის გახსნა და, სადაც ახლა მეორე მსოფლიო ომის გმირის – ზოია რუხაძის ბიუსტი დგას, დაიდგმება დადიანის ბიუსტი.

გავრცელებული ვერსიით, ასევე დაგეგმილი იყო ანდრია დადიანის ბიუსტის გვერდით დადგმულიყო მსოფლიოს მრავალგზის ჩემპიონის, ზუგდიდის მკვიდრის - ნონა გაფრინდაშვილის ბიუსტიც, მაგრამ ნონა გაფრინდაშვილის პოლიტიკური ორიენტაციის გამო ადგილობრივმა ხელისუფლებამ ამაზე უარი განაცხადა.

## ცოფის გავრცელების მხრივ ყველაზე მძიმე მდგომარეობა საქართველოშია

უკანასკნელი 4 წლის განმავლობაში სტატისტიკური მონაცემებით, კავკასიის რეგიონში ცოფის ყველაზე მეტი შემთხვევა *საქართველოში*

*დაფიქსირდა. აქ ყოველწლიურად ცოფით დაახლოებით 10 ადამიანი იღუპება. ანტირაბიულ* კაბინეტს კი ყოველწლიურად ცხოველთან კონტაქტით დაზარალებული 30-დან 35 ათასამდე ადამიანი მიმართავს. ამ დიაგნოზით თელავის რაიონიდან თბილისის ინფექციური პათოლოგიის ცენტრში ბოლოს 11 წლის მოზარდი მოათავსეს, რომელიც მეორე დღეს გარდაიცვალა. ამავე დიაგნოზით ინფექციურ საავადმყოფოში 17 წლის ახალგაზრდა მამაკაცი დაიღუპა. საერთო ჯამში, დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრის ინფორმაციით, 2010 წელს ჰიდროფობიის 5 შემთხვევა დაფიქსირდა. ექიმები ცოფის შემთხვევების გახშირებას მაწანწალა ძაღლების სიმრავლეს აბრალებენ.

## წლის ბოლოსთვის ფულადი გზავნილები მატულობს

2010 წლის ნოემბერში ქვეყანაში შემოსული ფულადი გზავნილების ნაკადების მოცულობამ 84.3 მლნ აშშ დოლარი შეადგინა, რაც 11.9 მლნ აშშ დოლარით, ანუ 16.4 პროცენტით მეტია 2009 წლის ნოემბრის ანალოგიურ მაჩვენებელზე. ამ პერიოდში ფულადი გზავნილების მოცულობა გაიზარდა რუსეთიდან (7.7 მლნ აშშ დოლარით), იტალიიდან (1.4 მლნ აშშ დოლარით), ყაზახეთიდან (1.0 მლნ აშშ დოლარით), აგრეთვე, ზოგიერთი სხვა ქვეყნიდან.

2010 წლის ნოემბერში საქართველოდან საზღვარგარეთ 8.5 მლნ აშშ დოლარი გადაიგზავნა, ნაცვლად 6.1 მლნ აშშ დოლარისა გასული წლის ნოემბერში.

ექსპერტების აზრით, ფულადი გზავნილების მაჩვენებელი კიდევ უფრო მოიმატებს დეკემბერში, რაც მეტწილად სადღესასწაულო დღეების მოახლოებით იქნება განპირობებული.

## ფოთში სახლთან დატოვებული ახალშობილი იპოვეს

ფოთში, საბჭოს ქუჩაზე, ახალაიების სახლთან ახლოს, კალათში ჩასმული ახალშობილი გოგონა იპოვეს. აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით, ქალაქ ფოთის სოციალური მომსახურების საქალაქო განყოფილებას განცხადებით მიმართა ქალაქის მკვიდრმა ელენე შენგელიამ. ახალაიების ოჯახმა კანონის აღსასრულებლად მისულ სოციალური მომსახურების სააგენტოს ბავშვის წაყვანაზე ჯერ უარი უთხრა, თუმცა ხანგრძლივი მოლაპარაკების შემდეგ გოგონა ჩვილ ბავშვთა სახლში მაინც გადაიყვანეს. ბავშვს ახალაიების ოჯახის დიასახლისი თან გაჰყვა. **,,20 დეკემბერს მდედრობითი სქესის ახალშობილის პოვნის თაობაზე შემოვიდა განცხადება. ჩვენ, როგორც მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანომ, ბავშვი კანონის შესაბამისად მოვათავსეთ ჩვილ ბავშვთა სახლში,"** - აცხადებენ სოციალური მომსახურების საქალაქო განყოფილებაში. ახალაიების ოჯახი, რომელსაც, 20 წელია, შვილი არ ჰყავს, ბავშვის შვილად აყვანას აპირებს, მაგრამ რამდენად მოახერხებს ამას, ჯერჯერობით გაურკვეველია.

# რისთვის ირჯება მიტროპოლიტი ანანია ჯაფარიძე?

**„იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭვდვური სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბურთის გატანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია“**
**ილია**

მთელი მე-20 საუკუნის განმავლობაში დიდი ინტერესით ეძებდნენ მეცნიერები ლეგენდადქცეულ ფაზისის ლოკალიზაციის ადგილს. ამ საკითხით ჯერ კიდევ მე-19 საუკუნეში დიუბუა დე-მონპერე დაინტერესდა, შემდეგ თ. ბრუნი, ბ. კუფტინი, ნ. შაფრანოვი, ს. ყაუხჩიშვილი, ო. ლორთქიფანიძე, თ. მიქელაძე, ჭ. ჯანელიძე, გ. გრიგოლია, მ. ბერძენიშვილი, რ. გორდეზიანი, ნ. ხოშტარია, ნ. ლომოური, ა. ბოლტუნოვა, მ. ინაძე და სხვები. თითქმის ყველა ისინი ფაზისის ადგილმდებარეობას მდ. ფასისრიონის შავი ზღვის შესართავთან აფიქსირებენ, თანამედროვე ფოთიდან აღმოსავლეთით არაუშორეს 20 კმ-ისა და დასავლეთით – არაუშორეს 10 კმ-ისა. ისინი ეყრდნობიან ბერძნულ-რომაულ წყაროებს და მდინარე რიონის გეოლოგიური შესწავლის შედეგებს. ხაზს უსვამენ, რომ რიონი ადრე ანტიკურ ხანაში თანამედროვე კალაპოტიდან სამხრეთით 1-1,5 კმ.-ის დაშორებით მიედინებოდა და გადაინაცვლა ჩრდილოეთით. ქალაქი ფაზისი დღევანდელი ფოთის სამხრეთით იყო გაშენებულიო.

რადგანაც მისი უსამღვდელოესობის მიტ-ტ ანანია ჯაფარიძის სურვილს ემთხვევა ერთადერთი მეცნიერის აზრი (იხ. გ. გამყრელიძის, ქალაქ ფაზისის ადგილმდებარეობის და დეფინიციის საკითხისათვის, იბერია-კოლხეთი, საქართველოს ანტიკური პერიოდის არქეოლოგიურ გამოკვლევათა კრებული, 1, 2003წ, ძიებანი, დამატებანი, IX, გვ. 172), იგი ეყრდნობა მას, თავისი სურვილისამებრ ამრუდებს ქართველი ერის ისტორიას და, ცნობიერად თუ ქვეცნობიერად, ჰაიაკ-არმენთა წისქვილზე ასხამს წყალს: **„ფოთის მიდამოებში ცხოვრება ქრისტიანობის გავრცელების შემდეგ გაგრძელდებოდა ჩვეული გზით, ანუ ადგილობრივი მოსახლეობის ყოფა ისეთი იყო, როგორც მთელ დანარჩენ ისტორიულ დასავლეთ საქართველოში, სადაც უკვე IV ს-დან ეკლესიათა მშენებლობა ჩვეულებრივი მოვლენა იყო. ასევე ყოფილა თანამედროვე ფოთის მახლობლად პალიასტომის ტბის ადგილას ერთადერთ სოფელში, სადაც იდგა ეკლესია (ჩანს IV-VIII სს-სა), რომლის ცნობილმა ხატმა „პალიასტომის ღვთისმშობელმა“ და ბარძიმმა დღემდე მოაღწია. ფოთიდან, პალიასტომის ტბის მიდამოებიდან არის ქართული (მხედრულ-წარწერიანი) ბარძიმი, რომელიც ქ. ქუთაისის ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მუზეუმში ინახება“** (ინვ. 3788). **ბარძიმს აქვს ქართული წარწერა, ასევე ქართულია პალიასტომის ხატის წარწერაც, რაც ერთმნიშვნელოვნად მიუთითებს, რომ აღნიშნული ტაძარი ქართული ეკლესიის იურისდიქციაში იმყოფებოდა და არა ბერძნულისა. ბერძნულ საეპისკოპოსოში ქართული წირვა-ლოცვა და წარწერები, როგორც წესი არ არსებობდა. აქედან გამომდინარე ჩანს, არც ფასისის სამიტროპოლიტო ცენტრი ყოფილა ქ. ფოთში. იქვე ფასისის სამიტროპოლიტო და მისი ოთხი ბერძნული საეპისკოპოსო არა დასავლეთ საქართველოში, არამედ იქ იყო, სადაც მათი არსებობის შესახებ მიუთითა სახელგანთქმულმა (ჰაიაკ-არმენმა, კ.ფ.) მეცნიერმა ნ. ადონცმ, ანუ ტრაპეზუნტის ოლქში, ჭოროხის ხეობის დასავლეთ ნაწილში“** (იხ. ინტერნეტი, მეუფე ანანია ჯაფარიძის პირადი საიტი).

რისთვის სჭირდება მიტ-ტ ანანია ჯაფარიძეს ფაზისის არსებობა არა შუაგულ კოლხეთში, არამედ, შორს, სამხრეთ – დასავლეთით ტრაპეზუნტში?

თუ მიიღებენ, რომ დღევანდელი კოლხეთის დაბლობი ფაზისის არსებობის ხანაში ზღვის წყლით იყო დაფარული, ქ. ფაზისი კი მდებარეობდა ტრაპეზუნტში, ხოლო კოლხეთის დაბლობი გვიან გაჩნდა, ნაეკლესიარი ნაშთია ფოთთან ახლოს IV საუკუნეში აშენებული ეკლესიისა, რომელშიც წირვა-ლოცვა ქართულად წარმოებდა, მაშინ შეიძლება ფრთა შეეხსას მიტ-ტ ა. ჯაფარიძის, პროფესორ ტ. ფუტკარაძისა და მის თანამოაზრეთა სურვილს და ე.წ. მეგრული (იბერიული) ენა საზოგადოებას წარმოუდგინონ ქართული ენის დიალექტად და უდამწერლებლო ენად. მაშინ შეიძლება ირწმუნონ ქართული ენა ფარნავაზის ხანიდან არსებულ სახელმწიფო ენად. ამით წაიშლება ლეგენდარული იბერთა ენის ოდესღაც არსებობა და ლეონტი მროველის ნახევარდცრუ **„ქართლის ცხოვრების“** თანახმად, ქართულის წინარე, ანუ პროტოქართულ ენად იბერიულის ნაცვლად სომხური (ჰაიაკურ – არმენული) აღმოჩნდება (იხ. ლეონტი მროველის „ცხოვრება ქართველთა მეფეთა“, ანა დედოფლისეული ნუსხა ს. ყაუხჩიშვილის რედაქციით, გვ. 10), რასაც უეჭველად მოჰყვება ტერიტორიებზე პრეტენზიები, რადგან **„ქართლის ცხოვრებაში“** წერია: **„კავკასიის ნახევარი თარგამოსმა ჰაიკთა ეთნარქს – ჰაოსს მისცა, ქართლოსიანთა ენა სომხური იყო“** (პერიფრაზი ჩემია, კ.ფ), მიუხედავად იმისა, გარე სამყარო ახ. წ. აღ-ის მე-14 საუკუნემდე **სახელმწიფოს** სახელწოდებით **საქართველო** არ იცნობს, იცნობს, მხოლოდ იბერიას და მის ნანგრევებზე აღმოცენებულ ჯერ ლაზიკას, შემდეგ კი აფხაზეთს (იხ. ივ. ჯავახიშვილი, ენციკლოპედიური ლექსიკონი, 2000, აფხაზეთის განმარტება). რაც შეეხება ქართულ მხედრულ წარწერიან ბარძიმს, რომელიც თურმე ქ. ქუთაისის ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მუზეუმში ინახება, თუ ის ქართული ენითაა შესრულებული, გამორიცხულია, ახ.წ. აღ-ის მე-10 საუკუნის ბოლო მეოთხედზე ადრინდელი იყოს, რადგან, ჯერ ერთი, **ქართლს** 899 წლამდე სამეფოს სტატუსი აღარ ჰქონია (პირველი მეფეა ადარნასე II ბაგრატიონი), მანამდე კი 523 წლიდან ჯერ სპარსეთს, შემდეგ კი ბიზანტიას ემორჩილებოდა, ცალ-ცალკე სამთავროები იხდიდნენ ხარკს და ეკლესიების ასაშენებლად სხვა (ლაზიკა-აფხაზეთის) სამეფოში (978 წლამდე) აღარ ცხელოდათ; მეორეც, ქართული ენა რეფორმამდე (რეფორმატორების იოანე პეტრიწი, იოანე მინჩხი, არსენ იყალთოელი და სხვ.), განვითარებითა და გამომსახველობითი უნარით რა სიმძლავრის იყო, ჩვენამდე მოღწეული უგანათლებულესი მოღვაწის – ფილოსოფოს იოანე პეტრიწის შრომები (ყველაზე სანდო წყარო) გვიპასუხებს (იხ. იოანე პეტრიწი, შრომები II, 1937, გვ. 220). ხოლო თუ ბარძიმზე, მართლაც, III-VIII საუკუნის მხედრული წარწერაა, გამორიცხულია ის ქართულ ენაზე იყოს შესრულებული, რადგან გამორიცხულია ქვეშევრდომის ენა გაბატონებული კოლხების, იგივე, ე.წ. მეგრელების (იბერების) ენაზე უფრო განვითარებული ყოფილიყო. სამწუხაროდ, მიტ-ტი არ უთითებს რა აწერია ბარძიმს, რაც საკმაოდ უხერხულია მეცნიერისთვის.

ბოლოს და ბოლოს, ფაზისი თანამედროვე ფოთთან იყო, თუ, მართლაც ტრაპეზუნტში, ამას არ აქვს მნიშვნელობა, რადგან ტრაპეზუნტიც იმ ეპოქაში კოლხეთი იყო, მაგრამ მათ მიზანს, სამწუხაროდ, ანტიეროვნული სუნი უდის, მის უსამღვდელოესობას მიტ-ტ ანანია ჯაფარიძეს, პროფ. ფუტკარაძეს და მათ თანამოაზრეებს, ცნობიერად თუ ქვეცნობიერად, ჰაიაკ-არმენთა ვერაგი ძალა მართავს.

ცხადია, რომ ჩვენი დამწერლობანი (მხედრული და ასომთავრული) ე.წ. მეგრული (იბერიული) წარმოშობისაა, რაც მრავალი ცოცხალი არგუმენტით მტკიცდება, მაგრამ გაზეთის სპეციფიკისა და წერილის მოცულობის შეზღუდვის გამო აქ მტკიცებებს ვერ წარმოვადგენთ, ხოლო ჩვენი დამწერლობის უცხოურიდან გადმოღების შესახებ ყველა თეორია საკმაოდ არგუმეტირებულადაა უარყოფილი (იხ. მ. ნინიძე, **„ასომთავრულიდან პირველსახისაკენ“**, 2005).

სამწუხაროდ, ჩემამდე სამეტყველო ბგერების წარმოშობისა და ძირისეული ფორმების წარმოშობა-მნიშვნელობების კვლევა არავის უწარმოებია. ბოლო წლებში წარმოებული გამოკვლევების შედეგად ირკვევა, რომ საერთო სალიტერატურო ქართული ენის ეროვნული წარმოშობის ლექსიკის ძირისეული ფორმები ე.წ. მეგრული (იბერიული) წარმოშობისაა, რომლის გარეშე ქართული ენა იქნებოდა სპარსულის, ბერძნულის, ლათინურის, არმენულის, არაბულის და თურქულის ნაზავი – მათი კონგლომერატი.

რაც მთავარია, ე.წ. მეგრულ (იბერიულ) ენაში შემონახულია სამეტყველო ბგერების წარმოშობის მექანიზმები, რასაც **„გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს, საერთოდ, მეტყველების წარმოშობის გადაჭრის საკითხში“** (იხ. გ. ახვლედიანი, ზოგადი ფონეტიკის საფუძვლები, 1999, გვ. 390). სწორედ, **ე.წ. მეგრული (იბერიული) ენა**, რომელიც პატ. მეცნიერთა სურვილია (მხოლოდ სურვილია) წარმოადგინონ დიალექტად ჩვენს **კლასიკურ ახალ იბერიულ ენას** (სვანურის, ქართლურის და თვით უძველესი იბერიული ენის კონსოლიდაციის შედეგს) – **ე.წ. ქართულ ენას კაცობრიობის დასაბამთან აკავშირებს.**

ამდენად, **„ქართველი ერი“** მომდინარეობს იმ ეპოქიდან, სადაც **„ადამიანსა და ცხოველს შორის ზღვარი დევს“** (ნიკო მარი). მზად ვარ წარვდგე ნებისმიერი აუდიტორიის წინაშე და დავამტკიცო ეს ჭეშმარიტება.

განსაკუთრებით ასეთი გამოკვლევების არსებობაზე ცნობების მიღებისა და, ალბათ, გაცნობის შემდეგ გააქტიურდნენ პატივცემული მეცნიერები და გააფთრებული იბრძვიან აშკარა სიცრუის საზოგადოებაში დასამკვიდრებლად.

იმედია გონიერი ქართველი ერი განსჯის რა შედეგი შეიძლება მოჰყვეს ჯაფარიძე-ფუტკარაძე-გვანცელაძე-ტაბიძის მოქმედებებს და გამოუტანს დირსეულ განაჩენს.

**კუკური ფიფია,**
**“ფაზისის” აკადემიის**
**ნამდვილი წევრი**

# მარტვილი ანუ ანდრიადიდი

**(ღვთიური პოემა)**

***XIV. დიდება დიდებათა***

და დავუბრუნდეთ ჩვენ ისევ მარტვილს,
და დავუბრუნდეთ ჩვენ მარტვილს ისევ,
ვოქვი ძლიერ მცირე, რა ბევრი არ ვოქვი,
საკადრ დიდებას ვინ ეტყვის ქრისტეს...
და დავამთავროთ აქ საუბარი,
ჩვენ გაგვიგრძელდა ისედაც სიტყვა,
ყველა ქალაქი, სოფელ-უბანი
საქართველოსი წმინდად მწამს, მიყვარს...
მარტვილში ბევრი ადიგო წმიდა
ტაძარი უფლის აღსანიშნავად,
მე ამ ამბის თქმა მინდოდა, მინდა,
რომ არ ვიყო ჩემს ერთან პირშავად...
ღმერთია, ღმერთი უპირველესი!
ყველაფერი ღვთის აღსანიშნავად!
ღმერთს – ყველა ლოცვა! ღმერთს – ყველა ლექსი!
ღმერთს ჩვენი ესმის, ღმერთი ჩვენ გვხედავს,
ღმერთი ჩვენ გვხედავს, ღმერთს ჩვენი ესმის,
ღმერთია ჩვენი მამაც და დედაც.
ღმერთია, ჩვენი უპირველესი!
ასე განათლდა კოლხი, იბერი,
ასე განათდა იბერიაში,
ლექსი ვთქვი, ვწერე, მე რაც იმდენი
მზისკენ გაფრინდა მზისფერი რაში...
ნახარებვო და ხარებავა,
აი, საიდან წარმოსდგებიან,
კალამიც ხელში ღვთივ დამეკავა,
სხვა ყოველივე მყის დამეკარგა,
რომ ღმერთი ლექსით მედიდებინა...
ამ ლექსით ღმერთი მიდიდებია,
ამ ლექსით სული მიწმიდებია,
ეს ლექსი ღვთისკენ მიხიდებია,
ლექსისთვის ღვთის გზა მიწოდებია...
ჰა, ისტორია ერთი გვარისა,
ერთი ადგილის, ჰა, ისტორია,
ნათელი ცისა, მზისა, მთვარისა,
დიდება ღვთისა რა იოლია...
ჰა, ისტორია კოლხთა მოქცევის,
იბერთ მოქცევის, ჰა ისტორია,
ღვთის სჯულის, მადლი ღვთის ღვთივ მოცემის,
ღვთივ ნათლისცემის, რაც ღვთის ტოლია...
ღვთის მრწამსის, მადლის ღვთისგან მოცემის,
მსოფლიოს საღვთო, ვწერ ისტორიას,
მთელი მსოფლიო ისევ მოქცევის...
ღმერთი – მომცემი ღვთისკენ მოქცევის,
ღვთივ ნათლისცემის, ღვთის თაყვანცემის...
ჰა ისტორია ღვთისგან მოცემის
ღვთისკენ მოცემის და კვლავდაცემის
კვლავამადლების და კვლავდაცემის,
ჰა ისტორია ლექსად, პოემად...
ნათლისცემის, ღვთის თაყვანისცემის,
ამაოება არის დროება...
და ისევ: ვინც ვართ ღმერთის კაცები,
მარადიულზე დაფიქრდით წამით...
ავმაღლდეთ, გვეყო, ცოდვა დაცემის,
დიდება ღმერთს! ღმერთს! დიდება! ამინ!..
ძველი კიევიც, ძველი რუსეთიც
ნათელჰყო ანდრიამ, ცამდე აამაღლებს
და არ ამადლებს, თქვენ კი უსევდით
ივერთა მიწას თქვენ დიდ არმადებს...
მსურს ვუთხრა: რომ ხართ მართლაც რუსეთი,
ნათლისცემული ანდრიას მიერ,
ჩვენს მიწას მტერთ რად უსევთ, უსევდით,
ამით თქვენ ჰკარგავთ ღვთის მადლს, ღვთის იერს...
ერქვა რუსეთში ორდენს, უმაღლესს,
ანდრია პირველწოდებულისა...
გაუწყებთ სიტყვას, ღვთის, ღრმას, უაღრესს,
ღვთივ ლექს – პოემად მოცემულისას...
ჩვენ ის ერი ვართ, ვინაც პირველად
პირველმა მოციქულმა მონათლა...
საკვირველი ჰქმნა მან საკვირველად,
ღმერთმა რა დიდი მადლი მოგვმადლა...
კვლავ ვეტყვით: ვინც ვართ კვლავ ღვთის კაცები,
ღმერთზე, მამაზე დავფიქრდეთ წამით,
ღმერთს რომ გულს ვატკენთ, ჩვენც ვიგრძნობთ წამით,
ღვთის გულისტკენა ჩვენც ვიგრძნოთ წამით,
ღვთის გულისტკენა ჩვენც ვიგრძნოთ წამით,
ავმაღლდეთ, გვეყო ცოდვა დაცემის!
ავმაღლდეთ, გვეყო ცოდვა დაცემის!
დიდება ღმერთს, ღმერთს დიდება, ამინ!
დიდება ღმერთს, ღმერთს დიდება, ამინ!
დიდება ღმერთს, ღმერთს დიდება, ამინ!

**მერაბ ხუბუა**

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)

# აშშ ბელორუსის საპრეზიდენტო არჩევნების კანონიერებას ვერ ცნობს.

**როგორც აშშ სახელმწიფო დეპარტამენტის ოფიციალური ვებგვერდი იუწყება, ამის შესახებ შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივნის თანაშემწემ, ფილიპ ქროულიმ განაცხადა .**

**"აშშ ეთანხმება ეუთო-ს მისიის დასკვნას. ჩვენ არჩევნების შედეგებს ვერ განვიხილავთ, როგორც ლეგიტიმურს", - განაცხადა ფილიპ ქროულიმ.**

**მან ასევე აღნიშნა, რომ აშშ მკაცრად გმობს არჩევნების დღეს ძალადობას და განსაკუთრებით შეშფოთებულია ხელისუფლების მიერ გადამეტებული ძალის გამოყენებით, პრეზიდენტობის რამდენიმე კანდიდატის ცემითა და დაკავებით, ასევე ჟურნალისტებზე და სამოქალაქო საზოგადოების აქტივისტებზე განხორციელებული ძალადობით.**

**თეთრი სახლის პრესმდივანმა, რობერტ გიბსმა კი ბელორუსის ხელისუფლების ქმედებას აშშ-სთან "ურთიერთობაში არსებული ცენტრალური პრობლემებისკენ უკან გადადგმული ნაბიჯი" უწოდა. მან ოფიციალურად მოუწოდა ქვეყნის ხელისუფლებას, დაუყოვნებლივ გაათავისუფლოს პრეზიდენტობის ყველა კანდიდატი და აქციის ყველა მონაწილე, რომლებიც ბელორუსში 19 და 20 დეკემბერს დააკავეს.**

**20 დეკემბერს ბელორუსში საპრეზდენტო არჩევნები ჩატარდა, რომელშიც 79,67%-ით მოქმედმა პრეზიდენმა, ალექსანდრე ლუკაშენკომ გაიმარჯვა. ოპოზიციამ ხელისუფლება არჩევნების გაყალბებაში დაადანაშაულა და მთავრობის სახლის წინ საპროტესტო აქცია გამართა, რომელიც მილიციის საგანგებო დანიშნულების რაზმმა ძალის გამოყენებით დაშალა. შედეგად, დაშავდნენ აქციის მონაწილეები და პრეზიდენტობის კანდიდატი.**

**დაკავებულია 600-მდე მოქალაქე და პრეზიდენტობის შვიდი კანდიდატი.**

# არ დაიჯეროთ, რომ სამეგრელომ ნაცმოძრაობას დაუჩოქა

*(გთავაზობთ ინტერვიუს საქართველოს პირველი პრეზიდენტის ზვიად გამსახურდიას ერთგულ თანამებრძოლთან, ეროვნული გვარდიის შტაბის ყოფილ უფროსთან, პოლკოვნიკ გურამ ლაკინასთან, რომელიც მას გაზეთ "ასავალ-დასავალის" კორესპონდეტმა ჯაბა ხუბუამ ჯერ კიდევ სახალხო კრების გამართვამდე ჩამოართვა)*

**– ბატონო გურამ, რატომ გადაწყვიტეთ, სახალხო კრებისათვის "ასავალ-დასავალის" ფურცლებიდან მიგემართათ და თან მთელი სამეგრელოს სახელით?**

– საქართველოში კანონიერების აღდგენისა და ჩვენი სამშობლოს ტერიტორიული მთლიანობისათვის უანგარო ბრძოლის გამო სამეგრელოს მოსახლეობის დიდი ნაწილის ნდობა და კეთილგანწყობა დავიმსახურე და, ვფიქრობ, სამეგრელოს მოსახლეობა მომცემს იმის უფლებას, რომ სახალხო კრებას მათი სახელით მივმართოო.

რაც შეეხება იმას, თუ რატომ მივმართავ სახალხო კრებას **"ასავალ-დასავალის"** ფურცლებიდან! აბა საიდან უნდა მივმართო ხალხს, თუ არა თქვენი, უფრო სწორად, ჩვენი სახალხო გაზეთის ფურცლებიდან? გარდა ამისა, გულმა შემაწუხა და საჭირო გახდა ძირურგიული ჩარევა, რის გამოც ფიზიკურად არ შემიძლია, დავესწრო სახალხო კრებას და ძალიან ვწუხვარ!

ამიტომაც მინდა, **"ასავალ-დასავალის"** ფურცლებზე ვთქვა ის, რასაც სახალხო კრებაზე ვიტყოდი!

**– კი ბატონო, ყურადღებით გისმენთ!**

– მოკლედ, მე მერგო პატივი, წარმოვადგინო საქართველოს განუყოფელი ნაწილი – სამეგრელო, რომელსაც ქვეყნის მტერიც კი პატივით მოიხსენიებს, მაგრამ ქვეცნობიერად მის ხერხემალში გადატეხაზე ოცნებობს!

შევარდნაძის მიერ წაქეზებულმა და წახალისებულმა კრიმინალურმა ბანდებმა ხუთჯერ მოითარეშეს სამეგრელო, მაგრამ წელში ვერ გატეხეს და ვერ დააჩოქეს. დღეს სამეგრელოსთან ბრძოლის წესები უფრო დახვეწილი და მზაკვრულია!

**– რა ხერხებით ებრძვიან დღეს სამეგრელოს?**

– იმავე შევარდნაძის წყალობით დღეს ხელისუფლებაში მყოფი ანტიეროვნული ძალები და მათი სპეცსამსახურები ავრცელებენ დეზინფორმაციას, რომ სამეგრელომ **"ნაცმოძრაობას"** დაუჩოქა. ამით საქართველოს სხვა კუთხეებისათვის იმედის დაკარგვა და გულის გატეხა უნდათ, აქაოდა, ამ ხელისუფლებამ სამეგრელო დააჩოქა და თქვენ რას გახდებითო! არა, ბატონებო, არ დაიჯეროთ, რომ სამეგრელომ **"ნაცმოძრაობას"** დაუჩოქა!

**– ბატონო გურამ, ფაქტია, რომ სამეგრელო ჩუმადაა და ყოველ არჩევნებზე სააკაშვილი და მისი "ნაცმოძრაობა" სამეგრელოში ამომრჩეველთა ხმების ლამის ას პროცენტს აგროვებენ!**

– მერე და, თქვენ მართლა გგონიათ, რომ ესენი სამართლიან არჩევნებს ატარებენ? ეს ხელისუფლება ხომ არნახულად აყალბებს არჩევნების შედეგებს მთელ საქართველოში და, მათ შორის, სამეგრელოში!

საქართველოს მოსახლეობა დღეს სამი მილიონიც კი არ არის, ამათ კი სამ-ნახევარი მილიონი მარტო ამომრჩეველი დააფიქსირეს სიაში. ეს, იცით რას ნიშნავს? იმას, რომ ამ ხელისუფლებას ყოველ არჩევნებზე მინიმუმ მილიონი არარსებული და ყალბი ხმა უდევს ჯიბეში!

სამაგიეროდ სააკაშვილი გვპირდება, საქართველოში სინგაპურს ავაშენებო. ჩვენ არ გვჭირდება უჯიშო, უეროვნებო, უჯიგრო ქვეყანა. ჩვენ ერი ვართ და ჩვენი სამშობლო არა სინგაპური, არამედ საქართველოა! ქართველი ერის დევიზი: **"ენა, მამული, სარწმუნოება"** იყო და იქნება ქართული სახელმწიფოებრიობის ქვაკუთხედი!

დღეს ჩვენს ქვეყანაში ყველაფერი უკუღმა ხდება! დიახ, ყველაფერი არის ისე, როგორც არ უნდა იყოს!

**– კერძოდ?**

– კერძოდ ის, რომ ქვეყანას ერთპიროვნულად მართავს ერთი გაუწონასწორებელი სუბიექტი, არადა, დემოკრატია ხალხის მმართველობას ნიშნავს. დიახ, საქართველოს – ქართველთა ქვეყანას ქართველი ხალხი უნდა მართავდეს და არა ვიღაც უცხო ძალების მიერ დაქირავებული და მართული მანქურთები, როგორებიც არიან სააკაშვილი და მისი კრიმინალური ბანდა!

ეს ე.წ. ახალი კონსტიტუციის პროექტიც, რომელიც რეფერენდუმის გარეშე, ხალხის დაუკითხავად მიიღეს, ერთი გაუწონასწორებელი კაცის ხუშტურების დასაკმაყოფილებლად დაიწერა და ამ კონსტიტუციით ჩვენ სახელმწიფოს ვერ ავაშენებთ!

**როგორ შეიძლება სახელმწიფო აშენდეს იქ,** სადაც იგმობა და განქიქების საგნად არის ქცეული სამშობლოს სიყვარული, მართლმადიდებლობა, ერთგულება, თავდადება, წარსულის პატივისცემა!

**როგორ შეიძლება სახელმწიფო აშენდეს იმ ქვეყანაში,** სადაც ე.წ. პატრიოტთა ბანაკებში 14-15 წლის მოზარდებს ე.წ. პრეზიდენტი ბუჩქებისა და გარყვნილებისაკენ მოუწოდებს?!

**როგორ შეიძლება სახელმწიფო აშენდეს იმ ქვეყანაში,** სადაც კრიმინალს, ყაჩაღსა და ქვეყნის დამაქცევარს გენერალი, ორდენოსანი და ვეტერანი ჰქვია?!

**როგორ შეიძლება სახელმწიფო აშენდეს იმ ქვეყანაში,** სადაც ქურდი და სახელმწიფო დამნაშავე პანთეონში განისვენებს?!

სამშობლოს ერთგული შვილები კი, რომლებიც კანონიერების აღდგენისა და ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობისათვის უანგაროდ იბრძოდნენ, თავის დროზე ხუნტის მიერ რეპრესირებულნი, დღესაც არ არიან რეაბილიტირებულნი და პოლიტიკურ, მორალურ, მატერიალურ წნეხს განიცდიან!

გმირები დავიწყებული არიან, არამზადები კი პატივში ჰყავთ და როგორ შეიძლება ასეთი ქვეყანა სახელმწიფოდ ჩამოყალიბდეს?!

**– მერედა, ამ უბედურებიდან გამოსავალს სად და რაში ხედავთ?**

– მხოლოდ და მხოლოდ ერის გამოფხიზლებაში! ქართველი ხალხის აღდგომაში! რა დაგვემართა ქართველებს, რომ სტატისტის როლიდან ვერ გამოვდივართ და ამ უბედურებას გაჩუმებულები შევცქერით?

ჩვენმა სულმნათმა წინაპრებმა საქართველო ჩვენამდე ღვთის რწმენით, სისხლით და ოფლით მოიტანეს, ჩვენ კი მას ტაშფანდურითა და ფოიერვერკებით ვკარგავთ! ვკითხოთ ჩვენს თავს: გვაძვს ამის უფლება?

**– ყველაფერი გასაგებია, ბატონო გურამ! ახლა ის გვითხარით, რა საკითხების დაყენება გსურთ დიდი სახალხო წარმომადგენლობითი კრების წინაშე?**

– სახალხო კრების წინაშე ვაყენებ შემდეგ საკითხებს და სამეგრელოს საზოგადოების სახელით მოვითხოვ:

მიეცეს სამართლებრივი შეფასება 1991-1992 წლებში ქვეყანაში მომხდარ კრიმინალურ-შეიარაღებულ სახელმწიფო გადატრიალებას;

1992 წლის 6 იანვარს ხელისუფლების ძალადობრივი გზით დამხობის შემდეგ ჩატარებული არჩევნების შედეგად არჩეული ხელისუფლება გამოცხადდეს უკანონოდ;

სახალხო კრებამ შექმნას თავისი უმაღლესი ორგანო – საბჭო, რომელიც დანიშნავს ვადამდელ საპრეზიდენტო და საპარლამენტო არჩევნებს;

სახალხო კრებაზე არჩეულ იქნეს აღმასრულებელი ორგანო – აღმასრულებელი კომიტეტი, რომელიც მოამზადებს და უმოკლეს ვადაში ჩაატარებს ქვეყანაში ვადამდელ საპრეზიდენტო და საპარლამენტო არჩევნებს;

სახალხო კრების გადაწყვეტილებით, ვადამდელი არჩევნების ჩატარებამდე ყველა სახელმწიფო ორგანო ვალდებულ უნდა იქნეს დაექვემდებაროს და აღასრულოს

საბჭოს და აღმასრულებელი კომიტეტის ბრძანებულებები, დირექტივები და ინსტრუქციები. სახალხო კრების მიერ შექმნილმა საბჭომ და აღმასრულებელმა კომიტეტმა უზრუნველყონ სახელმწიფო ორგანოების ნორმალურ რეჟიმში ფუნქციონირება, მშვიდობიანი, მრავალპარტიული, დემოკრატიული არჩევნების მომზადება და ჩატარება, ქვეყანაში უზრუნველყონ სიმშვიდე და კანონიერების დაცვა!

და კიდევ, სამეგრელო იყო, არის და ყოველთვის იქნება ქართული სახელმწიფოებრიობის ხერხემალი და ბურჯი! ამიტომ, სამეგრელოს სახელით მივმართავ სრულიად საქართველოს, მთელ ქართველ ერს: ნუ დავუტოვებთ საჯიჯგნად ჩვენს ქვეყანას ამ ერთ მუჭა არამზადებს!

ესაუბრა
**ჯაბა ხუბუა**

**P.S.** ***როგორც იცით, 2010 წლის 25 ნოემბერს გამართულმა სახალხო კრებამ ვერ გაამართლა იმედები, მაგრამ მაინც მოხერხდა დაფიქსირებულიყო ყველა პრეტენზია საქართველოს მარიონეტული ხელისუფლების მიმართ, რომელსაც დღეს არად ადარდებს ქართველი ერის გასაჭირს და ამერიკელების მიერ მითითებული გზით დასაღუპად მიაქანებსსაქართველოს. დიდი მუხრან მაჭავარიანის სიტყვებით რომ ვთქვათ: "არა და, ისევ დგას დღის წესრიგში, ბედი ქართლისა და ქართლის ჭირი"! იმედია, მალე ქვეყანაში გამოჩნდება რეალური ოპოზიციური ძალა, რომელიც ყველაფერს თავის ადგილს მიუჩენს და საქართველოშიც სიმშვიდე და ბედნიერება დაისადგურებს!***

გაზეთი "ილორი"

# რის სანაცვლოდ ითხოვდა გაჩეჩილაძე 2 მილიონს?

ლევან გაჩეჩილაძე ეროვნულ კრებაში მონაწილეობის სანაცვლოდ ნინო ბურჯანაძეს 2 მლნ-ს სთხოვდა. ამის შესახებ საზღვრის დაცვის დეპარტამენტის ყოფილი ხელმძღვანელის, ბადრი ბიწაძის ინტერვიუ გაზეთ **„ასავალ-დასავალის“** 20 დეკემბრის (№51-ში) ნომერში გამოქვეყნდა.

ბიწაძე ჟურნალისტ ჯაბა ხუბუას 2010 წლის მაის-ივნისის გარიგებების სერიის დეტალებს უყვება.

**"გრეჩიხასთან" ვზივართ "პადვალში" ნინო, მე, ეროსი, "გრეჩიხა", კოკა და მიდის საუბარი. აი, უყურე, როგორი პირობა არის წამოყენებული: კოკა გუნცაძე უნდა იყოს შტაბის უფროსი, ეროსი კიწმარიშვილი უნდა იყოს პიარის და პრესის მიმართულების ხელმძღვანელი და „გრეჩიხა" უნდა დამჯდარიყო ფაქტიურად ქურდად. ყველა ფინანსური სიტუაცია უნდა გავლილიყო „გრეჩიხას" ხელში, აი ასეთი პირობა წამოაყენეს",** - აცხადებს ბიწაძე.

მისივე ინფორმაციით, ლევან გაჩეჩილაძე გია გაჩეჩილაძის, კოკა გუნცაძისა და ბიძინა გეგიძის ფინანსური პრობლემების მოგვარებასაც ითხოვდა.

ამასთან, ლევან გაჩეჩილაძე დამარცხების შემთხვევაში ოჯახისთვის დამატებით 1 მილიონს ითხოვდა.

გაზეთ **"ასავალ-დასავალში"** ბიწაძე გაჩეჩილაძესთან მიმართებაში კიწმარიშვილის რჩევასაც იხსენებს.

**"ეროსი მეუბნება, ბიჭო, ამ „გრეჩიხასთან" ფულის გარეშე არაფერი გამოვა, გამორიცხულია. ერთი ერთში დაელაპარაკეო",** - აღნიშნავს ბიწაძე.

როგორც გაზეთშია აღნიშნული, გაჩეჩილაძე ბიწაძისა და ბურჯანაძისგან 2 მლნ-ს ითხოვდა, საიდანაც 300 ათასი **„მაესტროს“** აქციების 49%-ის გადასაფორმებლად მამუკა ღლონტისთვის უნდა გადაეცა. ამასთან, გაჩეჩილაძე ბურჯანაძეს **„მაესტროს“** აქციების 25%-ის გადაფორმებასაც დაჰპირდა.

ბიწაძე ყვება, რომ გაჩეჩილაძემ 2 მლნ საკუთარ **„პულკაში"** შესაყვანად ზურაბ ნოღაიდელსაც მოსთხოვა. ბიწაძის ინფორმაციით, ნოღაიდელი, ოპოზიციის ლიდერობის ნაცვლად, 2 მლნ-ის გადასახდელად მზად იყო.

ამის შემდეგ **"გრეჩიხამ"** მოაგზავნა კაცი და გვეუბნება, ნოღაიდელი ყიდულობს ამ ტელევიზიას, პლიუს ფულსაც გვიხდის და მერე ნოღაიდელს ჩვენ ვეღარ ვეტყვით უარს ამ ერთობაში შემოსვლაზე, სასწრაფოდ თუ არ გადაიხდით ამ ფულს. ჩვენ ვეუბნებით, რომ ვერ გადავიხდით. **"მაესტროს"** 25% რაში მჭირდება, რატომ უნდა გადავიხადო ფული? ჩვენ საბოლოოდ ვეუბნებით, ვიწყებთ სახალხო კრების სიტუაციას და თქვენ უერთდებით თუ არა ამ პროცესს?" - აცხადებს ბიწაძე **"ასავალ-დასავალში"**.

მისივე თქმით, ლევან გაჩეჩილაძე ერთი თვით პროცესებიდან ჩამოშორებაზე საუბრობდა.

**"გრეჩიხა" ამბობს ასეთ რაღაცას, რომ ერთი თვე მე უნდა გავიდე, მოვშორდე ყველაფერს, იმიტომ, რომ ფული მაქვს ასაღებიო. თუ შენ ოპოზიცია გაძლევს ფულს, მაშინ რატომ უნდა მოშორდე ამ პროცესებს? ის პირობას ხომ გიყენებს, რომ გაჩერდე? ე.ი ელოდება, რომ ხელისუფლებამ მისცეს ფული",** - ამბობს ბადრი ბიწაძე.

გაზეთ **"ასავალ-დასავალში"** 13 დეკემბერს გამოქვეყნდა წერილი, რომლის ავტორიც ამტკიცებს, რომ ხელთ აქვს ფურცელი, სადაც ლევან გაჩეჩილაძემ მიხეილ სააკაშვილს 2008 წლის საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ გამართულ შეხვედრაზე ჩამოუწერა მოთხოვნები. კერძოდ: **"დროებით, 6 თვით, მე ან დავით უსუფაშვილი დამნიშნე პრემიერად", "მინდა ხუთი მილიონი", "ილია ჭავჭავაძის საადგილმამულო ბანკის შესაქმნელად მჭირდება საწყისი კაპიტალი 10–12 მილიონი".** გარდა ამისა, ლევან გაჩეჩილაძეს მიხეილ სააკაშვილისთვის მოუთხოვია თინა ხიდაშელის გენერალური პროკურორის თანამდებობაზე დანიშვნა, რაზეც სააკაშვილმა უპასუხა, რომ ხიდაშელი არის გიგა ბოკერია კაბაში და ის ტყუილად ჰგონიათ ფრთიანი ანგელოზი...

სააკაშვილმა, როგორც **"ასავალ-დასავალშია"** მითითებული, გაჩეჩილაძეს ავანსად ორი მილიონი გადაურიცხა და დანარჩენზე უარი უთხრა. გაჩეჩილაძის მიერ ბრძოლის გაგრძელების მოტივად სტატიის ავტორი პრეზიდენტის მიერ მის **"გადაგდებას"** ასახელებს. გაზეთის ცნობით, ვაჭრობის საგანი ის იყო, რომ მიხეილ სააკაშვილის ინაუგურაცია მშვიდად უნდა ჩატარებულიყო.

# მბორგავ სულთა სენტენციები

ჟურნალ **"ტაბულას"** ფურცლებზე (№33, 22-28 ნოემბერი, 2010 წელი) დაბეჭდილ ე.წ. **"ბენდუქიძის სვეტში"** სხვა ჭკუის სასწავლ დარიგებებთან ერთად შემდეგ სენტენციებს ვკითხულობთ: **"ქურუმთა (სამღვდელოების) კასტა კი ამად სიბრძნეს მეტყველებს: ყველაფერ ქართულს ებრძვიან და ჩვენი გადაჯიშება აქვთ განზრახულიო; მართლმადიდებლობას და დედა ეკლესიას გვიგინებენო; სულს გვართმევენო; ენას გვიბილწავენო; ევროპიდან შემოდის ყოველგვარი ბოროტება და სატანისტები არიანო; რუსეთია ჩვენი მამა-მარჩენალიო. ამგვარი სისულელეებით ცდილობენ ხალხის დავერბოვკებას და ისევ მონღოლოიდური რუსეთის კალთისქვეშ ნაციის შეფარებას. რუსული სპეცსამსახურების საქმეს სამღვდელოება აკეთებს ღმერთისა და ეკლესიის სახელით... ლუსტრაციას ექნება ჭიის წამლის ეფექტი: ნაწლავებიდან გარეთ გამოყრის და საკანალიზაციო მილში ჩაირეცხება აღნიშნული წურბელები..."**

როცა სამღვდელოებას **"ქურუმთა კასტას"** და ბოლშევიკურად **"წურბელებს"** ეძახი, განა ეს მართლმადიდებლობის და დედა ეკლესიის გინება არ არის?

როცა სოროსის ფულებით აღზევებულნი ძლიერნი ამა ქვეყნისანი ინტელიგენციას და სამღვდელოებას საკანალიზაციო მილებში ჩასარეცხებს ეძახი, ან განა ეს ხელისუფლების **ამპარტავნობისა** და მისი **დაბალი ინტელექტუალური დონის** მაჩვენებელი არ არის?

როცა სიტყვა **"გადმობირების"** ნაცვლად **"დავერბოვკებას"** ხმარობ, განა ეს ქართული ენის წაბილწვა არ არის?

როცა ევროპელები თავს გვახვევენ **ერთსქესიანთა ქორწინებას, მამათმავლობას, ლესბოსელობას, გეი-პარადებს** დემოკრატიისა და ადამიანის უფლებათა დაცვის სახელით, განა ეს ბოროტება და სატანიზმი არ არის?

როცა მართლმადიდებელ სლავ რუსებს **მონღოლოიდურ რასას** უწოდებ დამცირების მიზნით, განა ეს რასიზმი არ არის?

გავა-ჯიბეს ქელთ და ჭკუათხელთ შევახსენებ: **რასობრივი დისკრიმინაცია, რასებს შორის შუღლის ჩამოგდება საერთაშორისო სამართლით მკაცრად ისჯება!**

ჩვენს ჟამთააღმწერელს ობიექტურობის გრძნობა არა ჰღალატობს და მტერს და დამჰყრობელ მონღოლებს ასე ახასიათებს: **"ისინი იყვნენ ტანითა სრული, გუამითა ახოვან, ძლიერნი ფერხითა, შუენიერ, სპეტაკ ხორცითა... ამას ფიცსა რა დაამტკიცებენ, არა იცრუვნენ, სიტყუა ტყუილი არა ამოდის პირითა".**

როგორც ვხედავთ, მაშინდელ ევროპელებს მონღოლები არც ვაჟკაცობით, არც სამხედრო ხელოვნებით, არც ზნეობით არამც თუ ჩამორჩებოდნენ, არამედ აღემატებოდნენ...

რაც შეეხება ომებში სისასტიკეს, ამაში **მეოცე საუკუნის ევროპელებმა** ბევრად გადაამეტეს **მეცამეტე საუკუნის მონღოლებს...**

რა დააშავეს უძველესი კულტურის მქონე მონღოლოიდმა ჩინელებმა და იაპონელებმა, რომლებიც დღეს ევროპელებს ჯობნიან უპირველეს ყოვლისა ზნეობით, ტრადიციების დაცვით, ეროვნული თვითმყოფადობის შენარჩუნებით და თუნდაც სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესითა და ეკონომიკის აღმავლობით!

**"ტაბულა-რაზას"** ავტორებო! რა ღმერთი გიწყრებათ, რატომ აბინძურებთ სუფთა დაფას ცილისწამებითა და მონღოლოიდების დამცირებით?

გარწმუნებთ, ამგვარი სისულელეების გამოქვეყნებით ვერ შესძლებთ ხალხის **"დავერბოვკებას"**.

რაც შეეხება **"ლუსტრაციას"**, იგი ბენდუქიძის სვეტის ავტორისათვის საჭირო არც არის!

რუსული სპეცსამსახურების საქმეს სამღვდელოება და ქართული ეკლესია კი არ აკეთებს, არამედ ის ადამიანები, რომლებმაც **"მონღოლოიდურ რუსეთში"** რადაც მანქანებით მილიონები იშოვეს და დღეს უცხოელებს, მათ შორის რუსეთს მიჰყიდეს ქართული მიწა-წყალი, სტრატეგიული დანიშნულების ობიექტები, ყველაფერი სინდისის გარდა!

მას ვერ გაჰყიდიან, ჯერ ერთი სინდისის დეფიციტის გამო და მეორე, სინდისს მუშტარი არ ჰყავს!

ახლა ვნახოთ, როგორ უტეხს სახელს ქართველ ერს, მართლმადიდებლობას, ქართულ ეკლესიას და სამღვდელოებას ახლად მოვლენილი **"თეორეტიკოსი"** ზურაბ ოდილავაძე თავის წერილში **"იდეოლოგიზირებული რწმენა"** (**"ტაბულა"** №36, 13-19 დეკემბერი, 2010 წელი).

მისი აზრით, კომუნისტური იდეოლოგია ჩაენაცვლა სარწმუნოებით, ხოლო ჩვენმა **"ტოტალურმა უკრიტიკო და პასიურმა ცნობიერებამ სარწმუნოებაც შესაბამისი აბერაციით მიიღო"**, ანუ ჩვენ სარწმუნოება დამახინჯებულად მივიღეთ **"გაქვავებულ დოგმებზე და წეს-ჩვეულებებზე დამყარებული ე.წ. "ტაძრული" რწმენით".**

ის ზურაბ ოდილავაძე, რომელიც ქართველ ერს ცნობიერებას უწუნებს, საშინელ უცოდინარობას ამჟღავნებს. ჭეშმარიტი რელიგია ეფუძნება **"გაქვავებულ"** დოგმებს. ეს დოგმები ცვლილებებს არ ექვემდებარება.

ეკუმენისტურმა მოძრაობამ შეძლო ევროპის ქვეყნებში ქრისტიანულ-რელიგიურ დოგმატთა ცვლილება. შედეგად ის მივიღეთ, რომ დღეს ევროპის ბევრ ქვეყანაში ეკლესია ჯვარს წერს **"შეყვარებულ"** მამაკაცებს... თუმცა ჩვენი ახალგანმანათლებლები ამ სოდომური ცოდვის ეკლესიის მიერ **"კურთხევას"** უაღრესად დადებითად მოვლენად მიიჩნევენ, ხოლო ვინც ამას გმობს, მათ **"დასავლეთის დემონიზაციაში"** ბრალს დებენ.

ოდილავაძის აზრით, რათა **"გარედან ახლად შემოსულ, აშკარად უპირატეს ცხოვრების წესს... არ გაემარჯვა, საჭირო გახდა მტრის ხატის შექმნა. დაიწყო დასავლეთის დემონიზაცია".**

წმ. იოანე ოქროპირი გვასწავლის: **"თუკი ვინმე სამეფო მონეტაზე მეფის გამოსახულებას ოდნავ მაინც ცვლის, მონეტას აყალბებს. ასევეა ჭეშმარიტ სარწმუნოებაში – თუნდაც სულ მცირე ნაწილის ხელყოფა მთლიანად მის დამახინჯებას ნიშნავს".**

წმ. ისიდორე პელუსიელი ოდილაძისნაირთა შესახებ წერს: **"ვინც კადნიერება, მიუმატოს ან მოაკლოს რამე ღმრთივსულიერ სიტყვებს, ორიდან ერთი რამე სჭირს: ან არ წამს, რომ საღმრთო წერილი სული წმინდის მიერაა ნაკარნახევი, და მაშინ ურწმუნოა, ანდა საკუთარი თავი სული წმინდაზე უფრო ბრძნად მიაჩნია, და მაშინ ეშმაკეულია".**

ვიცი, ოდილავაძე წმინდანთა ამ შეგონებას ყურად არ მიიღებს, რადგან ღმერთისაც აღარ სჯერა. იგი თანამედროვე ქართველი მორწმუნის უარყოფით თვისებად მიიჩნევს **"უზენაესი ავტორიტეტისადმი უკრიტიკო, მონურ მორჩილებას".**

როგორი კადნიერებაა!

როგორ ემთხვევა ოდილავაძის აზრები ამერიკაში აღმოცენებულ, მასონობით ნაკვებ **"მკვდარ ღმრთისმეტყველებას"**, რომლის ძირითადი თეზისი ის არის, რომ **ღმერთი მოკვდა და ადამიანმა ღმერთის გარეშე უნდა იცხოვროს!**

**"ჩვენ ყველგან მასონები, იეღოველები და სისხლში შეყვანილი ჩიპები გველანდება"** – ბრძანებს ოდილავაძე და ამის გამო **"ერი დაირაზმა ერთი ამოცანით – სულის გადარჩენა, და ერთი სურვილით – მასონების თუ იეღოველების ექსპანსიიდან საქართველოს ხსნა!"**

ერი რომ სულის გადასარჩენად დაირაზმოს, ჩვენი ჭკუისკოლოფა ახალგანმანათლებლისათვის ეს **ჩამორჩენილობა** ყოფილა, ხოლო **"მასონების თუ იეღოველების ექსპანსიიდან საქართველოს ხსნა"** – ტოტალიტარული იდეოლოგია!

**"მრევლისა და სამღვდელოების გაუნათლებლობამ და მისგან გამომდინარე რელიგიურმა ფანატიზმმა საბოლოოდ დაასრულეს სარწმუნოების იდეოლოგიზაცია"** – ბრძანებს ოდილავაძე და კიდევ ერთხელ ერსა და ბერს უტიფრად შეურაცხყოფას აყენებს.

ყველაფრის მცოდნე ოდილავაძისთვის **"გაუგებარია მხოლოდ ერთი რამ – ჩვენ რას გვაძლევს ცივილიზებულ სამყაროსგან გამიჯვნა, რას გვაძლევს ქართველ ხალხს რუსეთიდან სარწმუნეობის იმპორტი და ამერიკასთან მტრობა?"**

ეშმაკეულის მბორგავი სულის აზროვნების ნიმუშია!

სოროსის ძუძუნაწოვნო!

ქართველი ერი ემიჯნება ფლეთხერისეულ ცივილიზებულ სამყაროს და არა სერვანტესის, შექსპირის, მარკ ტვენის, დოსტოევსკის, თომას მანის სამყაროს...

დეისაძე-ბურჭულაძეებო! თქვენი ლტოლვებია საკუთარ დედასთან გამიჯნურება და ფლეთხერის მექანიკური სექსი... შეირგეთ!

ქართველ ერს და სამღვდელოებას თავი დაანებეთ!

განათლებულო ოდილავაძე! რუსეთიდან საქართველოში სარწმუნოების **"იმპორტი"** არასდროს მომხდარა და არც მოხდება.

გირჩევთ წაიკითხოთ კირიონ მეორის **"ივერიის როლი რუსეთის ისტორიაში"**!

მაგრამ კირიონი ხომ **"გაუნათლებელი სამღვდელოების"** წარმომადგენელი იყო?

**თენგიზ კუბლაშვილი**

# უგულ-ებელყოფილი თბილისელები

ქართული ბოლშევიკური პრესის ფლაგმანის, გაზეთ **"კომუნისტის"** პირველ გვერდზე გამოტანილი სათაური დროთა უწყვეტი კავშირის ჭეშმარიტი დასტურია.

ქართველი პარტიელების საყვირი, რომლის ტირაჟი თითქმის ერთ მილიონს აღწევდა, რუსულენოვან გაზეთ **"ზარია ვოსტოკასთან"** ერთად იმ დროის მასშტაბით დიდ საქმეებს ატრიალებდა, რაც თვალნათლივ, ჭოგრიტის გარეშეც ჩანს ჩვენი იმდროინდელი **"არა მარტო აგიტატორისა და პროპაგანდისტის, არამედ ორგანიზატორის"** პირველი გვერდის პუბლიკაციებიდან. აი, სათაურები, რომლებიც საქმეში ჩახედულ ადამიანებს ბევრ რამეს ეუბნება: **"იმარჯვეს ძმური კავშირი", "ერთად - საერთო მიზნისკენ!", "ლ.ი. ბრეჟნევი: მშვიდობის დაცვაზე არსებითი ხალხისთვის არაფერი არ არის".**

დაბოლოს, თბილისის დღევანდელობაში ექოდ გაჟღერებული მოწინავე წერილი: **"გასაკეთებელი ჯერ კიდევ ბევრია!".**

ხომ გაგახსენდათ, რომ სწორედ ასეთი წინასაარჩევნო სლოგანითა და პლატფორმით წარსდგა მერი უგულავა თბილისელების წინაშე, რათა კვლავ გამხდარიყო ქალაქის თავი? მისი პიარხელოვნება იმ პერიოდში პატიოსან საზოგადოებას არ აღიზიანებდა, მხოლოდ შემწყნარებლურ ღიმილს იწვევდა - ერთობა ქალაქელი ბიჭი... დიდი ამბავი: შოთ პურებს აცხობდა ტელეკამერების წინ მომავალი მერი, რეცხავდა კერძო პირების ავტომანქანებს და ბენზინის ბაკებს საწვავით ავსებდა... შედეგად, კონკურსში გაიმარჯვა, მეორედ ჩაბრძანდა შეჩვეულ სავარძელში და თითქმის ბრეჟნევივით განაცხადა: **"გასაკეთებელი ჯერ კიდევ ბევრია!"** ვერ იტყვი, რომ ჩვენი მერი ახალბედაა და საკმარისად გამოცდილი არ არის. პირიქით, უნდა ვივარაუდოთ, რომ მას ძალიან გამოადგა ახალგაზრდულ ორგანიზაცია **"კმარაში"** ათვისებული ცოდნა, როცა შავ თავსაფარ წაკრული დამდუღრულივით დარბოდა ქალაქში მისნაირებთან ერთად მაშინდელი **"გენმდივნის"** - შევარდნაძის ბიოგრაფიას ხან საღებავით აშავებდა, ხან ისეთი შეძახილებით, რომლებსაც ვერანაირი ქაღალდი ვერ აიტანს...

ასეთი თავგამოდება ყოფილ სტაჟიორს მისმა გავლენიანმა ამხანაგებმა დაუფასეს. **"ვარდების რევოლუციის"** შემდეგ იგი ჯერ **"ხანჯლისა და მოსასხამის"** უწყების მინისტრის მოადგილედ მოგვევლინა, შემდეგ, სანამ მერიაში **"დამსახურებულ ადგილზე"** გაამწესებდნენ, მშობლიურ სამეგრელოში იგუბერნატორა ერთი ხანი.

გგონიათ, რომ დაიბნა მასშტაბური და ბინძური ინტრიგების საუფლოში? პირიქით, მყარად დადგა ფეხზე, მიმოიხედა და პრეზიდენტ მიშას მიმართ პატივისცემის გამოვლენის პარალელურად, საჭირო ადამიანებს დაუახლოვდა. მის **"ძმაბიჭებს"** შორის ბრძანდება თბილისის ენერგოსადისტრიბუციო კომპანია **"თელასის"** გენერალური ხელმძღვანელი იური პიმენოვი (როგორც მერის თანაპარტიელები ამტკიცებენ, ჩვენდამი მტრულად განწყობილი რუსეთიდან). ბატონმა უგულავამ, ბატონ პიმენოვს, ყველაფრიდან ჩანს, შეუქმნა **"მშვიდი მუშაობისა"** და შესაშური მეგობრობის ყველა პირობა. აბა, ტყუილად ხომ არ იხანგრძლივებს წლიდან წლამდე საქართველოს დედაქალაქში მოღვაწეობის ვადას სტუმარი რუსეთიდან? ეტყობა, მოსწონს უგულავას თბილისური დახლი. მართალია, ისინი ჯერ არ დანათესავებულან, სისხლხორცეული კავშირები ერთმანეთთან არ დაუმყარებიათ, მაგრამ ფაქტია, რომ ერთობლივად არაერთგზის მიუღიათ მონაწილეობა რაღაც სადგურების და ქვესადგურების სარემონტო სამუშაოების დასრულებაში, რომლებიც დედაქალაქის ელექტროენერგიით მომარაგების გასაუმჯობესებლად ჩატარებულა. ბატონმა პიმენოვმა თავის მხრივ საგრძნობლად წაიწია საქველმოქმედო ასპარეზზე, რისი წინააღმდეგი არავინაა, მაგრამ მის საღმრთო საქმეთა პიარის მასშტაბები დაჟინებით მიგვითითებს გარკვეულ უხერხულობაზე: ეგებ, მონაწილეობს კიდეც ქალაქის რომელიღაც საქმიან პროექტებში, მაგრამ რომელში კერძოდ, არავინ ვუწყით.

ამას გარდა, მერიასა და თბილისის ელექტროგამანაწილებელ ქსელს ქალაქის ღამის განათებაში საერთო ინტერესები აქვთ. ან, თუნდაც, გავიხსენოთ სატელევიზიო ანძა, რომელიც დღე და ღამე ნაირფერებით ბრჭყვიალებს. აღარაფერს ვამბობთ წინასაახალწლო ილუმინაციაზე, რომელიც ელექტრონათურების სიმრავლითა და განფენილი ნათების სიუხვით ჯერ კიდევ ნოემბრის თვეში საზეიმო დიდებულებით ავსებდა თბილისის ცენტრალურ ქუჩებს. სუნთქვა გეკვრება ამ ყველაფრის შემხედვარე თბილისელს.

მაგრამ რა უჯდება **"მისი ბრწყინვალება"** ქალაქის ხაზინას და აფინანსებს კი იგი ასეთ ელექტროგულუხვობას? რამდენ პენსიონერს გაუთბობდა გაყინულ ბინას ეს თანხა ყინვიან ზამთარში? ბატონი პიმენოვი ზრუნავს მოწყალების სახლ **"კათარზისზე"**, რატომ არ უნდა მიბაძოს ბატონმა მერმა მოსკოველ სტუმარს და მიხედოს დანარჩენ ხანდაზმულ თანაქალაქელებს? საკმარისია ტელეანძის განათების გადართვა უფრო ეკონომიურ რეჟიმზე, ან **"შემოიჭირონ ქამრები"** ღამის განათების სფეროში და დაგროვდება საკმარისი სახსარი ხალხზე საზრუნავად.

მოკლედ, ეს განსაკუთრებული საკითხია და, ამბობენ, ფრიად საინტერესოც (ჭკუის სასწავლებელი ბევრი სხვა თვალსაზრისითაც)...

მაგრამ, ჩვენის აზრით, ყველაზე უფრო წარმატებული გამოდგა ერთი პროექტი, რომელიც, ეტყობა, ბატონ უგულავას ზემოქმედებით განხორციელდა - წყლის, ნაგვის გატანის და ელექტროენერგიის საფასურის ერთობლივად და აუცილებელი წესით გადახდა თელასის ქვითრით. ეს, რა თქმა უნდა, არც ჭაბუკის მიერ გადადგმული ნაბიჯია, არც მექალთანე დონ ჟუანისა, არამედ ინიციატივიანი და ჭკუადამჯდარი ბიზნესმენ-წინასწარმეტყველის.

რატომ წინასწარმეტყველის?

იმიტომ, რომ ორი წლის შემდეგ, ანუ დღეს, საკუთარი თავისთვის და მეგობრებისთვის პრივილეგიების მისანიჭებლად, დაუდო ახალი საგადასახადო ვარიანტი მაგიდაზე პრეზიდენტს, რომელმაც ისარგებლა მისთვის მინიჭებული უფლებით და დაუდასტურა, რომ მხარს უჭერს გადასახადების ერთობლივად გადახდის სისტემის შექმნას პრინციპით - **"არ გადაიხდი წყლის საფასურს, გამოგირთავთ ელექტროენერგიას".**

აი ასეთი კაბალური პირობები მოახვიეს დაუცველ მომხმარებლებს უგულავას თაოსნობით, რომელმაც, კარგად რომ მოკალათდა სავარძელში, შეძლო, ერთის მხრივ, გადასახადების **"ამოქაჩვა"**, მეორე მხრივ, შექმნა ქალაქის დასუფთავების მოქნილი და ტექნიკური საშუალებებით აღჭურვილი სისტემა, რომელსაც ნარინჯისფერ ტანსაცმელში გამოწყობილი მეეზოვეები ემსახურებიან.

აქვე შეგახსენებთ: რამდენიმე წლის წინათ ბატონმა უგულავამ ტელევიზიის მეშვეობით მოქალაქეებს წარუდგინა სასწაული მანქანა-დანადგარი, რომელსაც ნებისმიერ პირობებში შეეძლო გაეზომა დაგებული ასფალტის საფარის სისქე და სტანდარტულობა. მაშინ ბატონი მერი იმუქრებოდა, რომ ლამის ღამ-ღამობით შეამოწმებდა ახლად დაგებულ ასფალტს და დასჯიდა მეასფალტეებს, რომლებიც ჯერ კიდევ საბჭოთა პერიოდიდან წამგლეჯებად და მიმთვისებლებად იყვნენ აღიარებულნი. სად გაქრა ეს მანქანა, ბატონო მერო, რომლის ღირებულება, თუ მეხსიერება არ გვღალატობს, მილიონზე მეტი დოლარი იყო?

ამას ვიხსენებ იმიტომ, რომ ძალიან საჭირო გახდა ეს მანქანა-დანადგარი: ვერ მოასწრებენ ქუჩაზე ასფალტის დაგებას ან დაზიანებული ნაწილის შეკეთებას, რომ სასწრაფო რემონტი უნდა მიადევნონ კვალდაკვალ.

მაგრამ ყველაზე დიდ წარმატებას მერმა ტრანსპორტის სფეროში მიაღწია. მგზავრობის ტარიფების გაზრდას იგი ყოველთვის წარმოგვიდგენს, როგორც საღვთო საქმეს, რომლის გამოც ღვთისმოსავი დედაბრები სიხარულის ცრემლებს ღვრიან და ღამ-ღამობით უგულავაზე ლოცულობენ.

მოფიქრება არ გინდა? მერის მითითებით, მოქალაქეების ჯიბეებში თავხედურად აფათურებენ ხელებს, ასეთ ყაჩაღობას კი ისე შეფუთავენ, თითქოს უგულავასგან საადგომო წითელ კვერცხებს არიგებდნენ საჩუქრად.

კიდევ ბევრ ასეთ საქმეს გვპირდება დედაქალაქის მერი - ძლიერთა ამა ქვეყნისა ადამიანების მონაწილეობით.

ხომ გვარწმუნებდა არჩევის წინ - ბევრიაო გასაკეთებელი? მოვესწრებით კი? გავუძლებთ კი?

**საქინფორმი**

# ივანე ჯავახიშვილი – ქართველ ერის ისტორია

*აღნიშნულ წიგნში დიდი ქართველი მეცნიერისა და მამულიშვილის, სულმნათი მეცნიერის ივანე ჯავახიშვილის მიერ მეტად საინტერესო მოსაზრებებია მოყვანილი მეგრული, სვანური და ლაზური ფენომენის თაობაზე. მკითხველს ვაუწყებთ, რომ პუბლიკაციაში შენარჩუნებულია ავტორისეული ლექსიკა. ამ უდავოდ საინტერესო და დღემდე უცნობ ნაშრომს ვთავაზობთ გაზეთ "ილორის" მკითხველს.*



## თავი მეექვსე

### საქართველოს კულტურა I-VII ქრ. წ.

საქართველოს ისტორიის მთელი ის ხანა რომლის შესახებაც მეხუთე თავშია საუბარი, უმეტეს ნაწილად სპარსეთსა და ბიზანტიას შორის გამწვავებულ ბრძოლასა და ქიშპობაში დაილია. ეს ორი ძლიერი სახელმწიფო ერთიერთმანეთს საქართველოზე ეცილებოდნენ და სურდათ მის ერთადერთ ბატონად გამხდარიყვნენ. ეს მედგარი მტრობა და სისხლის ღვრა მხოლოდ გარეშე შემოჭრილმა ძალამ, გამაჰმადიანებულმა არაბებმა, მოსპო.

ამ ხნის განმავლობაში საქართველო ორ სამეფოდ იყო დაყოფილი: ლაზიკად და იბერიად, რომელმაც 532 წელს თავისუფლება დაჰკარგა და სპარსეთს შერჩა. სასანელთა გვარის შაჰები სულ იმის საგონებელსა და ცდაში იყვნენ, რომ ლაზიკაც იმათ რგებოდათ და მთელ საქართველოსა და კავკასიის მბრძანებლად გამხდარიყვნენ.

ხანგრძლივ ბრძოლის შემდგომ ლაზიკა მაინც ბიზანტიელებმა შეინარჩუნეს. ამგვარად, დასავლეთ საქართველო განსაკუთრებით ბიზანტიის გავლენის ქვეშ იმყოფებოდა, აღმოსავლეთი საქართველო კიდევ სპარსეთის მძლავრ გავლენას ექვემდებარებოდა, მაგრამ ამასთანავე როგორც იბერიაში ბიზანტიელების კულტურა ძლიერი იყო, ისე ლაზიკაში სპარსეთის კულტურასაც გზა გაკვლეული ჰქონდა.

თვით ქართველების ნატვრის და და მისწრაფების ერთად-ერთ საგნად პოლიტიკური დამოუკიდებლობა და თავისუფლება იყო, არც ბიზანტიისა, არც სპარსეთის ბატონობის მოტრფიალე ლაზიკა და იბერია არას დროს არა ყოფილა: როდესაც ქვეყანა ბიზანტიის ხელში იყო, და მის მოხელეების ბოროტებისაგან სამეფო ილაჯგაწვეტილი იყო, ხალხი სასანელთა შაჰებს ემხრობოდა მხოლოდ იმიტომ, რომ ბერძნები განედევნათ და თავისუფლება მოეპოვათ; ამგვარადვე ბიზანტიელებს სთხოვდნენ ხოლმე შველას, როცა ქვეყანას სპარსეთი აწუხებდა. ორ წყალ შუა მყოფი ქართველობა ცდილობდა მოცილე სახელმწიფოების მეტოქეობით ესარგებლნა და თავისი მდგომარეობა გაეუმჯობესებინა.

თუმცა ბიზანტიას მეტად საზიზღარი და ანგარი მოხელეები ჰყავდა, მაგრამ მაინც-და-მაინც თვით კეისრების მთავრობა სასანელთა გვარის მეფეებს სჯობდა და იმდენად სასტიკი და გულქვავი არ იყო; ამიტომ ქართველობისათვის ბიზანტიელების მფარველობა იმდენად დამღუპველი არ იყო, როგორადაც სპარსელების მფარველობა. აკი აღმოსავლეთ საქართველომ დაჰკარგა თავისუფლებაცა და მეფობაც, ხოლო დასავლეთ საქართველომ საკუთარ სამეფოს არსებობა შეინარჩუნა და კვლავინდებურად ბიზანტიელების მფარველობის ქვეშ იმყოფებოდა.

ლაზიკის სათავეში იდგა მეფე; მას ლაზიკის გარდა ემორჩილებოდნენ: აფხაზები, აფსილები, მისიმიელნი და სვანები, მაგრამ მათ თავიანთი საკუთარი მთავრები ჰყავდათ; ლაზიკის მეფე მხოლოდ ამტკიცებდა თვითეულს ახალ მთავარს; ყველა ამ ტომებს ყოველწლიური გადასახადი და ბეგარა ედოთ ლაზიკის მეფის სასარგებლოდ; მეფეც თავის მხრივ ეხმარებოდა ხოლმე. მეფის უფლება ლაზიკაში სამეფო საგვარეულოს ეკუთვნოდა და ამ უფლების მემკვიდრეობა, როგორცა ჩანს, იმაზე გადადიოდა, ვინც განსვენებულ მეფის მომდევნო და წლოვანობით უფროსი იყო საგვარეულოში; მაგალითად, ლაზიკის მეფე წათე I შემდგომ, რომელიც იუსტინე კეისრის დროს ცხოვრობდა, ტახტზე ავიდა იმისის შვილი გუბაზი კი არა, **მისი ძმა ოფთისე**; ოფთისეს მემკვიდრედ კიდევ სამეფო ტახტზე წათეს პირველი შვილი გუბაზი იყო, ხოლო მისი მოკვლის შემდგომ გამეფდა წათე პირველის მეორე შვილი და გუბაზის უმცროსი ძმა წათე II; **მაშასადამე ლაზიკაშიც იგივე მემკვიდრეობის წესი სუფევდა, როგორიც იბერიაში იყო I საუკ. ქრ. წ.,** პირდაპირი მემკვიდრეობის უფლება კი არა, არამედ საგვარეულოში უფროსობის მიხედვით.

ბიზანტიის კეისრისგან დამოკიდებულება მხოლოდ იმაში გამოისახებოდა, რომ ახლად ტახტზე ამავალ მეფეს კეისარი სამეფო ნიშნებს და სამკაულს უგზავნიდა; არავითარ ხარკს ხალხი და ლაზიკის ბატონი ბიზანტიის მთავრობას არ აძლევდა; 532 წლამდე ლაზიკაში ბიზანტიელებს მუდმივი ჯარი არა ჰყოლიათ, და მხოლოდ მას შემდეგ, რაც სპარსეთმა იბერიის სამეფო მოსპო და ლაზიკის დაპყრობას ცდილობდა, კეისარმა ლაზიკის ზოგიერთ ციხეებში, განსაკუთრებით აღმოსავლეთის სამზღვარზე და ზღვის პირას, საგანგებო ჯარი ჩააყენა.

ლაზიკაში ამ დროს წოდებრივი განსხვავება არსებობდა და მოწინავე წოდება როგორც ეტყობა სამეფოს საქმეებში მონაწილეობას იღებდა.

ხალხში მწერლობა არსებობდა და სახელმწიფო მართვა-გამგეობა იმდენად დაწინაურებული ყოფილა, რომ სახელმწიფოსათვის მნიშვნელოვან საბუთებს ინახავდნენ; სხვათა შორის, ლაზების დესპანების სიტყვით, მათ შენახული ჰქონიათ ზავის წიგნები და ხელშეკრულობათა პირობის წერილები, რომლებითაც ლაზები ოდესმე სპარსელებს შეჰკვრიან.

ლაზიკა მჭიდროდ ყოფილა დასახლებული, განსაკუთრებით მდინარე რიონის ჩრდილოეთით მდებარე ნაწილი; სამხრეთით მოსახლეობა განუწყვეტლივი ომიანობის გამო თხლად იყო; მთელ ლაზიკაში მეტად ხშირ მოსახლეობითა, მიწის ნაყოფიერებითა და სიმდიდრით მუხირის მაზრა იყო განთქმული, ის მაზრა, სადაც ქუთაისის ციხე იდო. ციხე-ქალაქებიც ბლომად არსებობდა ლაზიკაში; სხვებზე უფრო თვალსაჩინოდ ძველი ქალაქი (არხეოპოლისი), ფაზისი (ფოთი), ვარდციხე, ონოგური, სკანდა და შორაპანი ითვლებოდნენ. სამი სავაჭრო გზა, ერთი იბერიისკენ მიმავალი, მეორე – სომხეთისკენ – ქალაქ დვინს, მესამე დასავლეთისაკენ, შავი ზღვის ნავთსადგურამდე, მეზობლებთან აღებმიცემასა და მიმოსვლას უადვილებდნენ. ქ. ტელეფსის მახლობლად ერთი ადგილი იყო, რომელიც თიხის სხვადასხვა გვარ ჭურჭლეულობით იყო განთქმული **(Agathias, I,2, p. Lebeau, IX, 313).**

იბერიის სამეფო საკუთრივ ქართლს გარდა ჰერეთსაც შეიცავდა: ჰერეთის პიტიახში ვახტანგის დროს, მაგალითად, ქართლის მეფეს ემორჩილებოდა (შუშანიკის ცა, საქართველოს სამოთხე, 182). თუ ჰერეთი იბერიის მეფის ხელში ყოფილა, უეჭველია, კახეთიც იმასვე უნდა სჭეროდა; ამგვარად იბერიის მეფეს მთელი აღმოსავლეთ საქართველო ჰკუთვნებია. არამც თუ პირაქეთელი მთიელნი, კავკასიის პირიქითელი მთიელებიც იბერიის მეფის მოკავშირენი და მეშველნი იყვნენ; რაკი კავკასიონისა და არაგვის ხეობის გზა იმის ხელში იყო, იმის ნებაყოფლობაზე იყო დამოკიდებული, გადმოუშვებდა პირიქითელ ველურ ხალხებს თუ არა.

მთელი იბერია ისე საუცხოოდ, ნიშანდობლივ და დაწვრილებით აქვს აღწერილი სტრაბონს, რომ იმაზე უკეთესად ძნელია. ეს აღწერილობა მოყვანილია ამ თხზულების წინა თავებში და აქ ამ საგანს აღარ შევეხებით, მით უმეტეს, რომ ქართულ საისტორიო წყაროებში ქვეყნის იმდროინდელი მდგომარეობა აღწერილი არსად არ აღმოჩენილა. მოვიყვან მხოლოდ ერთ-ერთს ამგვარ ცნობას, რომელიც შეეხება ჰერეთიც ერთ კუთხეს და შუშანიკის მარტვილობაშია შენახული (საქართვ. სამოთხე, გვ. 189): **"ჟამსა ზაფხულობისასა ცეცხლებრ შემწველი იგი მხურვალება მზისა, ქარნი და ხორშაკნი და წყალნი მავნებელნი, რომელისა მკვიდრნიცა მის ადგილისანი სავსენი სენითა ჩარადოვანნი, პირ მსივანნი და დღემოკლედ ცხოვრებულნი: და მოხუცებულნი არავინ არს მათ ქვეყანათა"**. აი, ციებ-ცხელებიან, დამცდელ ქვეყნისა და ეხლა მალარიად წოდებულ ციებ-ცხელების იმდროინდელი საუცხოო აღწერილობა და სურათი.

მოქმედობდა იბერიაში ძველი, უფროსობაზე დამყარებული, სამეფო ტახტის მემკვიდრეობის წეს-რიგი, თუ არა, საბუთებიდან არ სჩანს. მას შემდეგ, რაც სპარსელებმა ჯერ აღმოსავლეთ იბერია ჩაიგდეს ხელში, მერე დასავლეთიც კეისარს გამოჰგლიჯეს, იბერიის სამეფო ტახტის მემკვიდრეობის წეს-რიგში შეეძლოთ ჩარეულიყვნენ. სამწუხაროდ არავითარი ცნობები არ მოიპოვება იმის შესახებ, თუ რაში გამოიხატებოდა იბერიის მეფის დამოკიდებულება სასანელთა გვარის შაჰებისაგან: საჭირო იყო ტახტზე ამავალ მეფისათვის მათი დამტკიცება, თუ არა, ან თუ სამეფო ნიშნებსა და სამკაულს უგზავნიდა ხოლმე? არც ისა სჩანს, აძლევდა იბერია მაშინაც, როცა მეფობა ჯერ მოსპობილი არ იყო, სპარსეთის მთავრობას რაიმე ხარკს, თუ არა?

სამეფოს განაგებდნენ უმაღლესი მოხელეები, რომლებიც **"მთავრებად" ("მთავართაგანი"** შუშანიკის ცა, საქ. სამოთხე, 188; **"მთავარნი ქართლისანი"** ევსტათე მცხეთელის ცა, **ib**. გვ. 315) იწოდებოდნენ. ჰერეთიც მმართველს სპარსული სამოხელეო სახელი **"პიტიახში"** ერქვა (შუშანიკის ცა, **ibid** 182); პიტიახში ქართლშიც ყოფილა: სომეხ ისტორიკოს ლაზარე ფარპელის თხზულებაში იეზდიგერდის (439-457) დროს არშუშა, ქართველთა პიტიახშად არის მოხსენებული (იხ. ვენეც. გამოცემა. გვ. 146). ვასქენ პიტიახში, არშუშა პირიახშის ძე, შუშანიკის ქმარი (შუშანიკის ცა, საქართველოს სამოთხე, 181), რომელიც ვახტანგ მეფემ 483 წელს მოაკვლევინა (ლაზარე ფარპელის ისტორ. ვენეციის გამოცემა, გვ. 406), და ევსტათე მცხეთელის ცხოვრებაში 541 წელს აღნიშნულია **"არშუშა ქართლისა პიტიახში"** (საქ. სამოთხე. გვ. 315). რით განსხვავდებოდა და რა დამოკიდებულება ჰქონდა პიტიახშისა და მთავრის მოხელეობას, მასალებიდან არ სჩანს. ამ ორ თანამდებობის გარდა არსებობდა აგრედვე **"მამასახლისობა"**-ც; ევსტათე მცხეთელის ცხოვრებაში მოხსენიებულია 541 წელს **"გრიგოლ ქართლისა მამასახლისი"** (**ibid**. გვ. 315).

მამასახლისობა უძველეს დროიდან შერჩენილი სამოხელეო სახელწოდება არის; მაგრამ რა თანამდებობა ჰქონდა ქართლის მამასახლისს ამ დროს და რით განირჩევოდა მისი უფლება ქართლის ერისმთავრისა და ქართლის პიტიახშის უფლებისაგან – ამის გამორკვევა, ცნობების უქონლობის გამო, შეუძლებელია.

პიტიახშნი მოწინავე წოდებიდან ყოფილან და დიდად პატივსა სცემდნენ: პიტიახში რომ მაგალითად თავის ქვეყანაში მობრძანდა, **"თანმიეგებნენ მას აზნაურნი და ძენი, და მსახურნი თვისნი"** (შუშანიკის ცა, საქართველოს სამოთხე, 182). პიტიახშსა ჰქონდა აგრეთვე კვერთხი (**ibid**. 186). მას ჰყავდა ხელქვეითი მოხელეები **"მსახურნი"** (იბიდ. 182. 184).

ზემოდდასახელებულ მოხელეებს გარდა იბერიაში უეჭველია სხვა მრავალი თანამდებობაც არსებობდა, მათ შორის, რასაკვირველია, მწიგნობართ-უხუცესის თანამდებობაც; მაგრამ საისტორიო საბუთებში იმათ შესახებ, სამწუხაროდ, ჯერ არავითარი ცნობა არ აღმოჩენილა.

ამ დროს საგამგეო ოლქებისა და ერთეულების სახელები აწინდელებისაგან თვალსაჩინოდ განირჩეოდა: იმას, რასაც ჩვენ ეხლა ქვეყანას ვუძახით, მაშინ **"სოფელი"** ერქვა. მაგალითად, შუშანიკის ცხოვრებაში ნათქვამია: **"აზნაურნი დიდ-დიდნი, სეფექალნი, დედანი, აზნაურნი და უაზნონი სოფლისა ქართლისანი"** (საქართველოს სამოთხე, 191); ევსტათე მცხეთელის ცხოვრებაშიც მარზპანი ჰკითხავს მარტვილს: **"რომლისა სოფლისა ხარ, ანუ რომლის ქალაქისა..."** ხოლო წმიდამან ევსტათი რქუა მას: **"მე სოფლისა სპარსეთისა ვიყავ (ხევისა) არბუკეთისა ქალაქისა განძაკისა"**-ო (**ib**. 314).

იმას, რასაც ჩვენ ეხლა სოფელს ვეძახით, მაშინ **"დაბა"** ერქვა. სიტყვა **"ქუეყანა"**-კი იმ დროს მარტოოდენ დედამიწასა ნიშნავდა. მე-VIII-ე საუკუნემდე ყველა ზემომოყვანილ ტერმინებს ამ მნიშვნელობით ხმარობდნენ. ჩვეულებრივ საგამგეო ერთეულად მაშინც **"ხევი"** იყო.

სპარსელებმა რომ აღმოსავლეთ საქართველოში მეფობა გააუქმეს, ქვეყნის უზენაეს გამგედ თავის წარმომადგენლად მარზპანი დანიშნეს. მარზპანი სპარსული სიტყვაა და **"მარზ"**-ის (სამზღვარსა ნიშნავს, აქედან არის წარმომდგარი ქართული **"მაზრა"**) მცველს **("პან")** აღნიშნავს და ქართულს საგამგეო თანამდებობას **"მონაპირე"**-ს უდრის. თუმცა სპარსელი მარზპანი იბერიაში სამეფოს არსებობის დროსაც ჰყავდათ, მაგ. 439-457 წლების განმავლობაში ქართველთა მარზპანად ვასაკ სივნიელი ყოფილა (ლაზარე ფარპელის ისტ. გვ. 277), მაგრამ მაშინ ეს მოხელე სასანელთა გვარის წარმომადგენლად ითვლებოდა ქართველთა მეფის წინაშე, მეფობის მოსპობის შემდგომ-კი მას ქვეყნის უზენაესი მართვა-გამგეობაც ებარა. 540-541 წლებში ქართლის მარზპანად ყოფილა არვანდ გუშნასპ (ევსტათე მცხეთელის ცა, საქ. სამოთხე, 313), ხოლო მის მოადგილედ 544-545 წლებში გამოუგზავნიათ ვეჟან ბუზმილ (**ibid**. 315).

მარზპანის ხელში იყო ხარკი და სხვაგვარი გადასახადი; მას ემორჩილებოდა ადგილობრივ ჩაყენებული სპარსელთა ჯარი და დაბალ წოდებათა უზენაესი გასამართლების, სიკვდილ-სიცოცხლის, უფლება ჰქონდა (ევსტათე მცხეთელის ცა, **ibid** 314); მოწინავე წოდების გასამართლება მას არ შეეძლო. მუდმივი ბინა მარზპანს ქ. ტფილისსა ჰქონდა (**იბიდ**. 314).

მარზპანს ემორჩილებოდნენ სამეფოს სხვა და სხვა ციხე-ქალაქების ციხისთავები, მაგ. მცხეთისა ციხისთავი (**იბიდ**. 313), რომელსაც სპარსელი მხედრები ჰყავდა ხელქვეით (**იბიდ**. 314); ციხისთავს სასამართლო საქმეების გამოძიების უფლებაცა ჰქონდა და მსუბუქ დანაშაულობის შესახებ მსჯავრის დადებაც შეეძლო; ხოლო როცა ბოროტმოქმედება სიკვდილით უნდა დასჯილიყო, მაშინ ციხის თავს დამნაშავე გამოძიებულ ცნობებითურთ მარზპანისათვის უნდა გაესტუმრებინა (**იბიდ**. 314). სპარსეთის მოხელეები – მარზპანი და ციხის თავები, ქვეყნის ბატონებად იყვნენ, ქვეყნის პატრონებად, **მის შინაურ საქმეების გამგედ აზნაურთა წოდება გახდა;** ჩვენი ისტორიკოსი სუმბატ დავითის ძე ამბობს: **"ვინათგან მოაკლდა მეფობა შვილთა გორგასლისათა, მით ჟამითგან ეპყრა უფლება ქართლისა აზნაურთა"**-ო (სამი ისტ. ხრ. გვ.44).

პირველ საუკუნის დამდეგს (ქრ.წ.), როგორც ზემოდ აღნიშნული იყო, იბერიაში წოდებრივი უსწორ-მასწორობა თითქმის არ არსებობდა: ყმები სამეფო გვარეულობის გარდა სხვას არავისა ჰყავდა, მე-V-ე საუკუნეში-კი იბერიის მკვიდრნი რამდენადმე გარკვეულ წოდებრივ ჯგუფად იყვნენ დანაწილებულნი. შუშანიკის მარტვილობაში ჩამოთვლილია **"აზნაურნი დიდ-დიდნი... აზნაურნი და უაზნონი სოფლისა ქართლისანი"** (საქართველოს სამოთხე, გვ. 191). მაშასადამე იმის გარდა რომ მცხოვრებნი იყოფოდნენ ორ მთავარ ჯგუფად – აზნაურად და უაზნოდ, ანუ თავისუფალ და უთავისუფლებოდ,– წოდებრივი განსხვავება და დანაწილება საკუთრივ აზნაურთაც დასტყობიათ, მეტნაკლებობას აქაც უჩენია თავი: ერთი წილი დიდ-დიდ აზნაურად, მეორე, ალბად უმრავლესი, წილი კიდევ უბრალო აზნაურად ირიცხებოდა. სწორედ ამ დიდ-დიდ აზნაურთა ხელში უნდა ყოფილიყო ქვეყნის შინაური მართვა-გამგეობა უმეფობის დროს. დიდ-დიდ აზნაურთა გვარი'შვილებს სახელად აგრედვე სეფეწული და სეფექალი ეწოდებოდა (შუშანიკის ცა).

**(გაგრძელება შემდეგ ნომერში)**

# ღია წერილი ალექსანდრე ჭაჭიას ახალ ოპონენტს სოსო სიგუას და ყოფილ ოპონენტებს: ანანია ჯაფარიძეს, გონელი არახამიას, ნომადი ბართაიას, თეიმურაზ გვანცელაძეს, ტარიელ ფუტკარაძეს და სხვებს.

**გიორგი (გონი) ცაავა,**

ამ წერილს ის ტკივილი მაწერინებს, რომელიც თქვენ მიაყენეთ ალექსანდრე ჭაჭიას. ბატონო სოსო, თქვენი დონის მეცნიერმა, უნდა იცოდეს, რომ ცრუ დასმენა კანონით ისჯება! სწორედაც რომ ცრუ დასმენაა, როცა ადამიანს ბრალს სდებთ რუსეთის **"აგენტობაში",** ყოველგვარი საფუძველის გარეშე.

გაზეთ **"კვირის პალიტრაში"** გამოქვეყნებულ თქვენს წერილში **"ქვეყნის დაშლა შურობუმურად",** ვერ გავიგე, რისი დამტკიცება გსურთ.

ჩემი ყურადღება მიიქცია თქვენმა პროვოკაციულმა განცხადებამ: **"ფაქტია, რუსული აგენტურა კარგად მუშაობს. არავინ დაობს, რომ ლაზური, მეგრული, სვანური და ქართული ისტორიულად ერთი ენები იყო და დღემდე ქართველურ ენათა ჯგუფს მიეკუთვნება. ათი წლის წინ ამ საკითხზე მუშაობდა რუსეთში მოღვაწე ეგრეთ წოდებული პოლიტოლოგი ალექსანდრე ჭაჭია, შეიქმნა საზოგადოებები, ჩაატარა არა ერთი კონფერენცია, მაგრამ რუსეთმა მაშინ ამ საკითხის გამოყენება ვერ მოახერხა"**, და ა.შ.

ბატონო სოსო, ყველა მოვლენა ობიექტურ ჭრილში უნდა განვიხილოთ – თქვენ წერთ, ეტყობა ახალი ტალღა აგორდაო და XIX საუკუნეში სანქტ-პეტერბურგში მოღვაწე ცნობილ ქართველ ლინგვისტს ალექსანდრე ცაგარელს, სწორი მეცნიერული კვლევისათვის, ლამის სეპარატისტად რაცხავთ.

თქვენი აზრით, გამოდის, რომ ალექსანდრე ცაგარელმა, თავის გამოკვლევებით, რუსეთს ხელი შეუწყო სვანური, მეგრული და ქართული ენის დაქუცმაცებაში, რათა ადვილად გაენადგურებინა ქართული სახელმწიფოებრიობა... ალექსანდრე ცაგარელი ერის სიამაყეა და ამიტომაც განისვენებს მთაწმინდაზე. რაც მთავარია, თქვენის მხრიდან ასი წლის წინათ გარდაცვლილი კაცის კრიტიკა არაკაცობას ნიშნავს.

ბატონო სოსო, თქვენ როგორც მეცნიერს განგაში უნდა აგეტეხათ იმ საკითხზე, რასაც ქარტია გვავალებს – საქმის წარმოება რეგიონალურ ან უმცირესობათა ენაზე წარიმართოს. ნაცვლად იმისა ალექსანდრე ჭაჭიას მიადექით და რუსეთის **"აგენტად"** მოიხსენიებთ.

ბატონო სოსო, გასაკვირი ის არის, რომ თქვენ, მეცნიერი კაცი, არ იცნობთ პიროვნებას, არც მის შემოქმედებით საქმიანობას, არც ალექსანდრე ჭაჭიას მიერ უკანასკნელ პერიოდში გამოქვეყნებულ სქელტანიან წიგნს, რომელიც ყველა ჭეშმარიტი ქართველის სამაგიდო წიგნად იქცა: **"რამ დაგვღუპა... რა გადაგვარჩენს."** ამიტომ, გირჩევდით, ამ წიგნის წინასიტყვაობა მაინც წაგეკითხათ და შემდეგ გაგეკეთებინათ დასკვნა. როგორც ჩანს, თქვენ, ინტელიგენტი პიროვნება, არც ქართულ გაზეთებს კითხულობთ, თორემ გეცოდინებოდათ, ვინ არის ალექსანდრე ჭაჭია? თვე არ გავა, მისი ინტერვიუ ან წერილი რამდენჯერმე არ გამოქვეყნდეს წამყვან გაზეთებში.

ბატონო სოსო, საქართველოში ყველამ იცის ვინ არის ალექსანდრე ჭაჭია!

თქვენ წერთ **"რუსეთში მოღვაწე ალექსანდრე ჭაჭია"**-ო. ის რუსეთში არ მოღვაწეობს, არის საქართველოს მოქალაქე, დაიბადა 1958 წელს, აფხაზეთში, ქ. ოჩამჩირეში. 1981 წელს დაამთავრა მოსკოვის ლომონოსოვის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოსოფიის ფაკულტეტი, დაბრუნდა საქართველოში და 1982-1991 წლებში მუშაობდა საქართველოს განათლების სამინისტროში ხელმძღვანელ თანამდებობაზე.

1991 წლიდან ეწევა სამეცნიერო მოღვაწეობას პოლიტოლოგიაში, არის პოლიტიკური და ფილოსოფიურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, საქართველოს სოციალურ და ეროვნულ ურთიერთობათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი და სხვადასხვა ქვეყნის აკადემიათა ნამდვილი წევრი. მსოფლიოს პოლიტოლოგთა ელიტა ალექსანდრე ჭაჭიას იცნობს, როგორც პროგნოზირებად მეცნიერს, რაც არაერთხელ აღუნიშნავთ პოლიტოლოგთა ავტორიტეტულ კონგრესებსა თუ კონფერენციებზე. ამას უბრალოდ, ცნობისათვის გაუწყებთ, ბატონო სოსო!

ალექსანდრე ჭაჭია არის რამდენიმე სქელტანიანი მონოგრაფიის ავტორი, რომელიც თარგმნილია მსოფლიოს სხვადასხვა ენებზე. ეწევა აქტიურ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ საქმიანობას საქართველოში – არის სახალხო მოძრაობა **"სამეგრელოს"** თავმჯდომარე.

გეკითხებით, ბატონო სოსო, თქვენ რა სახის საზოგადოებრივ მოღვაწეობას ეწევით საქართველოში? არ მითხრათ, ახლა, მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ვარო. ეს მხოლოდ თქვენს მატერიალურ მდგომარეობას აუმჯობესებს, საზოგადოებას კი ბევრს ვერაფერს მატებს!

ქართველი მკითხველი დიდი ინტერესით ეცნობა ქართულ პრესაში გამოქვეყნებულ ბატონ ალექსანდრე ჭაჭიას პუბლიკაციებს. საქართველოს ხელისუფლების მიერ ეროვნულ ფასეულობათა საყოველთაო დისკრედიტირების ფონზე ელვისებური სისწრაფით ვრცელდებოდა მისი სტატიები, რომლებშიაც დაინტერესებული მკითხველი პოულობდა თვითეულისათვის საინტერესო, საჭირბოროტო საკითხებზე მკაცრ, მაგრამ ობიექტურ შეფასებებს. დღეს ბევრი ჩვენი თანამემამულე საგულდაგულოდ ინახავს გაზეთიდან ამოჭრილ მის წერილებს.

გთავაზობთ ამონარიდს, ნოქალაქევში, 2003 წლის 18 ივლისს ჩატარებულ ყრილობაზე, ბატონ ალექსანდრე ჭაჭიას მიერ გაკეთებული მოხსენებიდან:

**"ძირძველი ნოქალაქევიდან მოგმართავთ საქართველოს ყველა კუთხის მცხოვრებთ, ქართველებს: ძმებო და დებო, დედა-სამშობლო განსაცდელშია, დაკარგულია ტერიტორიები, დაღუპულია ათასობით ჩვენი თანამემამულე, ქვეყნის გარეთაა გასული უამრავი ქართველი, ეკონომიკური სიდუხჭირე, სულიერი, ზნეობრივი დაცემა, პოლიტიკური სიბეცე ეჭვის ქვეშ აყენებს ქართული საზოგადოების არსებობას, ქართველი ერის გადარჩენის საკითხს და ქვეყნის მომავალს"!**

კარგად დააკვირდით, ბატონო სოსო, ატყობთ აქ სადმე **"აგენტობის"** ნიშნებს?

ბატონო სოსო, თქვენ ერის სატკივარზე მზრუნველ პიროვნებას უწოდეთ რუსეთის აგენტი. მარტივ კითხვას გისვამთ – მაინც რომელი წყაროებიდან მოიპოვეთ ეს უგვანო ინფორმაცია? ამას ხომ თქვენ შეგნებულად აკეთებთ, რითაც ჩვენი, მართლაც უგვანო ხელისუფლების აზრს ახმოვანებთ!

ალექსანდრე ჭაჭიაზე ნადირობა ჯერ კიდევ შევარდნაძის მოქალაქეთა კავშირმა დაიწყო. თითიდან გამოწოვილი ბრალდებების კორიანტელი იფრქვეოდა გაზეთებიდან, ტელეარხებიდან. მას ათას რამეს სწამებდნენ, დაუწვეს მანქანა, ესროლეს, მაგრამ საბედნიეროდ უფალმა იხსნა.

ანტიეროვნულად მოაზროვნე ქართველმა პოლიტიკოსებმა და ფსევდოინტელიგენტებმა, ვერ გააცნობიერეს სახალხო მოძრაობა **"სამეგრელოს"** მნიშვნელობა. მათ არ სურთ შეიგნონ, რომ, მას შემდეგ, რაც ქუჯი და ფარნავაზი შეკავშირდნენ, სამეგრელო ისტორიულად ყოველთვის ასრულებდა გამაერთიანებელ ფუნქციას. სწორედ ერთსულოვნების წყალობით, ორ ზღვას შორის მოქცეული გეოსტრატეგიული სივრცე იმ მძლავრ სახელმწიფოდ იქცა, რომელსაც ევროპის გზაჯვარედინზე განსაკუთრებული მისია ჰქონდა დაკისრებული. რამდენად სამართლიანია ასეთი კუთხისათვის სეპარატიზმის დაბრალება?

ბატონო სოსო, როგორ შეიძლება საქართველოს დაშლის ბრალდება მიაწეროთ იმ ალექსანდრე ჭაჭიას, რომელმაც შექმნა უნიკალური დოკუმენტი: **"საქართველოს ეროვნულ-სახელმწიფოებრივი განვითარების სტრატეგია და ეროვნული იდეა",** რომელშიც მოცემულია ქვეყნის აღორძინების კონცეფცია. ამ ფაქტს ხელისუფლებამ დუმილით აუარა გვერდი.

თუმცა, თქვენგან წიხლი საწყენი არ არის – განა თქვენ არ იყავით, 90-იან წლებში რომ იძახდით, სიტყვა **"სამეგრელო"** ამოვიღოთ ხმარებიდან და მის ნაცვლად **"დასავლეთ საქართველო"** ვიხმაროთო! საინტერესოა, ასე რამ გაგაბოროტათ, რომ სამეგრელო შეიძულეთ?

ბატონო სოსო, თქვენ სამიზნედ აირჩიეთ დიდებული ოჯახის შვილი. ალექსანდრეს დიდი ბაბუა თეიმურაზი უაღრესად განსწავლული პიროვნება გახლდათ. იგი ეწეოდა სამეწარმეო საქმიანობას, ოჩამჩირის რაიონში ჰქონდა თამბაქოს პლანტაციები და საკუთარი სახსრებით ჩამოჰყავდა მაღალმთიანი სოფლებიდან როგორც ქართული, ისე აფხაზური ახლადშექმნილი ოჯახები, ყოველნაირად ხელს უმართავდა მათ, უსასყიდლოდ უშენებდა სახლებს და ძირძველ ქართულ მიწაზე ასახლებდა.

თეიმურაზის გარდაცვალების შემდეგ ოჯახის ტრადიცია გააგრძელა მისმა შვილმა ესტატე ჭაჭიამ. მან კიდევ უფრო გააფართოვა თამბაქოს პლანტაციები და გავიდა მსოფლიო ბაზარზე. ესტატე ჭაჭიაც განათლებული კაცი იყო. იგი დიდ-პატარას დღემუდამ უნერგავდა აზრს იმაზე, რომ სამშობლოს დიდი ზრუნვა და ყურადღება ესაჭიროება. სულგანათლებული ესტატე დიდი პატივისცემით ეპყრობოდა აფხაზებს, პატივს სცემდა აფხაზურ კულტურას და ტრადიციებს.

ესტატეს მთავარი საზრუნავი იყო ქართულ-აფხაზური კულტურისა და ტრადიციების განვითარება. მის ოჯახში თავს იყრიდნენ იმდროინდელი ინტელიგენციის წარმომადგენლები, როგორც ქართველები ისე აფხაზები: სოხუმიდან, გაგრიდან, გუდაუთიდან, გულრიფშიდან, ტყვარჩელიდან, სამურზაყანოდან, ზუგდიდიდან. ესტატემ ,საკუთარი სახსრებით, ოჩამჩირის რაიონში ააშენა რამდენიმე დაწყებითი სკოლა.

ესტატე ჭაჭია იყო ქართული წერაკითხვის გამავრცელებელი საზოგადოების თავმჯდომარე, ჰყავდა სახელობითი სტიპენდიატები როგორც რუსეთში, ასევე ევროპის სხვადასხვა ქალაქებში და ფინანსურად ეხმარებოდა მათ.

იონა მეუნარგია ესტატეს ოჯახის ხშირი სტუმარი იყო, ერთ-ერთი შეკრების დროს იონამ ესტატეს უწოდა კუთხის აღორძინების **"ჯინჯი ჭყონი"** (**„ფესვძლიერი მუხა"**).

ჭაჭიების ოჯახის შემოსავლის მეტი წილი ხმარდებოდა საქველმოქმედო საქმიანობას. და ამ საქმიანობაში ჩართული იყო ჯერ კიდევ სრულიად ახალგაზრდა ალექსანდრეს მამა ალექსანდრე და მისი მამიდა, ცნობილი მეცნიერი ნუცა ჭაჭია.

ალექსანდრე ჭაჭია დღესაც აგრძელებს საქველმოქმედო საქმიანობას. მეცნიერმა თავისი მწირი დანაზოგით ქალაქ ზუგდიდში ძეგლი აუგო საქართველოს პირველ პრეზიდენტს ზვიად გამსახურდიას, დააარსა გაზეთი **"ილორი"**, სახალხო მოძრაობა **"სამეგრელოსთან"** შექმნა ლაზურ-კოლხურ ურთიერთობათა საზოგადოება, რომელიც წარმატებით ახორციელებს თურქეთში მცხოვრებ ლაზებთან კულტურულ ურთიერთობათა განმტკიცების ღონისძიებებს.

ალექსანდრე ჭაჭია ის პიროვნებაა, რომელსაც ხელეწიფება ზუსტად, ნათლად და ყველასათვის გასაგები ენით გადმოგვცეს საქართველოსთან დაკავშირებული საკუთარი ფიქრი და განცდა, ვისაც თანაბრად აწუხებს არა მხოლოდ სამეგრელოს ბედი, არამედ თავისი ქვეყნის სატკივარი. უბედურება სწორედ ის არის, თქვენნაირ ადამიანს სამშობლოს ბედზე წუხილი სეპარატიზმად რომ მოეჩვენება.

ბატონო სოსო, თქვენ ალბათ არხეინად გეძინათ 2008 წლის 8-აგვისტოს სისხლიან დღეებში. მაშინ, ალექსანდრე ჭაჭიას, როგორც ერის ბედზე მოფიქრალ ადამიანს, შექმნილი მდგომარეობა ძალზე აღელვებდა. მან ჯერ კიდევ 9 აგვისტოს პრესის ფურცლებიდან მიმართა სააკაშვილს, რომ დაუყონებლივ შეეწყვიტა ცეცხლი და შესთავაზა თანადგომა რუსეთთან მოლაპარაკების გამართვაში. 26 აგვისტოს ალ. ჭაჭიამ პრესის საშუალებით კვლავ შესთავაზა შუამდგომლობა და მოუწოდა სააკაშვილს, სასწრაფოდ გასულიყო პირდაპირ დიალოგზე რუსეთის ხელისუფლებასთან, რათა თავიდან აგვეცილებინა აფხაზეთისა და ოსეთის ოფიციალური აღიარება. ამის საპასუხოდ ხელისუფლებამ რუსეთთან დიპლომატიური კავშირი გაწყვიტა. თუ რა მოჰყვა ამას, თქვენც კარგად იცით!

სახალხო მოძრაობა **"სამეგრელოს"** ყრილობის მოთხოვნა ქართულ სკოლებში მეგრული, და სვანური ენების სწავლების ერთსემესტრიანი კურსის შემოღებაზე, თავისი შინაარსით, აკაკი წერეთლის რჩევის აღსრულებას ისახავდა მიზნად. ალექსანდრე ჭაჭია აღნიშნავდა: **"რა არის ცუდი იმაში, თუ კი ქართველი ბავშვი, ქვეყნის ნებისმიერ კუთხეში, მეგრულ ან სვანურ საუბარს რომ მოჰკრავს ყურს, იგი უცხო ენად არ აღიქვას,. ეს ჩვენი ძირძველი, ქართული მშობლიური ენებია"**-ო.

ყრილობის გადაწყვეტილებამ, ქართულ სკოლებში მეგრული, და სვანური ენების ერთსემესტრიანი გაცნობის კურსის შემოღების თაობაზე, მეცნიერთა ერთი წრის გაღიზიანება გამოიწვია. კერძოდ ანანია ჯაფარიძის, გონელი არახამიას, ნომადი ბართაიას, თეიმურაზ გვანცელაძის, ტარიელ ფუტკარაძის და სხვების...

მეცნიერების ეს ჯგუფი ხელისუფლების მიერ იყო წაქეზებული, როგორც სახალხო მოძრაობა **"სამეგრელოს",** ასევე პირადად ალექსანდრე ჭაჭიას წინააღმდეგ.

თქვენც ხელისუფლების დაკვეთით ავრცელებთ სიცრუეს, ბატონო სოსო! არ იცნობთ მის წიგნს **"რამ დაგვღუპა... რა გადაგვარჩენს"**. **"ასავალ-დასავალსა"** და სხვა გაზეთებში ჭაჭიას რომელიმე ინტერვიუ მაინც რომ წაგეკითხათ, მაშინ მკითხველს სწორ ინფორმაციას მიაწვდიდით, გაყალბების გარეშე. ოპონენტები წერენ: **"ჭაჭიამ თქვა, რომ საქართველოს სკოლებში უნდა ისწავლებოდეს მეგრული და სვანური ენები, რათა დავიცვათ ამ ენების უფლებები"**-ო. ალ ჭაჭიას ინტერვიუში კი ვკითხულობთ: **"ყრილობამ ქართულ სკოლებში მეგრული და სვანური ენის ერთსემესტრიანი გაცნობითი კურსის შემოღება მოითხოვა"**. თქვენ, როგორც მეცნიერებაზე დიდი პრეტენზიის მქონე ადამიანმა, უნდა იცოდეთ, რომ გაცნობით და სწავლებით კურსს შორის დიდი განსხვავებაა.

ბატონო მეცნიერო, თქვენ და თქვენნაირები ამით მიზანს ვერ მიაღწევთ! თქვენი მიზანია სახალხო მოძრაობა **"სამეგრელოს"** დისკრედიტაცია, რითაც ცდილობთ ალექსანდრე ჭაჭიას სახელისა და ღირსების შებღალვას.

ქართული ენის დაცვა სრულიადაც არ გულისხმობს იმას, რომ მეგრელმა და სვანმა საკუთარ ენაზე უარი განაცხადოს. განა ამიტომ არ ამბობდა ბატონი ალექსანდრე, რომ, როგორ შეიძლება არ არსებობდეს ენა, რომელზეც ვსაუბრობთო!

სად გაგონილა, სეპარატიზმის შიშით ენა დიალექტად აქციოთ? თქვენ ამით მეგრული ლექსების დაწერასაც უკრძალავთ ცნობილ პოეტებს ვახტანგ ხარჩილავას, გიორგი ჭითანავას, გური ოტობაიას, რინოს კვარაცხელიას, აწ განსვენებული ლაშა გახარიას წიგნის **"ირიათონის"** გამოცემაზე მომუშავეებს: ჯანრი კაშიას, მიხეილ ქურდაძეს, ლევან ღვინჯილიას.

რომელ ქართულ ცნობიერებაზე შეიძლება ლაპარაკი მაშინ, თუ ქართული ცნობიერებიდან მკაცრად გავმიჯნავთ მეგრულ და სვანურ ენებს. ენის ცოდნა ნიშნავს, რომ უნდა ვიცოდეთ ის ძირები, ფესვები, შენაკადები, საიდანაც აღმოცენდა სამწერლობო ქართული ენა. ჩვენ უნდა ვაძლევდეთ საკუთარი ენის მიმართ პატივისცემის ნათელ მაგალითს ჩვენს ქვეყანაში მცხოვრები სხვადასხვა ერის წარმომადგენელთ. თქვენისთანების დანაშაულებრივი დამოკიდებულებით კი მიზეს ვაძლევთ, რომ არ ისწავლონ ჩვენი ენა.

სახალხო მოძრაობა **"სამეგრელოსთან"** არსებობს კოლხური კულტურის აღორძინების ასოციაცია, რომელიც მუშაობს თურქეთში მცხოვრებ ორ მილიონზე მეტ ლაზთან ურთიერთობის აღდგენაზე. თქვენ

**გაგრძელება მე-11 გვ.**

# მეგობრები გვილოცავენ

საქართველო ჩემი მეორე სამშობლოა-მეთქი, ხშირად ვამბობ, ხოლმე... ჩვენც იგივე ტრადიცია გაგვაჩნია, რაც ქართველებს – შობას ყველა გერმანელი ეკლესიაში მიდის წირვა-ლოცვის აღსავლენად და სანთელს ანთებს. ჩემი, როგორც ტრადიციული ოჯახი ამ წესის მიმდევარია, მაგრამ ერთი გამონაკლისი ჩვენს ოჯახში ამ ათიოდე წლის წინ დამკვიდრდა – ჩვენ 7 იანვარსაც მივდივართ ეკლესიაში და ჩემი მეორე სამშობლო საქართველოსთვის ვლოცულობთ და ვანთებთ სანთლებს! მიგვაჩნია, რომ ამითი გამოვხატავთ საქართველოსა და ქართველი ხალხისადმი ჩვენს განსაკუთრებულ დამოკიდებულებას. მინდა მივულოცო შობა-ახალი წელი ქართველ ხალხს, ჩემს ქართველ კოლეგებს – პროფესორ-მასწავლებლებს, ჩემს ყოფილ და დღევანდელ სტუდენტებს!

ვულოცავ სახალხო მოძრაობა „სამეგრელოს“, „ილორის“ რედაქციას, პირადად ბატონებს როლანდ ჯალაღანიას და დავით ქობალიას, რომლებიც გვერდში მიდგანან ყველა ახალი ინიციატივის წამოწყებისას!

დოქტორი, პროფესორი
რუდიგერ ანდრესენი,
კილი-თბილისი,
გერმანია-საქართველო

---

ნება მიბოძეთ, თქვენი გაზეთის საშუალებით, ევროპის ხალხთა გამაერთიანებელი ჰუმანიტარული ორდენის „Cordon Bleu Du Saint Esprit“ სამეთვალყურეო საბჭოს სახელით, მივულოცო შობა-ახალი წლის დღესასწაული საქველმოქმედო ფონდ „მარიამ“-ს და მის პრეზიდენტს ქ-ნ მარინა დუნდუა-ქობალიას, საქველმოქმედო ფონდ **„Elisabetthal“**-ს, სახალხო მოძრაობა „სამეგრელოს“, გაზეთ „ილორის“ რედაქციას, ჩემს პირად მეგობრებს ბ-ნ ოთარ ფაცაციას, ბ-ნ პანტიკო თორდიას, ბ-ნ შალვა ამირეჯიბს და მათ ოჯახებს, სრულიად საქართველოს და მამაც ქართველ ხალხს და ვუსურვო წარმატებები სიმართლისა და თავისუფლებისათვის ბრძოლაში!

საგანგებოდ მინდა მივულოცო „ილორი“-ს რედაქციას და პირადად მათ თავკაცებს, ბატონებს როლანდ ჯალაღანიას და დავით ქობალიას – ჩვენ ერთი უნივერსიტეტის საპატიო დოქტორები ვართ, რომელიც საგანგებო პასუხისმგებლობას გვაკისრებს საქართველოს და მისი პრობლემების წინაშე!

დოქტორ ჰერბერტ ვიდენი,
ევროპის ხალხთა გამაერთიანებელი, ჰუმანიტარული ორდენის
სამეთვალყურეო საბჭოს წევრი
ლაიხლინგენი, გერმანია

# ბესარიონ აპლია - დიალოგი უნდა დაიწყოს და ქართული ეკლესიის წარმომადგენლები აფხაზეთში ჩავიდნენ

ქართველებსა და აფხაზებს შორის დიალოგი უნდა დაიწყოს და ქართული ეკლესიის წარმომადგენლები აფხაზეთში ჩავიდნენ. ამის შესახებ **„ინტერპრესნიუსს“** სოხუმის დე ფაქტო ეპარქიის ე.წ. წინამძღოლმა, ბესარიონ აპლიამ განუცხადა.

აპლიას მიაჩნია, რომ ქართველებსა და აფხაზებს ერთმანეთთან მისასვლელი გზის პოვნა შეუძლიათ.

**„ნუთუ, ორ ძმას არ შეუძლია იპოვოს გზა, როგორ ილაპარაკონ ერთმანეთთან. დარწმუნებული ვარ, ამ გზის და სიტუაციიდან გამოსავლის პოვნა შეიძლება – ეს სიყვარული, კაცთმოყვარეობა და სიკეთეა. საჭიროა ამ გზის მუდმივად ძებნა და არა - მუდმივად ერთმანეთისთვის რაღაცის დაბრალება. ეს კარგს არაფერს მოგვიტანს. არავინ ლაპარაკობს სიყვარულზე და იმაზე, მომავალში როგორ უნდა ვიცხოვროთ. ეს საკითხი არავის დაუყენებია და მე ვაყენებ ამ საკითხს – როგორ უნდა ვიყოთ მომავალში. ასე უნდა გავაგრძელოთ ერთმანეთის დამცირება და ბრალდებები? ასე როგორ უნდა გადავრჩეთ?“**, - აცხადებს აპლია.

ე.წ. წინამძღოლს ასევე მიაჩნია, რომ ორივე მხარე უნდა დაფიქრდეს ძმათამკვლელ ომზე.

**„უნდა დავფიქრდეთ, ვინ წამოიწყო ეს ძმათამკვლელი ომი და ვინ ჩაიდინა ეს ყველაფერი. აფხაზეთი და საქართველო ორი ძმაა, რომლებიც ერთმანეთს იცავდნენ. აფხაზეთისა და საქართველოს სამეფოები – ორი სახელმწიფო ყოველთვის ერთად იყო და მტერს ერთად ებრძოდა, იქნებოდნენ ისინი არაბები თუ თურქები. დღეს კი, ჩვენ ერთმანეთის მტრებივით ვართ და მიმაჩნია, რომ ასე არ შეიძლება. ეს არასწორია. ყველაფერი სიმართლის და ჭეშმარიტების კონტექსტში უნდა განვიხილოთ. ვფიქრობ, საქართველოში არის ბევრი კეთილსინდისიერი ადამიანი, რომელმაც იცის სიმართლე“**, - აცხადებს აპლია.

მისივე აზრით, მართლმადიდებელი ეკლესია თითოეული ადამიანის, ქართველის თუ აფხაზის გადარჩენის გზაა.

**„ასეთ საკითხებს ძალიან ფრთხილად უნდა მივუდგეთ. მიმაჩნია, რომ უწმინდესმა ყველაფერი კარგად იცის და ესმის. დღეს ისეთი მდგომარეობაა, რომ არ შეიძლება აფხაზეთს და აფხაზ ხალხს ასე მიუდგნენ. ურთიერთობები როგორღაც უნდა შეიცვალოს. როგორ უნდა მოხდეს ეს, არ ვიცი, ეს ალბათ უწმინდესმა უკეთესად იცის“**, - აცხადებს ბესარიონ აპლია.

კითხვაზე, სურვილის შემთხვევაში მიიღებენ თუ არა ქართული მართლმადიდებელი ეკლესიის წარმომადგენლებს აფხაზეთში, აპლია აპსუხობს, **„ეს უკვე სხვა საუბარია“.**

**„უნდა ჩამოვიდნენ, უნდა ვილოცოთ, გვიყვარდეს ერთმანეთი. აქ ჩამოსვლის საკითხი უნდა განვიხილოთ, მოვილაპარაკოთ. ერთმანეთი ჩიხში არ უნდა შევიყვანოთ. ჩვენ საკუთარი ქმედებებით ერთმანეთი მუდმივად ჩიხში შეგვყავს, საიდანაც გამოსავალი არ არის. უნდა ვეძებოთ გამოსავალი, რომელიც სასარგებლო იქნება და გადაგვარჩენს. ასე კი ბარბაროსებივით ვიქცევით. ეს არ არის ნორმალური“**, - აცხადებს აპლია.

**„ინტერპრესნიუსი“**

---

## მაღალმთიანი რაიონების მოსახლეობა წყლის საფასურზე შეღავათს მიიღებს

**“ელექტროენერგეტიკისა და ბუნებრივი გაზის შესახებ"** საქართველოს კანონში მორიგი ცვლილებების შეტანა იგეგმება. რომლის თანახმად, მაღალმთიანი რეგიონების (მესტია, სტეფანწმინდა, ფასანაური, ახალქალაქი, ნინოწმინდა და სხვა მაღალ ნიშნულზე მდებარე დასახლებები) მოსახლეობას, უმიზეზოდ დაღვრილი წყლის საფასურის გადახდისას, ზამთრის ყინვიანი კლიმატის პერიოდში შეღავათები დაუწესდებათ.

საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი კომისია უფლებამოსილი იქნება, წყალმომარაგების საფასურის დარიცხვის წესი მაღალმთიან რეგიონებში სეზონურად განსაზღვროს, რაც საკანონმდებლო დონეზე **"ელექტროენერგეტიკისა და ბუნებრივი გაზის შესახებ"** საქართველოს კანონში დამატებების შეტანით დარეგულირდება.

ზამთრის ყინვიანი კლიმატის ზემოქმედების პირობებში, ქსელში წყლის გაყინვის თავიდან აცილების მიზნით, მოსახლეობას წყალი მუდმივად მოშვებული აქვს, რის გამოც მათ მაღალი საფასურის გადახდა უწევთ.

**„ილორის“ კომენტარი – უკბილო ხუმრობად ნურავინ ჩაგვითვლის, მაგრამ იმის სერიოზული ეჭვი გვიჩნდება, რომ ფულს დახარბებულმა ჩვენმა ხელისუფლებამ შეიძლება სრულიად საქართველოს მოსახლეობას იმ ჭებზე და წყაროებზეც დაუწესოს გადასახადი, საიდანაც ხალხი სასმელ წყალს იღებს. იმას მოიმიზეზებენ, რომ წყალი სახელმწიფოს კუთვნილი ბუნებრივი რესურსია და მის ხარჯვაზე გადასახადი უნდა დაწესდესო.**

**ხუმრობა არ გეგონოთ, რადგან მერე მართლაც გვიანი იქნება თავში მუშტის წაშენა!**

**ამიტომ, გირჩევთ დროზე ჩაუფიქრდეთ ყველაფერს!**

**რ. ჯალაღანია**

---

## ღია წერილი ალექსანდრე ჭაჭიას ახალ ოპონენტს სოსო სიგუას და ყოფილ ოპონენტებს: ანანია ჯაფარიძეს, გონელი არახამიას, ნომადი ბართაიას, თეიმურაზ გვანცელაძეს, ტარიელ ფუტკარაძეს და სხვებს.

მე-10 გვ-დან.

ასოციაციას ამ პროცესის დაჩქარებაში ხელს უნდა უწყობდეთ და არა პირიქით.

როგორ გგონიათ, რომელიმე ლაზის მხარდაჭერას მიიღებთ, თუ მათ ენას კუთხურ კილოდ მონათლავთ? ლაზური ენა ხომ ქართულ ენათა ოჯახს განეკუთვნება. ეს ნათლად ჩანდა ლაზური ენისა და კულტურის დაცვის საზოგადოება **“ლაზეობურას”** მისალმებაში **“სამეგრელოს”** მე 4-ყრილობისადმი. ისიც უნდა მოვახსენო ოპონენტ მეცნიერებს: ჩვენ ქართველები განებივრებული არ ვართ უცხოეთში მყოფი ნათესავებით, როგორც ზოგი სხვა ერი. ჩვენი უნიათობით და უტაქტობით ვინც გვყავს, იმას მაინც ნუ დავკარგავთ.

ფილოლოგებმა უნდა იცოდნენ: ევროსაბჭომ მიიღო საგანგებო კონვენცია, რომელიც უძველესი ენების დაცვას და შენარჩუნებას ეხება, რასაც სხვებთან ერთად საქართველომაც მოაწერა ხელი, მაგრამ ჩვენი ხელისუფლების მიერ იგი სრულიად იგნონირებულია.

ცხადია, კონვენციის შესაბამისად, ადგილებზე მდგომარეობის გათვალისწინებით, პარლამენტს უნდა მიეღო დოკუმენტი, რაც ნათელს გახდიდა ხელისუფლების დამოკიდებულებას უძველესი ენების – მეგრულისა და სვანურისადმი. სააკაშვილისა და მისი პარლამენტის გადამკიდეებს, მეგრულ და სვანურ ენებს ვინ ჩივის, საფრთხე ექმნება თვით ქართულ ენასაც კი, რადგან, ლამისაა ინგლისური ენა გაგვიხადონ სახელმწიფო ენად და ვინც ინგლისურს ვერ აითვისებს, მას დიპლომს არ მისცემენ.

ბატონო სოსო, თქვენ და წერილში დასახელებულ სხვა მეცნიერებს შეგახსენებთ იმ პრობლემებს, რაც უშუალოდ თქვენ პროფესიასთან არის დაკავშირებული: არნოლდ ჩიქობავას სახელობის ინსტიტუტი სხვა ინსტიტუტს გაუერთიანეს, ილიას სახელობის უნივერსიტეტში ორი კათედრიდან, სადაც 24-მდე პროფესორი მუშაობდა, არაფერი დარჩა, ენის პალატა გააუქმეს, მწერალთა კავშირი კანონგარეშედ გამოაცხადეს; სახელმწიფო სამსახურში უპირატესობას ანიჭებენ უცხოურ ენას და თუ ეს ტენდენცია გაგრძელდა კატასტროფამდე არაფერი გვაკლია.

როგორ ფიქრობთ, საქართველომ ევროსაბჭოს დოკუმენტს ხელი რომ მოაწერა უძველესი ენების დაცვა-შენარჩუნებასთან დაკავშირებით, მხოლოდ კატალონურ, გალურ, ბრეტონულ და კორსიკულ ენათა დაცვას გამოუცხადა სოლიდარობა?!

პატივცემულო პროფესორებო, ტარიელ ფუტკარაძე და კომპანიავ! ნება მიბოძეთ ერთ ფაქტზე გავამახვილო თქვენი ყურადღება, თუმცა თქვენთვის, როგორც ირკვევა, ფაქტს მნიშვნელობა არ აქვს.

ჩვენს წინაპრებს დავესესხები და გეტყოდით: **საწუხარ არის ესე!**

2007 წელს სტამბულში თურქულ ენაზე სამი ავტორისგან შემდგარმა ჯგუფმა (ისმაილ ბუჯაღლიში, ჰასან უზუნჰასანოღლუ, იჭთან ალექსოვა), პოლიგრაფიის უკანასკნელ მიღწევათა დონეზე დაისტამბა 1.162 გვერდიანი ლაზურ-თურქული და თურქულ-ლაზური ლექსიკონი **“დიდი ლაზური ნეხაფუნა”** (**“დიდი ლაზური ლექსიკონი”**) მის ღირსებაზე ვერაფერს გეტყვით – ეს სპეციალისტების საქმეა.

გიმეორებთ: მსოფლიო ენათა სისტემაში გამოიყოფა ერთი პატარა ოჯახი (თუ ჯგუფი) ენებისა, რომლის სრულყოფილი წევრია ქართული, სვანური, მეგრული და ლაზური ენები, თავიანთი დიალექტებით.

ყველაფერს თავი რომ დავანებოთ, რას უპასუხებდით უძველეს კოლხებს, რომლებმაც მსოფლიო ცივილიზაციის გარიჟრაჟზე სწორუპოვარი კულტურა შექმნეს. საკითხავია: ეს კულტურა კოლხებმა რომელ დიალექტზე შექმნეს? – ქართულ, სვანურ, მეგრულ თუ ლაზურზე?

არ ეგების, ბატონებო!

სხვა ფაქტებსაც შეგახსენებთ: 2008 წლის 5-თებერვალს, საპატრიარქო ტელევიზიამ, რომელსაც თქვენ, ალბათ, არ უყურებთ, თქვენი მრწამსიდან გამომდინარე, ყურადღება გაამახვილა თურქეთში მცხოვრებ ჩვენ თანამემამულეებზე. ისინი სტამბულში გამოსცემენ ჟურნალს **“ჩვენებურები”,** სადაც ბეჭდავენ სტატიებს ისტორიულ, ეთნოგრაფიულ თუ სხვა საკითხებზე. მათ თურმე ცრემლი ადგებათ, როცა საქართველოზე, მის წარსულზე და მომავალზე იწყება საუბარი. თქვეს, რომ ევროკავშირის დეკლარაციიდან გამომდინარე, თურქეთის მთავრობის წინაშე დააყენეს საკითხი თურქეთის ტერიტორიაზე ქართულ ენაზე ტელემაუწყებლობის ნებართვის მიღების თაობაზე. ამასთან, მოითხოვეს ნებართვა, რათა სკოლებში, სურვილის მიხედვით, შემოიღონ ქართული ენის სწავლება. პასუხად მათ განუცხადეს: ტელემაუწყებლობა შეიძლება, ხოლო ქართული ენის სწავლების შემოღება პრობლემატურია, რადგან კონსტიტუციაში ამ საკითხზე არაფერია ნათქვამიო.

რამდენადაც ცნობილია, ლაზებიც იბრძვიან იმისათვის, რომ ტელემაუწყებლობა დაიწყოს ლაზურ ენაზე. სტამბოლში, სამ თვეში ერთხელ, იბეჭდება ჟურნალი, რომელსაც ჰქვია **“სკანი ნანა”** (**“შენი ნანა”**).

ბატონებო, ერთხელ მაინც თუ გიფიქრიათ იმაზე, რომ თქვენი კომპანიის წევრებმა, თუნდაც რაიმე სახით დახმარება გაუწიოთ თურქეთში მცხოვრებ **“ჩვენებურებს”**? ამას სახალხო მოძრაობა **“სამეგრელო”** აკეთებს ბატონი ალექსანდრე ჭაჭიას თავკაცობით და, მოგიწოდებთ, თუ არაფრით ეხმარებით, ხელს მაინც ნუ შეუშლით!

**გიორგი (გონი) ცაავა,**
**საქართველოს სოციალური და ეროვნულ ურთიერთობათა აკადემიის ნამდვილი წევრი – აკადემიკოსი.**

## მსოფლიოს დიდი ფეხბურთელები

მას შემდეგ, რაც მე-19 საუკუნეში ინგლისელებმა აღადგინეს სპორტის უძველესი სახეობა, მსოფლიოს ყველა ქვეყანაში იბადებოდნენ დიდი ფეხბურთელები, რომლებიც ქმნიდნენ მთელ ეპოქას და მათი მიღწევები ოქროს ასოებით იწერებოდა პლანეტის სპორტულ ისტორიაში. ისინი გვხიბლავდნენ თავიანი საფეხბურთო საშემსრულებლო ოსტატობით. ეს ხდებოდა მაშინ, როცა ფეხბურთი ის-ის იყო იდგამდა ფეხს მსოფლიოში და ჯერ კიდევ არსად არ იყო აშენებული, არამცთუ გიგანტური, არამედ ათასმაყურებლიანი სტადიონებიც კი. მაგრამ სწორედ მათმა ოსტატობამ დაუდო სათავე სპორტის ამ ულამაზეს სახეობას, რომელსაც დღეს ლამის მთელი მსოფლიო ეთაყვანება. მას შემდეგ უამრავი დიდი ფეხბურთელი მოევლინა სამყაროს, მაგრამ ჩვენი რუბრიკა მაინც წინ აყენებს იმ დიდი სპორტსმენების ხსოვნას, რომელთაც მსოფლიოს განახლებული სახით უძღვნეს ჯერ კიდევ ჩვენს წელთაღრიცხვამდე დიდი ხნით ადრე ჩინეთში შობილი სანახაობრივი სპორტი – ფეხბურთი! მალე დაინტერესებულ პირთა ვიწრო წრეში აღიარებული ეს სანახაობა მასიურ ღონისძიებად იქცა, რამაც წარმოქმნა შესაბამისი სპორტული ბაზების აშენების აუცილებლობა. სწორედ წარსულის დიდი ფეხბურთელების დამსახურებაა, რომ გვაქვს შესანიშნავი სპორტული კომპლექსები "მარაკანა", "აცტეკა", "ნოუ კამპი", "სანტიაგო ბერნაბეუ", "ლუჟნიკები", "ოლიმპიაშტადიონი", "ჰემპდენ პარკი" და სხვა და სხვა. სწორედ ამ სპორტულ "მონსტრებს" ავსებენ პირთამდე დღევანდელი ფეხბურთის "გრანდები", რომლებიც მონდომებითა და წარმატებით აგრძელებენ თავიანთი დიდი წინაპრების საქმეებს.
ამ რუბრიკით ჩვენ გაგაცნობთ მსოფლიოს ფეხბურთის პიონერებსაც და იმ დიდ თანამედროვე ფეხბურთელებსაც, რომლებიც ქმნიან მსოფლიო ფეხბურთის ისტორიას.

## ალექს ჯეიმსი

დაიბადა 1901 წლის 14 ოქტომბერს, შოტლანდიაში.

თამაშობდა კლუბებში **"რაიტი"** შოტლანდია, **"პრესტონი"**, **"არსენალი"** ინგლისი.

ინგლისის ეროვნული საფეხბურთო ნაკრების შემადგენლობაში ჩატარებული რვა მატჩი მაინცა და მაინც სახარბიელო მაჩვენებელი არ გახლავთ ოცდაათიანი წლების მსოფლიო ფეხბურთის ისეთი გამორჩეული ინსაიდისათვის, როგორიც ალექს ჯეიმსი იყო.

თავიდან ჯეიმსი თავდასხმაში თამაშობდა, მაგრამ მიუხედავად კარგი ტექნიკისა, მაინც არ გამოირჩეოდა სპორტული თავშეკავებით, რის გამოც ორჯერ ზედიზედ იქნა გაძევებული ფეხბურთის მოედნიდან გუნდ **"რაიტში"** დებიუტის დროს. შემტევ ნახევრადამცველად ალექს ჯეიმსი **"არსენალის"** მწვრთნელმა ერბერტ ჩეპმენმა აქცია და არც შემცდარა ამ არჩევანში. აქ სრულად გამოვლინდა ამ დაუღლელი ფეხბურთელის მაღალი მონაცემები. მართალია, **"არსენალის"** შემადგენლობაში რვა წლის თამაშის განმავლობაში ჯეიმსმა სულ 28 გოლი გაიტანა, მაგრამ შეტევაში მოთამაშე მისმა პარტნიორებმა უამრავი გოლი გაიტანეს სწორედ ალექს ჯეიმსის საგოლე გადაცემების შედეგად. ინგლისის ნაკრების შემადგენლობაში მისი რამდენიმე გამოსვლაც ძალზე წარმატებული იყო. ეგრეთწოდებულმა **"უემბლის ეშმაკუნებმა"** ალექს ჯეიმსთან ერთად ხუთი მატჩი მოიგეს, ორი ფრედ დაამთავრეს და მხოლოდ ერთი წააგეს. ფეხბურთის სპეციალისტები თვლიდნენ, რომ მართლია ჯეიმსი საკმაოდ ზანტი ფეხბურთელი იყო, მაგრამ დიდი სარგებლობა მოჰქონდა გუნდისათვის თავისი რაციონალური, გააზრებული თამაშით. თუმცა, ინგლისელი ფეხბურთის გულშემატკივრები ამ საკითხზე სულ სხვა აზრისანი იყვნენ. საკლუბო დონეზე მან ექვსი პრესტიჟული ტიტული მოიპოვა.

## პეტ ჯენინგსი

დაიბადა 1945 წლის 12 ივნისს, ჩრდილოეთ ირლანდიაში.

თამაშობდა პროფესიულ საფეხბურთო კლუბებში **"ნიური თაუნი"** (ჩრდილოეთ ირლანდია), **"უოტფორდი"**, **"ტოტენჰემი"**, **"არსენალი"** ინგლისი.

პეტ ჯენინგსი გახლდათ ზორბა ტანის ადამიანისათვის დამახასიათებელი ყველა დადებითი თვისებით აღჭურვილი – არაჩვეულებრივად, ღონიერი, გულკეთილი და მხიარული ბუნების მქონე. იგი ერთნაირად კორექტული იყო როგორც საკუთარი თანაგუნდელების, ასევე მოწინააღმდეგე გუნდის ფეხბურთელთა მიმართაც. პეტ ჯენინგსმა სამუდამოდ დაიპყრო ფეხბურთის ინგლისელ გულშემატკივართა გულები იმ 119 მატჩით, რომელიც მან ინგლისის საფეხბურთო ნაკრების შემადგენლობაში დიდი წარმატებით ჩაატარა. მათ შორის, უკანასკნელ მატჩში მან მონაწილეობა მიიღო უკვე 41 წლის ასაკში, 1986 წელს გამართულ მსოფლიო ჩემპიონატზე, რომელიც, სამწუხაროდ, ძალიან გააუფერულა ინგლისელთა ნაკრების მარცხმა ბრაზილიის საფეხბურთო ნაკრებთან. თავისი ოცდაოთხწლიანი საფეხბურთო კარიერის განმავლობაში ჯენინგსმა ათასზე მეტ ოფიციალურ მატჩში მიიღო მონაწილეობა. მან ოთხჯერ ითამაშა ინგლისის თასის გათამაშები ფინალში. ერთხელ გაიმარჯვა **"ტოტენჰემის"** შემადგენლობაში, 1967 წელს, ერთხელ კი **"არსენალის"** შემადგენლობაში – 1979 წელს. პეტ ჯენინგსს ასევე ეკუთვნის მეკარეებისათვის მეტად იშვიათი შედეგი – 1967 წელს, ინგლისის **"ჩერიტ შილდის"** გათამაშებაში, მან, თავისი საჯარიმო მოედნიდან უძლიერესი დარტყმით გოლი გაიტანა **"მანჩესტერ სიტის"** კარში. ამრიგად, პეტ ჯენინგსი სავსებით სამართლიანად ითვლება ერთ-ერთ უდიდეს გოლკიპერად დიდი ბრიტანეთის ფერხბურთის ისტორიაში.

## ჯიმი ჯონსტონი

დაიბადა 1944 წლის 30 სექტემბერს, შოტლანდიაში.

თამაშობდა საფეხბურთო კლუბებში **"სელტიკი"**, შოტლანდია, **"სან ხოსე"** აშშ, **"შეფილდ იუანაიტედი"**, ინგლისი, **"დანდი"**, შოტლანდია, **"შელბურნი"**, ირლანდია.

ჯიმი ჯონსტონი ფეხბურთის გულშემატკივრებს დაახსომდათ როგორც არაჩვეულებრივად ტალანტური, მაგრამ, ამავე დროს, როგორც საოცრად არასტაბილური მარცხენა ნახევარმცველი. 12 წლის საფეხბურთო კარიერის განმავლობაში მან მხოლოდ 23 მატჩი ჩაატარა ინგლისის ეროვნული ნაკრების შემადგენლობაში. ტანად იმდენად პატარა იყო, რომ გულშემატკივრებმა მეტსახელად **"რწყილი"** უწოდეს. შედეგებით კი მას ნამდვილად შეეძლო ეტრაბახა – 16 მაღალი ტიტული მოიპოვა **"სელტიკის"** შემადგენლობაში: ევროპის ჩემპიონთა თასი, ინგლისის თასი სამჯერ და ლიგის თასი – ოთხჯერ. ჯიმი ჯონსტონი საკმაოდ სკანდალური პიროვნება გახლდათ როგორც ფეხბურთის მოედანზე, ასევე მის გარეც, რაც ხშირად ხდებოდა გარკვეული უსიამოვნებების მიზეზი. მაგრამ ყველანი ერთხმად აღიარებდნენ, რომ იგი უშიშარი და ძლიერი სულისკვეთების მქონე პიროვნება გახლდათ. ჯიმი ჯონსტონმა განსაკუთრებული მონდომებითა და აღმაფრენით ითამაშა 1966-1967 წლების საფეხბურთო სეზონში, სადაც **"სელტიკი"** აბსოლუტურად ყველა ტურნირის გამარჯვებული გახდა, რომელშიც კი მონაწილეობა მიიღო. მისი საფეხბურთო კარიერის კულმინაცია გახლდათ გამარჯვება ევროპის ჩემპიონთა თასის ფინალში. კარიერის დამთავრების შემდეგ წარმატებული ბიზნესმენი გახდა, მაგრამ ხშირად პატარა ბავშვებსაც ავარჯიშებდა საფეხბურთო მოედანზე.

**გიორგი ჯალაღანია**

## იუმორი

მეგრელი ყვირის:
– მასპინძელო, მასპინძელო! ერთი ჭიქა წყალი დამალევინე, თორემ ისე მშია, რომ არ ვიცი ღამე სად გავათენო!

* * *

სვანი თვალებს დახუჭავს და მეგობარს ეუბნება:
– აჰა, იყავი ახლა მაგ სიბნელეში...

* * *

კახელი ეუბნება ბავშვს:
– შვილო, თავში ჩაქუჩს ნუ ირტყამ, თორემ ისეთი ხმაურია, გასკდა ტვინი...

* * *

საავადმყოფოში თავგატეხილი იმერელი მიიყვანეს. ექთანი ანკეტას ავსებს:
– ცოლიანი ხართ?
– არა, ავარიაში მოვყევი!

* * *

გურული დილაადრიან მიდის ყანაში. დაინახა მეზობელმა:
– ამ დილაადრიან რა გინდა ყანაში?
– რავა, დაკეტილი დამხვდება, თუ?..

* * *

ექიმი სინჯავს პაციენტს, თან დროდადრო ამბობს:
– კარგია, კარგია, ძალიან კარგია...
– რა არის კარგი, ექიმო?
– ის, რომ ეს ყველაფერი მე არ მჭირს...

* * *

ცოლი მომაკვდავ ქმარს დასტირის:
– ვერ გაძლებ უშენოდ, მეც მალე მოგყვები!
– კარგი, ქალო, იქ მაინც მომასვენე!

## „ლიბერთი ბანკის" ზუგდიდის ფილიალის უფროსი დააკავეს

სამართალდამცავებმა **„ლიბერთი ბანკის"** ზუგდიდის ფილიალის უფროსი ჯიმშერ შეროზია დააკავეს. მას ბრალად ედება საპენსიო თანხების არამიზნობრივად დახარჯვა, გადასახადების დამალვა. ამავე ბრალდებით, რამდენიმე თვის წინათ **„ლიბერთი ბანკის"** ზუგდიდისა და ჩხოროწყუს ფილიალების თანამშრომლები დააკავეს.

ჯიმშერ შეროზია ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების არჩევნების პერიოდში ზუგდიდის გამგებლადაც მოიაზრებოდა. ჯიმშერ შეროზიას სახელთანაა დაკავშირებული სამეგრელო-ზემო სვანეთის პროკურორის - როლანდ ახალაიას პირველი მოადგილის, ნუგზარ მღებრიშვილის ჩამოქვეითებაც. ჯიმშერ შეროზიას მიერ ნუგზარ მღებრიშვილისადმი გაგზავნილი სატელეფონო მესიჯი, სადაც ის ითხოვდა ვალის - 2000 ლარის დაბრუნებას, საკმარისი აღმოჩნდა იმისათვის, რომ როლანდ ახალაიას მისი **„მარჯვენა ხელი"**, ნუგზარ მღებრიშვილი პირველი მოადგილეობიდან გადაეყენებინა. გავრცელებული ვერსიით, ამანაც შეუწყო ხელი შეროზიას დაკავებას.

## ბოლოს და ბოლოს, ვისია ეს აფხაზეთი?

ამ სათაურით დაისტამბა მინიატურული ბროშურა, რომლის შემდგენელი გახლავთ ბატონი **ანზორ გვარამია.**

მიუხედავად შეზღუდული ფორმატისა, ბროშურაში მოყვანილია ისტორიულ პირთა გამონათქვამები აფხაზეთის რაობაზე, მათ ისტორიულ ურთიერთობებზე მოძმე ქართველ ხალხთან, რაც ღირსეული პასუხი გახლავთ იმ სეპარატისტულად განწყობილი პოლიტიკური თუ საზოგადო მოღვაწეებისადმი, ვინც არად აგდებს ჩვენს მრავალსაუკუნოვან ურთიერთობებს და გაუგებრობის ბურუსში ხვევს ყველა დადებითსა და ლამაზს, რაც ქართველ და აფხაზ ხალხებს აერთიანებს.

## გუბერნატორმა 4 მილიონი ევრო მოიპარა?!

საქართველოს გარშემო მალე, სავარაუდოდ, არნახული სკანდალი ატყდება, რომელიც **„ვიკილიქსის"** სენსაციურ გამოაშკარავებებსაც კი დაჩრდილავს. საქმე საქართველოს მოქმედი ხელისუფლების მაღალ ეშელონებში გაჩაღებულ კორუფციას, კონკრეტულად კი ქართველი სახელმწიფო მაღალჩინოსნის მიერ დაახლოებით 4 მილიონი ევროს დატაცებას ეხება, რომელიც საქართველოს ევროკავშირის წევრმა–ქვეყანამ საერთაშორისო დახმარების ფარგლებში გამოუყო.

საინფორმაციო–ანალიტიკურმა სააგენტო საქინფორმმა, აშკარად კარგად ინფორმირებული და ინკოგნიტოდ დარჩენის მოსურნე, უცხოური წყაროსგან, რომელმაც ბრიუსელში ქართული დიასპორის წევრად თავი წარმოგვიდგინა, შეიტყო, რომ 2008 წლის აგვისტოს ტრაგიკული მოვლენების შემდეგ გერმანიამ საქართველოს 8 მილიონი ევრო გამოუყო საბრძოლო მოქმედებების დროს გორის დაზარალებული საცხოვრებელი სექტორის აღსადგენად.

**წყაროს მტკიცებით, ახლახან გერმანიის მთავრობამ, საქართველოში გაეროს გენერალური მდივნის სპეციალური წარმომადგენლის, შვეიცარიელი ჰაიდი ტალიავინის მონაწილეობით,** რომელიც საქართველოსა და რუსეთს შორის 2008 წლის აგვისტოში მომხდარი კონფლიქტის გარემოებების შემსწავლელ საერთაშორისო კომისიას ხელმძღვანელობდა, **საქართველოს მთავრობის მიერ გამოყოფილი სახსრების (8 მილიონი ევრო) მიზნობრივი დანახარჯების შემოწმება ჩაატარა.**

**შემოწმების შედეგად დადგინდა, რომ მიზნობრივი საჭიროებებისათვის საქართველოს ხელისუფლებამ საწყისი თანხის მხოლოდ ნახევარი დახარჯა, ხოლო დანარჩენი ნაწილი, კომპეტენტური ევროპელი ექსპერტების აზრით, სავარაუდოდ, შიდა ქართლის მაშინდელმა სამხარეო გუბერნატორმა ვლადიმერ (ლადო) ვარძელაშვილმა მიითვისა.** (გამორიცხული არაა, რომ სწორედ ეს უკანონოდ მითვისებული სახსრები დაეხმარა მას მომავალში სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა **„მინისტრის პორტფელი"** შეეძინა, რომელ თანამდებობაზე დღეს მოღვაწეობს კიდეც).

**იმავე წყაროს რწმუნებით, მიუხედავად სოლიდური ექსპერტების უკიდურესი აღშფოთებისა, ოფიციალური ბერლინი ჯერჯერობით თავს იკავებს ამ ფაქტის ღიად გამოცხადებისგან, რადგან სურს ამ საკითხის დამატებით განხილვა ევროკავშირის სტრუქტურებში და საქართველოს ხელისუფლებისგან ამომწურავი ინფორმაციის მიღება. საქართველოს ხელისუფლებამ კი ყველაფერი ჩინებულად იცის მომხდარის შესახებ, მაგრამ ამას საზოგადოებას უმალავს, რადგან ევროპელებისათვის გერმანიის მთავრობის მიერ გორის ინფრასტრუქტურის აღსადგენად გამოყოფილი სახსრების „მართებული" (მიზნობრივი) გამოყენების გაყალბებული მტკიცებულებების წარდგენას აპირებს.**

საინფორმაციო–ანალიტიკური სააგენტო საქინფორმი, როგორც ეს მითითებულია კიდეც სააგენტოს ვებ-საიტზე **www.saqinform.ge**, მკითხველს **მხოლოდ აწვდის ინფორმაციას და პასუხს არ აგებს სააგენტოსთვის მოწოდებული საავტორო მასალებისა და ახალი ამბების უტყუარობაზე. ამგვარი კონფიდენციალური ინფორმაციის გადამოწმება კი, მკითხველისთვის გასაგები ობიექტური მიზეზების გამო, ჩვენთვის შეუძლებელია.**

**რაც შეეხება წყაროს, მის მიერ ქართული ენის თავისუფლად ფლობის გათვალისწინებით, შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ იგი, დიდი ალბათობით, ნამდვილად ჩვენი თანამემამულეა რომელიმე ქართული დიასპორიდან.**

ISSN 1987-8966 ილორი
9771987896009
ავტორებს ეკისრებათ პასუხისმგებლობა ფაქტებისა და მონაცემების სიზუსტეზე

რედაქციის მისამართი: თბილისი, ბაქრაძის ქუჩა №6 მე-4 სართული სარეგ. №01018002930

მთავარი რედაქტორი: როლანდ ჯალაღანია
მთ.რედაქტორის მოადგილე: დავით ქობალია
ტექნიკური რედაქტორი: მიხეილ ჩოდრიშვილი
გაზეთის მენეჯერი: ზურაბ ქობალია

WWW ilori.ge
e-mail: elisabetthal@yahoo.de
რეკლამის განთავსება
34-32-95 893-51-01-71
899-34-37-27